გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 ნოემბერი ორშაბათი 2011
№280 (13577) ფასი 80 თეთრი

# შავ დღეში ვართ, გადათეთრდა ყველაფერი

ტური 1:5 თოვლი

## დინამოს ინტერესებს: რატომ გადაწყდა ზესტაფონი-დინამოს გადადება თამაშამდე 6 საათით ადრე?





გუშინდელ ტურში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა: გაგრა-ბაია 0:1
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ნოემბრის თოვლმა XV ტურის 6 მატჩიდან 5 შეიწირა

2-3



11

## ჩემპიონიც გვყავს და ვიცეც!

ბრაზილიაში დასრულებული 18-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული მერი არაბიძე



13

## არმიამ თასზეც იარმია



## 6 არმოუდგენელი აგებები

მაინცი
ბაიერნი
3:2

თ მ ფ 6 ბ ქ

ევროპული უქმეები

ხეტაფე
ბარსა
1:0

5-10



## აNBAვია, YES!

25 დეკემბერსა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი-დინამო 27.11. ზესტაფონი. დ. აბაშიძე გადაიდო

სპარტაკი-მეტალურგი 27.11. თბილისი. ტექნიკური ცენტრი ბასა გადაიდო

ტორპედო-მერანი 27.11. ქუთაისი. ცენტრალური გადაიდო

ვიტ ჯორჯია-სიონი 27.11. მცხეთა. მცხეთა-პარკი გადაიდო



# თეთრი ლაქა კალენდარში

## საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის განცხადება

საქართველოს ჩემპიონატის მე-15 ტურის მატჩი „ზესტაფონსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის არ შედგა. შეხვედრის გადადების გადაწყვეტილება დილით თბილისში იმ დროს და ისეთ ვითარებაში იქნა მიღებული, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ადგილზე არ გასცნობიან შექმნილ მდგომარეობას. სამწუხაროდ, მასპინძელი კლუბის მხრიდან მატჩის ჩატარების მიზნით რეალურად არანაირი პრაქტიკული ღონისძიებები არ იქნა განხორციელებული. „დინამო თბილისი“ იმედოვნებს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ობიექტურად შეისწავლის შექმნილ სიტუაციას და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს არშემდგარი მატჩის მასპინძელი კლუბის მიმართ.

**“დინამოს” პრესსამსახურის უფროსმა გიგა გვენცაძემ “ლელოსთან” საუბარში ასეთი კომენტარი გააკეთა:**

*“ჩვენი გუნდი იმერეთში თამაშის წინა დღეს გაემგზავრა. “ზესტაფონი”-“დინამო” კვირას, 18 საათზე უნდა დაწყებულიყო. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ მიიღეს მატჩის გადადების გადაწყვეტილება შეხვედრის გამართვამდე 6 საათით ადრე თბილისში, ფეხბურთის ფედერაციაში ისე, რომ ფედერაციის არც ერთი წარმომადგენელი ადგილზე არ გასცნობია არსებულ ვითარებას. ზესტაფონის მსგავსი მეტეოპირობები, მაგრამ კარდინალურად განსხვავებული სურათი იყო მეზობელ ქუთაისში, სადაც “ტორპედო”-“მერანის” შეხვედრა 16.00 საათზე უნდა დაწყებულიყო და მატჩის გადადების შესახებ გადაწყვეტილება უკანასკნელ წუთამდე არავის მიუღია, თამაშის ჩატარების მცდელობა ბოლო მომენტამდე იყო.*

*ჩვენთვის გასაგებია, რომ „ტორპედოსთან“ სათასო მატჩის შემდეგ მეტოქეს, ჩვენს გუნდთან შედარებით, ნაკლები დრო ჰქონდა პრინციპული შეხვედრისთვის მოსამზადებლად და თუ მათი მხრიდან წინასწარ იქნებოდა მცდელობა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის გადადების თაობაზე, მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი კლუბი გაგებით მოეკიდებოდა მსგავს წინადადებას. შეგახსენებთ, ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრის წინ ჩვენი კლუბის წარმომადგენლები ღიად ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ “დინამო” არ იქნებოდა წინააღმდეგი იმ თამაშის გადადების, ვინაიდან ევროთასებზე ასპარეზობის შემდეგ “დინამოს” ძალიან მცირე, მაგრამ მაინც უპირატესობა ჰქონდა მეტოქესთან შედარებით, რომელმაც შეხვედრა ბელგიაში გამართა და ჩვენზე ნაკლები დრო ჰქონდა მატჩისთვის მოსამზადებლად”.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

დილა-კოლხეთი 27.11. გორი. ქართლი გადაიდო



## მივედ, ვნახე თოვლი...

ნოემბრის მოულოდნელმა თოვლმა გორში, „ქართლზე“ გასამართი „დილასა“ და ფოთის „კოლხეთის“ შეხვედრაც შეიწირა. სტადიონზე მისულთ დათოვლილი მინდორი და ერთი თანამშრომელი დაგვხვდა. მისი თქმით, „დილას“ მესვეურებმა დილასვე დაათვალიერეს არენა და დარწმუნდნენ, რომ ასეთ პირობებში მატჩის გამართვა შეუძლებელი იყო. არადა, სატურნირო ცხრილის სახიფათო ზონაში მეზობლად მყოფი გუნდების შეხვედრა ერთობ დაძაბული იქნებოდა. შეგახსენებთ, პირველი წრის მატჩი მეტოქეებმა ფოთში ითამაშეს და **დავით რაყამაშვილის** ერთადერთი გოლით „დილამ“ 1:0 გაიმარჯვა.

**ვასილ ბალახაძე**

დავით ასპანიძის ფოტო

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ერთადერთი და არმოსაწყენი...

27.11. თბილისი. მერანი (ზემაა). 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 0 |
| ბაია | 1 |

0:1 სიხარულია (30)

| გაგრა (4-4-1-1) | ბაია (4-2-3-1) |
|---|---|
| ბეგაშვილი | სომხიშვილი |
| ხუციძე | რიგვავა |
| კალანდაძე | აფაქიძე |
| ტყეშელაშვილი | მგელაძე |
| ჯგერენაია | ქვარცხავა |
| გაბედავა | ტყემალაძე |
| ნაკონეჩნი | ნ. შონია |
| ყურულაშვილი | სამუშია |
| ნ. ჯიშკარიანი | სიხარულია |
| შარიქაძე | ენდელაძე |
| ჯერემია | ეხვაია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ზ. ჯელაძე | ე. ძოწენიძე |

**გაგრა**

75. ყურულაშვილი — **კვანტალიანი**
84. გაბედავა — **სიჭინავა**
*სათადარიგოები: მაღრაძე, ხოჯაშვილი, ჭკუასელი, ნადირაძე*

**ბაია**

67. ენდელაძე — **ვეკუა**
85. სამუშია — **პაჭკორია**
90. სიხარულია — **ჟიშკარიანი**
*სათადარიგოები: მაქაცარია, გამრეკლიძე, გუჯეჯიანი, გერგედავა*
გაფრთხილება: შარიქაძე (53), ნაკონეჩნი (80)
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

... მართლაც ბარაქალა საფეხბურთო კლუბ „გაგრასა" და „მერანის" სტადიონის მესვეურებსა თუ ტექნიკურ პერსონალს: ამ ხალხის უდიდესი ძალისხმევით გასული ტური მთლიანად არ გადაიდო და ეს ერთადერთი მატჩიც ჩატარდა. თოვლისგან გაწმენდილი მოედანი... საფეხბურთოსგან საკმაოდ განსხვავდებოდა (განსაკუთრებით, მეკარის სამოქმედო პერიმეტრი), ცენტრის, საჯარიმო მოედნების, აუტისა თუ კუთხურის ხაზებიც ძნელად აღსაქმელ-გასარჩევი იყო, მაგრამ, მთლიანობაში, თამაში მაინც შეიძლებოდა. თუმცა, ასეთ დამძიმებულ გაზონზე, მოგეხსენებათ, რომ ტრავმების მიღების დიდი რისკიცაა და საბედნიეროდ, გუშინდელ „სუსხიან თამაშში" არც ერთ ფეხბურთელს სერიოზული დაზიანება არ მიუღია.

... მართლაც გაუსაძლისი ყინვის მიუხედავად, გუშინდელი მატჩის მონაწილეებს ცარიელი ტრიბუნების წინ არ უასპარეზიათ; ხალხმრავლობა იყო ეგრეთ წოდებულ საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ ადგილზეც: „გაგრასა" და „ბაიასა" შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** და მისი ასისტენტი **სოსო ჭედია,** აგრეთვე „ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** ადევნებდნენ თვალს. იმის გარდა, რომ გუშინ ტურის ერთადერთი მატჩი ტარდებოდა, ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის დიდი სატურნირო მნიშვნელობაც ჰქონდა: „გაგრაც" და „ბაიაც" საუკეთესო რვა გუნდში მოსახვედრად იბრძვიან და ამ ურთიერთდაპირისპირებას სამომავლოდაც არანაკლები „ფასი დაედებოდა".

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეტოქეები არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდნენ: მასპინძლებს უკვე მეორე მატჩია ძირითადი მეკარე **კოკა სეფიაშვილი** ვერ ეხმარება, „გაგრას" გუშინ **ზვიად ჩხეტიანიც** აკლდა; თუმცა უფრო სოლიდური იყო სტუმართა დანაკლისი, რამეთუ **ირაკლი ქობალიაც, ლუკა გუგუჩიაც, ლევან წურწუმიაც, ლევან აკობიაც** და **შოთა ლომიაც** „ბაიას" წამყვან ფეხბურთელებად მიიჩნევიან. ალბათ, ამის გამოც იყო, წყვილის ფავორიტად მასპინძლები რომ მიიჩნეოდნენ: თანაც „გაგრამ" ბოლოს თამაშის ხარისხიც გამოასწორა და შედეგიც გააუმჯობესა, მაშინ, როცა ზუგდიდურმა გუნდმა ბოლო ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

... პირველივე სახიფათო მომენტი მატჩის დასაწყისშივე იყო: ცენტრფორვარდის პოზიციაზე დაბრუნებულმა **ირაკლი ეხვაიამ** ძალისმიერი ორთაბრძოლა მოუგო მასპინძელთა მცველებს, მაგრამ ახალგაზრდა მეკარეს **გიორგი ბეგაშვილს** ველარ აჯობა. აი, ამის შემდეგ ტაიმის ბოლომდე ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და მომდევნო 10 წუთის განმავლობაში **ჯონ ჯერემიას, მიკოლა ნაკონეჩნისა** და **ლევან შარიქაძეს** ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ, თუმცა ხან სიზუსტე ღალატობდათ, ხან კიდევ სტუმართა გამოცდილი მეკარე **გიორგი სომხიშვილი** თამაშობდა უშეცდომოდ. ყველაზე რეალური მომენტი კი „გაგრამ" მაშინ გაანიავა, როცა ჯერემიამ ოდნავ დაგვიანებით (თან, არცთუ იდეალური სიზუსტით) მიაწოდა პასი ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ შარიქაძეს, მაგრამ ამ ეპიზოდშიც სომხიშვილმა იმარჯვა. ეს ყველაფერი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მოხდა; თუმცა „გაგრას" მანამდეც შეეძლო გოლის გატანა: შარიქაძემ ჩინებული პასით ჯერემია გაიყვანა დასარტყამ პოზიციაზე, მაგრამ სომხიშვილმა ამ შემთხვევაშიც ჩინებული რეაქცია გამოამჟღავნა. აი, სტუმართა ერთ-ერთი სწრაფი კონტრიერიში კი შედეგიანი გამოდგა: გამთამაშებლის პოზიციაზე მოასპარეზე **ზვიად სიხარულიამ** მოედნის ცენტრიდან წამოწყებული რეიდი მოხდენილი ფინტით გააგრძელა და არანაკლებ ეფექტური, ზუსტი და შორეული დარტყმითაც დაამთავრა!

თამაშის „სურათი" არც შესვენების შემდეგ შეცვლილა: მასპინძლები კვლავაც უტევდნენ, მაგრამ ვერც ჯერემიამ და ვერც გიორგი ტყეშელაშვილმა „ბაიას" მეკარის ჯობნა ვერ მოახერხეს. სტუმრები კვლავაც სწრაფი კონტრშეტევების იმედად იყვნენ და უდავოდ პერსპექტიული გარემარბის, **გურამ სამუშიას** ასაკთან შეუფერებელი დიდოსტატური პასის შემდეგ **ირაკლი ეხვაია** მახვილი კუთხიდან ცდილობდა გოლის გატანას, თუმცა გიორგი ბეგაშვილმა ამ ბურთის მოგერიება შეძლო. ამის შემდეგ მოვლენათა ეპიცენტრში მასპინძელთა უდავო ლიდერი ლევან შარიქაძე მოექცა — ერთ ეპიზოდში **გიორგი ჯგერენაიას** ზუსტი პასის შემდეგ თავური დარტყმით რომ ცდილობდა გოლის გატანას, შემდეგ კი ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმით ბურთი „ბაიას" ხარიხას მოარტყა. მატჩის მიწურულს „გაგრა" ფაქტობრივად, მთელი გუნდით გადავიდა შეტევაზე და სტუმრებს ორჯერ შეეძლოთ მეტოქე კონტრშეტევაზე „დაეჭირათ", მაგრამ ვერც ირაკლი ეხვაიამ და ვერც **თამაზ ჟიშკარიანმა** მასპინძელთა მეკარეს ვერ აჯობეს.

**გია ტუხაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 14 | 10 | 2 | 2 | 29 | 14 | 32 |
| 2 | დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 29 | 14 | 29 |
| 3 | ტორპედო | 14 | 9 | 1 | 4 | 17 | 10 | 28 |
| 4 | მერანი | 14 | 8 | 2 | 4 | 19 | 13 | 26 |
| 5 | მეტალურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 20 | 15 | 25 |
| 6 | ბაია | 15 | 7 | 2 | 6 | 17 | 12 | 23 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 14 | 4 | 4 | 6 | 13 | 20 | 16 |
| 8 | გაგრა | 15 | 4 | 3 | 8 | 13 | 19 | 15 |
| 9 | კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 11 | 20 | 13 |
| 10 | სპარტაკი | 14 | 3 | 4 | 7 | 11 | 21 | 13 |
| 11 | დილა | 14 | 3 | 2 | 9 | 17 | 23 | 11 |
| 12 | სიონი | 14 | 1 | 4 | 9 | 9 | 24 | 7 |

## სპეციალისტის აზრი

# რა უშველიდა ამ საქმეს? სპეცტექნიკა!

დიდთოვლობის გამო მატჩები ყველა იმ ქვეყანაში ჩაშლილა, სადაც კი თოვლი იცის, მაგრამ ბევრგან სტიქიას უფრო ეფექტურად ებრძვიან, ვიდრე საქართველოში. სპეცტექნიკის საშუალებით ევროპული და თუნდაც ზოგი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სტადიონების თანამშრომლები ხშირად წარმატებით ახერხებენ მატჩის ჩასატარებელი იდეალური თუ არა, მინიმალური პირობების შექმნას მაინც.

საქართველოს ბარში არც ისე ხშირად თოვს, თუმცა გვიან შემოდგომაზე, ზამთარში თუ ადრეულ გაზაფხულზე მოსულ ნალექს ქართული კლუბები მაინცდამაინც ეფექტურად ვერ უმკლავდებიან.

ამ პრობლემურ საკითხზე მოედნების მოწყობა-მოვლის სპეციალისტს, "ჯორჯიან სპორტ სერვისის" დირექტორ კობა ახალკაცს ვესაუბრეთ.

**- იყო კვირას ისეთი ვითარება, რომ მატჩების ჩატარება გამორიცხულიყო?**

- რა თქმა უნდა, არა. მოედნების სათამაშოდ მომზადება სავსებით შესაძლებელი იყო, თუმცა საქართველოში ნაკლებად აქვთ შესაბამისი სპეცტექნიკა — საამისო ხარჯებს, ალბათ, იმიტომ ერიდებიან, რომ ჩვენთან არც ისე ხშირად თოვს, მაგრამ სეზონი ისე არ ჩაივლის, ამ პრობლემამ რამდენჯერმე მაინც რომ არ შეგვაწუხოს.

**- ამბობენ, გადათოვლა მოედანს აზიანებსო.**

- უცხოეთში ამას მაინც აკეთებენ და გაზონიც ისე არ ზიანდება, რომ მერე მისი მოწესრიგება ვერ შეძლო. როცა ნიადაგი სველია, მასზე ზემოქმედება მთლად სასურველი არ არის, მაგრამ მაინც ჯობს, თამაში არ გადაიდოს. როგორც გითხარით, ამის შემდეგ საფრის მდგომარეობის გამოსწორება არცთუ რთულია.

**- ითქვა ისიც, რომ ხელოვნურსაფრიანი მოედნის გადაწმენდა არ შეიძლება.**

- არც ეს არის მართალი, პირიქით, ხელოვნური მოედნის გაწმენდა უფრო იოლია, ვიდრე ბუნებრივისა. მართალია, გაწმენდისას თოვლს კაუჩუკი მიჰყვება, მაგრამ ხელოვნურ საფარზე დროდადრო კაუჩუკის შეტანა ისედაც საჭიროა — ვფიქრობ, ამისგან თავის შეკავებაც ზედმეტი ხარჯების თავიდან არიდებითაა გამოწვეული.

**- ანუ კვირას სრული ტურის ჩატარება შესაძლებელი იყო.**

- დიახ, იმ ქვეყნებში, სადაც სპეცტექნიკა აქვთ, მსგავს კლიმატურ პირობებში მატჩები არ გადაიდებოდა. მოედნების გაწმენდა და თამაში გაუმართლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ გაზონი გაიყინებოდა, რაც კვირას საქართველოში არ მომხდარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



## ჩვენში და იქ, უცხოეთში



## საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

### ა ზონა

#### გამოტოვებული მატჩები

**სამტრედია–ლოკომოტივი 0:0**

24.11. სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე". 100 მაყურებელი

სამტრედია: ი. შენგელია, დ. ჩხიკვაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, ა. თელია (62. ტ. რუხაია), ა. გუბელაძე (80. ლ. სუთიძე), შ. კერძევაძე, გ. რუხაძე, რ. ნინუა (70. ს. მიქაძე), ი. ხვადაგიანი, პ. შათირიშვილი

*სათადარიგოები: ნ. განძავა, ს. ლეჟავა, ბ. ახობაძე, ვ. ლეკვეიშვილი*

მწვრთნელი: გ. ბენდელიანი

ლოკომოტივი: გ. საჯაია, გ. მჭედლიშვილი დ. საჯაია, პ. ჭანტურია, ბ. მახარაძე, გ. გოროზია (80. ნ. შერაზადიშვილი), ა. გუგუშვილი, დ. ჯიქია, მ. ცინცაძე, გ. ბაქრაძე (61. გ. გურეშიძე), გ. შარანგია (69. გ. მაკასარაშვილი)

*სათადარიგოები: ლ. კვარაცხელია, დ. დარციმელია, ზ. ღალანიძე*

მწვრთნელი: გ. ჩიტაური

გაფრთხილება: გ. ბაქრაძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**ჭიათურა — მესხეთი 3:1**

24.11. ჭიათურა. „თემურ მაღრაძე". 200 მაყურებელი

1:0, 2:0 ლ. ქურდაძე (42, 45), 3:0 დ. სევასტოპულო (62), 3:1 დ. ტლაშაძე (69, პენალტით)

*34-ე წუთზე გ. ქირიამ (ჭიათურა) ვერ გამოიყენა პენალტი*

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი (71. ზ. ჯაფარიძე), ლ. ქურდაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ი. ტყებუჩავა, ლ. ცუცქირიძე, გ. ქირია, დ. ქირია. ნ. სტეფანიშვილი (62. ლ. ბარათაშვილი), შ. ფირცხალავა (56. ზ. ნოზაძე), ზ. ხაჭიპერაძე, დ. სევასტოპულო

*სათადარიგოები: ლ. მაჩაიძე, გ. ვაშაძე, გ. სამყურაშვილი, ო. კურტანიძე*

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, ლ. სარალიძე, მ. ლეკიშვილი, დ. ხანიშვილი (46. გ. ქურდაძე), ზ. ბარძიმაძე, დ. ინასარიძე კ. ხანიშვილი, ზ. სუდაძე, გ. წინამძღვრიშვილი, დ. ტლაშაძე, ი. ცნობილაძე (46. გ. მურადაშვილი)

*სათადარიგოები: ი. მურადაშვილი, დ. ლეკიშვილი*

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 14 | 11 | 2 | 1 | 24-7 | 35 |
| 2. მერცხალი | 14 | 9 | 2 | 3 | 19-12 | 29 |
| 3. ჭიათურა | 14 | 8 | 3 | 3 | 21-11 | 27 |
| 4. ჩხერიმელა | 14 | 6 | 3 | 5 | 18-21 | 21 |
| 5. სტუ | 14 | 6 | 2 | 6 | 28-32 | 20 |
| 6. ლოკომოტივი | 14 | 4 | 4 | 6 | 23-22 | 16 |
| 7. მესხეთი | 13 | 4 | 2 | 7 | 12-15 | 14 |
| 8. კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 11-16 | 13 |
| 9. მეშახტე | 13 | 2 | 3 | 8 | 12-19 | 9 |
| 10. სამტრედია | 14 | 1 | 5 | 8 | 10-23 | 8 |

### ბ ზონა. XV ტური

გურია (ლანჩხუთი) – სქური (წალენ.) 2:1
სულორი (ვანი) – იმერეთი (ხონი) 1:2
ადელი (ბათუმი) – აეტი (სოხუმი) 5:1
სამგურალი (წყალ.) – ჩიხურა (საჩხ.) გადაიდო
ზოოვეტი (თბ) – ნ. დინამოელი (თბ) გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 14 | 13 | 1 | 0 | 34-3 | 40 |
| 2. გურია | 15 | 10 | 3 | 2 | 36-12 | 33 |
| 3. იმერეთი | 15 | 8 | 1 | 6 | 26-20 | 25 |
| 4. /დინამოელი | 14 | 7 | 1 | 6 | 25-18 | 22 |
| 5. ზოოვეტი | 14 | 7 | 1 | 6 | 18-24 | 22 |
| 6. სქური | 15 | 6 | 2 | 7 | 20-24 | 20 |
| 7. სამგურალი | 14 | 5 | 4 | 5 | 20-15 | 19 |
| 8. ადელი | 15 | 4 | 1 | 10 | 19-29 | 13 |
| 9. სულორი | 15 | 2 | 3 | 10 | 9-33 | 9 |
| 10. აეტი | 15 | 2 | 1 | 12 | 9-38 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერები


მერაბ გიგაური

## იაგელონია: გიგაურის ძირითადი. მალე იქნებ, ძალამიძისაც

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრმა **მერაბ გიგაურმა** გუშინ პოლონეთის ექსტრაკლასაში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. 18 წლის ქართველი ნახევარმცველი „იაგელონიაში" აგვისტოს ბოლოს ჩაირიცხა, ძირითად შემადგენლობაშიც ვარჯიშობდა, თუმცა საადაპტაციოდ ჯერ დუბლებში ათამაშებდნენ.

გიგაურმა "იაგელონიას" მაისურა მხოლოდ ერთხელ, სათასო მატჩში მოირგო, გუშინ კი საჩემპიონატო დებიუტი ჰქონდა — მოედანზე 58-ე წუთზე გამოჩნდა. ამ დროს მისიანები ლოძში ლკსთან 0:1-ს აგებდნენ. ზუსტად ოთხ წუთში, გიგაურის შეტევის შემდეგ, იაგელონიელებმა პენალტი გამოიმუშავეს, ზუსტადაც დაარტყეს და ანგარიში გაათანაბრეს. საბოლოოდაც მატჩი 1:1 დამთავრდა. ამ ტურით პოლონეთში საშემოდგომო ეტაპი დასრულდა.

ახლა კი ერთი საყურადღებო ცნობაც: შესაძლოა, მეორე წრიდან "იაგელონიაში" კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდეს. როგორც ამბობენ, ლოძის "ვიძევის" ქართველი შემტევი ნახევარმცველი **ნიკა ძალამიძე** კარიერას გიგაურის გუნდში გააგრძელებს.

ნიკას გადაყვანით „იაგელონიას" მთავარი მწვრთნელი **სჩესლავ მიხნიევიჩი** დაინტერესებულა, რომელიც ძალამიძეს კარგად იცნობს. სწორედ მისი თავკაცობისას მიიწვიეს 19 წლის ქართველი "ვიძევში", მაგრამ, როგორც ჩანს, მიხნიევიჩის წასვლის შემდეგ ლოძურ კლუბში ნიკას მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.

ძალამიძე ზუგდიდის "ბაიას" ეკუთვნის და პოლონეთში თამაშობს იჯარით, რომლის ვადაც უკვე ამოიწურა. ლოძელებს ფეხბურთელის გამოსასყიდად 300 ათასი ევრო უნდა გადაეხადათ, მაგრამ ოქტომბერში ითქვა, რომ ამას არ აპირებდნენ. "იაგელონიას" მწვრთნელს სწორედ ამით უნდა, ისარგებლოს.

პირველი წრის 15 ტურის შემდეგ „იაგელონია" 19 ქულით მე-10 ადგილზეა. ამდენივე ქულა აქვს "ვიძევს", რომელმაც მატჩით ნაკლები ჩაატარა და ამით უსწრებს კონკურენტს. მიხნიევიჩის შეგირდები მესამეადგილოსან "პოლონიას" არცთუ დიდი სხვაობით, ექვსი ქულით ჩამორჩებიან, თუმცა გასავარდნ ზონაში მყოფ "ზაგლებიესაც" ამდენითვე უსწრებენ.

**მერაბ მამულაშვილი**


ნიკა ძალამიძე

# ყაზაიშვილის ჰოლანდიური დებიუტი

## სამი გოლი და ორი დაბრუნება

ხშირად როდი აქვს 18 წლის ქართველს ისეთ ძლიერ ჩემპიონატში დებიუტი, როგორიც ჰოლანდიური ერედივიზიეა. ამიტომაც ამ შაბათ-კვირის მთავარი მონაგარი **ვაკო ყაზაიშვილისთვის** ღირსსახსოვარი მატჩია - გუშინ ჩვენმა თანამემამულემ პირველად მოირგო „ვიტესის" ძირითადი გუნდის მაისურა. გოლებით თავგამოჩენილებზეც ვთქვათ: უკრაინაში ულამაზესი გოლი გაიტანა **დავით თარგამაძემ** და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისით „პორტუ" და კიევის „დინამო" ტყუილად არ დაინტერესებულან; ისრაელში **ლადო დვალიშვილმა** კვლავ შეგვახსენა თავი, სერბეთში კი - **გიორგი მერებაშვილმა.**

**ლევან კობიაშვილის** „ჰერტა" ბუნდესლიგის ცხრილის შუაშია, **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" კი - მეორე ბუნდესლიგის გასავარდნ ზონაში. უფრო იაშვილი გამოირჩევა ხოლმე. ეს ბუნებრივია, იაშვილი ხომ „კარლსრუეს" კაპიტანი და ლიდერია, თანაც ამპლუით


ლადო დვალიშვილი


ჯანო ანანიძე


გურამ კაშია

შემტევია, მაგრამ ამჯერად კობიმ უფრო იყოჩალა, რომელიც, როგორც წესი, უფრო ჩრდილშია, თუმცა ბერლინელთათვის შეუცვლელი ფეხბურთელია (ჯერ ერთი წუთიც არ გამოუტოვებია ამ სეზონში). „ჰერტა" ახლახან ჩემპიონთა ლიგაში ნაყოჩალებ „ლევერკუზენს" მასპინძლობდა. უკვე მე-5 წუთზე კობიმ პენალტი მოიპოვა, მისი ჩაწოდებული კუთხურისას ბურთი ხელით მოიგერიეს. პენალტის ნიშნულთან ვეტერანი ქართველი მივიდა და პირველად გადაწყვიტა, ცენტრში არ დაერტყა, მეკარემ მოიგერია, ლევანს დამატებისასაც უკეთ მართებდა გარჯა - კვლავ მეკარეს გაარტყა ბურთი. ჩვენებურმა მეორე ტაიმში ერთი შესანიშნავი სოლორეიდი მოაწყო, როცა თავისი ნახევრიდან ბურთი წაიღო და მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ისევ **ლენომ** აჯობა. 82-ე წუთზე კი ლევანის შესანიშნავი პასის წყალობით **ლასოგამ** ბერლინელებს ქულა გადაურჩინა - 3:3. ეს კობიაშვილის პირველი საგოლე პასი იყო წლევანდელ სეზონში. „შპორტალმა" მისი გარჯა 3 ბალით შეაფასა.

რუსული პრემიერლიგა მარტამდე დაგვემშვიდობა. რამდენიმე ჩვენებურისთვის ეს უქმეები, ალბათ, ბოლო იყო „ვოლგას" ფეხბურთელების რანგში. საჩემპიონო ჯგუფში „სპარტაკს" **ჯანო ანანიძე** დაუბრუნდა, რომელსაც პირველ გუნდში 21 სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია. ის „ყუბანთან" საგარეო მატჩში შესვენების შემდეგ გამოჩნდა და ურიგოდ არ გარჯილა (5,5 ბალი „ჩემპიონატისგან"). „სპარტაკი" 57 ქულით და მე-4 ადგილით ეგებება ზამთრის არდადეგებს.

ლადო დვალიშვილი დაკარგულს იბრუნებს, მეორე ტურია, ისევ „მაქაბის" სასტარტოშია და გატანაც დაიწყო, ჯერ იყო დუბლი, ახლა კი ლადომ 55-ე წუთზე აკოს „ჰაპოელს" მატჩის ერთადერთი გოლი გაუტანა. ჰაიფელებიც ნელ-ნელა დაუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს.

სერბეთის ჩემპიონატში „ბორაჩთან" საგარეო მატჩის 36-ე წუთზე პენალტით გახსნა ანგარიში გიორგი მერებაშვილმა. ეს ქართველი შემტევი ნახევარმცველის მე-3 გოლია ჩემპიონატში.

დავით თარგამაძე კიდევ უფრო მიუახლოვდა სავარაუდო ტრანსფერს გაცილებით უკეთეს გუნდში, ვიდრე „ოლექსანდრიაა". მან მე-17 წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა „ზარიას" კარში (რომლის რიგებშიც 90 წუთი გაისარჯა **ჯაბა ლიპარტია**), თან როგორი გოლი! ჩვენებურმა ბურთით საჯარიმოს მარცხენა კუთხემდე მიაღწია, შემდეგ ცენტრისკენ შეიჭრა და შორეულ „ცხრიანში" დაარტყა. ეს თარგამაძის მე-4 გოლია ჩემპიონატში, „ოლექსანდრიასთვის" კი ქართველის გოლი საიუბილეო, მე-900 იყო.

18 წლის ვაკო ყაზაიშვილის დებიუტი ჰოლანიდიურ ერედივიზიეში ექსჩემპიონ „ტვენტესთან" მატჩში შედგა. მან ისე კარგად ითამაშა დუბლებში, რომ ძირითადში დაიმსახურა ადგილი. „ტვენტესთან" მატჩში ყაზაიშვილი მარცხენა შემტევ ნახევარმცველად თამაშობდა. 65-ე წუთზე ვაკო **გიორგი ჭანტურიამ** შეცვალა. შეხვედრა 0:0 დასრულდა. სრულად ითამაშა „ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ.**

აუტსაიდერ „ჩეზენასთან" მატჩში სერია A-ს დაუბრუნდა **კახა კალაძე**, რომელიც მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის დისკვალიფიცირებული იყო. კახას ჩემპიონატში 16 ოქტომბრის მერე არ ეთამაშა. დაბრუნება ვერ გამოდგა წარმატებული - გენუელებმა 0:2 წააგეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. I ბუნდესლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ჰერტა | ლევერკუზ. | 3:3 (შ) | 90 წთ, +პასი, პენ. ვერ გაით. | 14 თ, 1 გ |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | ალემანია | 0:2 (შ) | 90 წუთი | 15 თ, 5 გ. |
| **იტალია. სერია A. XII ტური** | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | ჩეზენა | 0:2 (გ) | 90 წუთი | 6 თ |
| **იტალია. სერია ბ. XVII ტური** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | გუბიო | 1:0 (გ) | 19 წთ (შეცვლაზე) | 7 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 18 | ემპოლი | გუბიო | 1:0 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **საფრანგეთი. ლიგა 2. XV ტური** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | ლანსი | 0:1 (შ) | 90 წუთი | 11 თ |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | გინგამი | 1:1 (გ) | 19 წთ (შეცვლაზე), გააფრთხ. | 2 თ |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. I-VIII ადგილები. II ტური** | | | | | | |
| საბა კვერკველია | 19 | რუბინი | დინამო | 2:0 (შ) | არ უთამაშია | 5 თ 1 გ |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | ყუბანი | 1:1 (გ) | 45 წთ (შეცვლაზე) | 11 თ, 1 გ |
| **IX-XVI ადგილები. II ტური** | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | კრასნოდ. | ტომი | 0:0 (გ) | 71 წთ (შეცვალეს), გააფრთ. | 25 თ, 7 გ |
| ალექს. ამისულაშვილი | 28 | კრასნოდ. | ტომი | 0:0 (გ) | 7 წთ (შეცვლაზე) | 26 თ, 1 გ |
| ლევან გვაზავა | 31 | ტერეკი | ნალჩიკი | 0:3 (გ) | 58 წთ (შეცვალეს) | 22 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | კრილია | 0:1 (გ) | არ უთამაშია, დისკვ. | 21 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | კრილია | 0:1 (გ) | არ უთამაშია, დუბლი | 15 თ, 1 გ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | კრილია | 0:1 (გ) | არ უთამაშია, დუბლი | 10 თ, 2 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | კრილია | 0:1 (გ) | 13 წთ (შეცვლაზე) | 19 თ, 1 გ |
| ზურაბ არზიანი | 23 | ვოლგა | კრილია | 0:1 (გ) | სათადარიგო | 4 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ტერეკი | 3:0 (შ) | 25 წთ (შეცვლაზე) | 24 თ, 2 გ |
| გუჯა რუხაია | 24 | ნალჩიკი | ტერეკი | 3:0 (შ) | 90 წუთი | 11 თ |
| ზურაბ ცისკარიძე | 24 | ამკარი | როსტოვი | 1:1 (გ) | არ უთამაშია | 3 თ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | ილიჩივეცი | 2:0 (შ) | 90 წუთი | 12 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | ილიჩივეცი | 2:0 (შ) | 90 წუთი | 12 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 24 | არსენალი | ჩერნომორ. | 0:1 (შ) | 19 წთ (შეცვლაზე) | 13 თ, 2 გ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | მეტალისტი | 0:2 (გ) | 5 წთ (შეცვლაზე) | 9 თ, 3 გ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | ვოლინი | 2:1 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | კრივბასი | 0:2 (გ) | სათადარიგო | 7 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | ოლექსანდრ. | 0:1 (გ) | 90 წუთი | 16 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ოლექსანდ. | ზარია | 1:0 (შ) | 90 წუთი, 1 გოლი | 14 თ, 4 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | შახტარი | 0:5 (შ) | 18 წთ (შეცვლაზე) | 6 თ |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. XIV ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 24 | ვიტესი | ტვენტე | 0:0 (გ) | 90 წუთი | 14 თ, 1 გ |
| გიორგი ჭანტურია | 18 | ვიტესი | ტვენტე | 0:0 (გ) | 25 წთ (შეცვლაზე) | 13 თ 3 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 18 | ვიტესი | ტვენტე | 0:0 (გ) | 65 წთ (შეცვალეს) | 1 თ |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა. XI ტური** | | | | | | |
| დავით კვირკველია | 31 | პანიონიოსი | არისი | 2:1 (შ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 9 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 32 | ერგოტელისი | იანინა | 2:1 (შ) | 90 წუთი | 8 თ, 1 გ |
| **თურქეთი. სუპერლიგა. XII ტური** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | სამსუნი | ანთალია | 1:0 (შ) | 90 წუთი | 4 თ |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | კაისერი | მანისა | 0:1 (გ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 9 თ |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | ადმირა | 3:1 (შ) | არ უთამაშია | 10 თ |
| **კვიპროსი. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ეთნიკოსი | ალკი | 1:0 (გ) | 90 წუთი | 9 თ |
| ლევან ქებაძე | 36 | ეთნიკოსი | ალკი | 1:0 (გ) | სათადარიგო | 8 თ |
| კლიმენტი წიტაიშვილი | 36 | ნეა სალამინა | ომონია | დღეს | | 0 თ |
| **ისრაელი. ლიგატ ჰაალი. XIII ტური** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 25 | მაქაბი ჰ. | ჰაპ. აკო | 1:0 (შ) | 66 წთ (შეცვალ), 1 გოლი | 6 თ, 3 გ |
| **შვეიცარია. სუპერ ლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 23 | ქსამაქსი | ლოზანა | | 3 დეკემბერი | 5 თ |
| დანია. სასლიგა. XVII ტური | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | ოლბორგი | 2:0 (გ) | არ უთამაშია | 4 თ |
| გიორგი დიასამიძე | 19 | ორჰუსი | ოლბორგი | 2:0 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| დავით სხირტლაძე | 18 | ორჰუსი | ოლბორგი | 2:0 (გ) | 5 წთ (შეცვლაზე) | 5 თ |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა. XV ტური** | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | ლეხი | 1:0 (გ) | არ უთამაშია | 13 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | 18 | იაგიელონია | ლკს | 1:1 (გ) | 32 წთ (შეცვლაზე), გააფრთ. | 2 თ |
| **სერბეთი. სუპერლიგა. XII ტური** | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | ბორჩა | 4:0 (გ) | 80 წთ (შეცვალეს), 1 გოლი | 11 თ, 3 გ |
| **უნგრეთი. ნბ-1. XVII ტური** | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | 23 | ლომბარდი | შიოფოკი | 1:3 (გ) | 90 წუთი | 16 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ლომბარდი | შიოფოკი | 1:3 (გ) | 90 წუთი | 15 თ |
| რატი ალექსიძე | 33 | დიორი | უიპეშტი | 3:1 (გ) | სათადარიგო | 16 თ 2 გ |
| **იაპონია. ჯეილიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | ჰიროშიმა | ომია | 4:2 (შ) | 15 წთ (შეცვლაზე) | 33 თ, 6 გ |
| **სამხ. აფრიკა. პსლ. XI ტური** | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 28 | მოროკა | გოლდენი | | 30 ნოემბერი | 9 თ, 1 გ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტოკი-ბლეკბერნი 3:1

**სტოკი** (4-4-2): სიორენსენი – უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, უილსონი – პენანტი (71. უიტჰედი), დილეპი, უილენი, ეზერინგტონი – კრაუჩი (83. კ. ჯონსი), უოლტერსი

**ბლექბერნი** (4-1-3-2): რობინსონი – ლოუი, დანი, ჰენლი, ჟივე – ნზონზი – როჩინა, პედერსენი, ჰოილეტი – ფორმიცა (68. რობერტსი), იაკუბუ

**გოლები:** 1:0 დილეპი (28), 2:0 უილენი (58), 3:0 კრაუჩი (72), 3:1 როჩინა (86)

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 7-13; **კარში დარტყმა:** 7-10 (3-6); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 26 686

## ბოლტონი-ევერტონი 0:2

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი – უიტერი, გ. კეჰილი, ნაითი, რობინსონი – იგლზი, რიო-კოკერი (71. სტეინსონი), მუამბა (61. პრეტლი), მ. დევისი – კლასნიჩი, კ. დევისი (71. თუნჩაი)

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – ჰიბერტი, ჰეიტინგა, ჯეგიელკა, ბეინესი – კოულმენი, ფელაინი, ოსმანი, ბელიალეტდინოვი (90. გუეიე) – ტ. კეჰილი (87. ბარკლი). საა (74. ველიოსი)

**გოლები:** 0:1 ფელაინი (49), 0:2 ველიოსი (78)

**გაფრთხილება:** რიო-კოკერი - ოსმანი

**გაძევება:** უიტერი (19-ბოლტონი)

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 15-15; **კარში დარტყმა:** 3-13 (3-10); **თამაშგარე:** 3-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 24 058.

## ჩელსი-ვულვერჰემპტონი 3:0

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ივანოვიჩი (77. ბოსინგვა), ტერი, ლუიზი, ე. კოული – რამირესი, რომეუ, მეირელეში (69. ლემპარდი) – სტარიჯი, მატა, დროგბა (77. ტორესი)

**ვულვერჰემპტონი** (4-5-1): ჰენესი – ზუბარი (75. ფორდე), ბერა, ჯონსონი, ელოკობი – ჯერვისი, მილიაში (38. ებანკს-ბლეიკი), ჰენრი, ედუარდსი, უორდი – ფლეტჩერი (83. გუედიოურა)

**გოლები:** 1:0 ტერი (7), 2:0 სტარიჯი (30), 3:0 მატა (45)

**გაფრთხილება:** ტერი - ედუარდსი, ჰენრი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 11-11; **კარში დარტყმა:** 18-7 (11-4); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 41 648

## მანჩესტერ იუნ.-ნიუკასლი 1:1

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – ფაბიო (90. სმოლინგი), რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (88. მაკედა) – ნანი, გიგზი, ქერიკი, ე. იანგი – რუნი, ერნანდესი

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სიმპსონი, კოლოჩინი, ს. ტეილორი, რ. ტეილორი – ობერტანი (66. ს. ამეობი), გათრი (74. პერჩი), კაბაიე, ხონასი – ბენ არფა (80. ლოვენკრანდსი), ბა

**გოლები:** 1:0 ერნანდესი (49), 1:1 ბა (64-პენ)

**გაფრთხილება:** ფაბიო - ბენ არფა, კაბაიე, ხონასი, გათრი

**გაძევება:** ხონასი (79-ნიუკასლი)

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 17-11; **კარში დარტყმა:** 20-8 (5-5); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 75 594

## ნორვიჩი-ქუინზ პარკი 2:1

**ნორვიჩი** (4-4-2): რადი – მარტინი, დე ლაეტი (58. ნაფტონი), ბერნეტი, ტიერნი – სარმენი, კროფტსი, ბ. ჯონსონი, პილკინგტონი (70. ჰულაჰანი) – მორისონი, ს. ჯეკსონი (70. ჰოლტი)

**ქუინზ პარკი** (4-4-2): ჩერნი – ლ. იანგი, გებიდონი, ა. ფერდინანდი, ჰილი (57. ბოთროიდი) – მეკი, ფაურლინი, დერი (77. ბუჟაკი), ტრაორე – რაიტ-ფილიპსი (79. სმიტი), ჰელგუსონი

**გოლები:** 1:0 მარტინი (15), 1:1 ლ. იანგი (59), 2:1 ჰოლტი (73)

**გაფრთხილება:** ნაფტონი (ნორვიჩი)

**კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 15-5; **კარში დარტყმა:** 25-12 (5-3); **თამაშგარე:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 26 781

## სანდერლენდი-უიგანი 1:2

**სანდერლენდი** (4-4-2): ვესტვუდი – ო'ში (84. ჯი), ტერნერი, ბრაუნი, ბერდსლი (65. ვუგანი) – ლარსონი, კოლბეკი, კეტერმოლი (66. გარდნერი), რიჩარდსონი – სესენიონი, ბენდტნერი

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი – სტამი (74. მაკარტური), გოჰური, კოლდუელი, ფიგეროა – მაკარტი, დ. ჯონსი, დიამე – მოზესი, გომესი, სემონი (84. დი სანტო)

**გოლები:** 1:0 ლარსონი (8), 1:1 გომესი (44-პენ), 1:2 დი სანტო (90)

**გაფრთხილება:** ო'ში, ტერნერი, კოლბეკი - დიამე

**კუთხური:** 3-2; ; **ჯარიმა:** 14-12; **კარში დარტყმა:** 15-5 (9-3); **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 37 883

## ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი 1:3

**ვესტ ბრომვიჩი** (4-5-1): ფოსტერი – რიდი, ოლსონი, მაკოლი, შორი – ბრანტი, ჯ. მორისონი, მულუმბუ, გერა (22. კოქსი), ტომასი (87. ტჩოი) – ლონგი (72. ოდემვინგე)

**ტოტენჰემი** (4-4-2): ფრიდელი – უოქერი, ლ. კინგი, ქაბული, ასუ-ეკოტო – ლენონი, სანდრო (80. ლივერმორი), პარკერი, ბეილი – ადებაიორი, დეფო

**გოლები:** 1:0 მულუმბუ (10), 1:1 ადებაიორი (25), 1:2 დეფო (81), 1:3 ადებაიორი (90)

**პენალტი ვერ გაიტანა:** ადებაიორი (25-ტოტენჰემი)

**გაფრთხილება:** მულუმბუ, ბრანტი - სანდრო

**კუთხური:** 1-10; **ჯარიმა:** 17-9; **კარში დარტყმა:** 9-18 (5-9); **თამაშგარე:** 1-4; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 24 801

## არსენალი-ფულჰემი 1:1

**არსენალი** (4-3-3): სჩესნი – დჯურუ, მერტეზაკერი (69. დიაბი), ვერმაელენი, სანტოსი – სონგი, რემსი (69. ჟერვინიო), არტეტა – უოლკოტი, ვან პერსი, არშავინი (76. შამახი)

**ფულჰემი** (4-5-1): შვარცერი – ბეირდი, ჰანგელაანდი, სენდეროსი, რიისე – ეტუჰუ, მერფი, დემპსი, რუისი (75. კასამი), დემბელე – ზამორა (79. ე. ჯონსონი)

**გოლები:** 0:1 ვერმაელენი (65. ს.კ.), 1:1 ვერმაელენი (82)

**გაფრთხილება:** სანტოსი – ზამორა, ეტუჰუ, სენდეროსი

**კუთხური:** 13-4; **ჯარიმა:** 10-9; **კარში დარტყმა:** 20-10 (9-2); **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 60 043

## სუონსი-ასტონ ვილა 0:0

**სუონსი** (4-5-1): ვორმი – რანგელი (27. რიჩარდსი), მონკი, უილიამსი, ნ. ტეილორი – დაიერი (82. რუტლიჯი), გოვერი, ბრიტონი, ალენი, სინკლერი – გრემი (53. ლიტა)

**ასტონ ვილა** (4-4-2): გივენი – ჰატონი, კოლინზი, დანი, უორნოკი – ნ'ზოგბია, ჰერდი, დელფი (79. ბენანი), აგბონლაჰორი – ბენტი, ჰესკი (69. ჯენასი)

**გაფრთხილება:** სინკლერი, რიჩარდსი, მონკი – დელფი, ჰატონი, დანი, კოლინზი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 19-9; **კარში დარტყმა:** 5-9 (1-3); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 20 404

## ლივერპული-მანჩესტერ სიტი 1:1

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, შკრტელი, ენრიკე – ჰენდერსონი, ლუკასი, ადამი, დაუნინგი – კუიტი (84. ქეროლი), სუარესი

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი – რიჩარდსი, ლესკოტი, კომპანი, კლიში – სილვა (90. კ. ტურე), ი. ტურე, ბერი, ნასრი (65. ბალოტელი) – მილნერი, აგუერო (82. ჯეკო)

**გოლები:** 0:1 კომპანი (30), 1:1 ლესკოტი (33 ს.კ.)

**გაფრთხილება:** ქეროლი - კომპანი, ბერი, ბალოტელი

**გაძევება:** ბალოტელი (83-მანჩესტერ სიტი)

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 17-13; **კარში დარტყმა:** 16-6 (8-2); **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 45 071

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 13 | 11 | 2 | 0 | 43-12 | 35 |
| 2. მანჩესტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 30-13 | 30 |
| 3. ტოტენჰემი | 12 | 9 | 1 | 2 | 26-16 | 28 |
| 4. ნიუკასლი | 13 | 7 | 5 | 1 | 19-12 | 26 |
| 5. ჩელსი | 13 | 8 | 1 | 4 | 28-17 | 25 |
| 6. არსენალი | 13 | 7 | 2 | 4 | 26-23 | 23 |
| 7. ლივერპული | 13 | 6 | 5 | 2 | 17-12 | 23 |
| 8. ასტონ ვილა | 13 | 3 | 7 | 3 | 16-17 | 16 |
| 9. ევერტონი | 12 | 5 | 1 | 6 | 15-16 | 16 |
| 10. ნორვიჩი | 13 | 4 | 4 | 5 | 19-21 | 16 |
| 11. ქუინზ პარკი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-24 | 15 |
| 12. სტოკი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-23 | 15 |
| 13. სუონსი | 13 | 3 | 5 | 5 | 12-16 | 14 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 13 | 4 | 2 | 7 | 12-20 | 14 |
| 15. ფულჰემი | 13 | 2 | 6 | 5 | 15-16 | 12 |
| 16. სანდერლენდი | 13 | 2 | 5 | 6 | 15-15 | 11 |
| 17. ვულვზი | 13 | 3 | 2 | 8 | 13-23 | 11 |
| 18. ბოლტონი | 13 | 3 | 0 | 10 | 19-31 | 9 |
| 19. უიგანი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-24 | 9 |
| 20. ბლეკბერნი | 13 | 1 | 4 | 8 | 17-30 | 7 |

ბომბარდირები: 13 — ვან პერსი (არსენალი); 10 - ჯეკო (სიტი), აგუერო (სიტი); 9 - ბა (ნიუკასლი), რუნი (იუნაიტედი); 7 ადებაიორი (ტოტენჰემი); 6 - ბალოტელი (სიტი), ერნანდესი (იუნაიტედი), კლასნიჩი (ბოლტონი), ლემპარდი (ჩელსი), სტარიჯი (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი).

## ინგლისი. ჩემპიონატი. XVIII ტური

**ბლეკპული-ბირმინგემი** 2:2

გოლები: 0:1 კინგი (29), 1:1 კრეინი (31), 2:1 ერდლი (57), 2:2 ჟიგიჩი (87)

**ბრაიტონი-ქოვენთრი** 2:1

გოლები: 1:0 კიო (7 ს.კ.), 1:1 გარდნერი (9), 2:1 ვინსელოტ (37)

**ბრისტოლი-საუთჰემპტონი** 2:0

გოლები: 1:0 ადომა (48), 2:0 მეინარდი (84)

**კარდიფი-ნოტინგემი** 1:0

გოლები: 1:0 მეისონი (70)

**კრისტალ პალასი-მილუოლი** 0:0

დონკასტერი-უოტფორდი 0:0

**ჰალი-ბარნლი** 2:3

გოლები: 1:0 ფრაიატი (11), 2:0 ფრაიატი (55), 2:1 ედგარი (78), 2:2 ედგარი (82), 2:3 როდრიგესი (90)

**იფსვიჩი-რედინგი** 2:3

გოლები: 1:0 მერფი (56), 1:1 გორკსი (76), 2:1 კერსონი (79), 2:2 პირსი (90), 2:3 ჰანტი (90)

**ლიდსი-ბარნსლი** 1:2

გოლები: 0:1 ვაზ ტე (27), 0:2 დევისი (43), 1:2 მაკკორმაკი (55)

**პიტერბორო-მიდლსბრო** 1:1

გოლები: 0:1 ბეიტსი (54), 1:1 ტეილორი (81)

**პორტსმუთი-ლესტერი** 1:1

გოლები: 1:0 ნორისი (68), 1:1 ნაჯენტი (74)

**ვესტ ჰემი-დერბი** 3:1

გოლები: 0:1 პრისკინი (34), 1:1 კოული (44), 2:1 ნოლანი (64), 3:1 ნობლი (74-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 18 | 12 | 3 | 3 | 40:19 | 39 |
| 2. ვესტ ჰემი | 18 | 11 | 4 | 3 | 33:15 | 37 |
| 3. კარდიფი | 19 | 9 | 7 | 3 | 33:22 | 34 |
| 4. მიდლსბრო | 18 | 8 | 8 | 2 | 23:15 | 32 |
| 5. ლიდსი | 18 | 8 | 4 | 6 | 29:28 | 28 |
| 6. ბლეკპული | 18 | 7 | 6 | 5 | 30:23 | 27 |
| 7. ჰალი | 17 | 8 | 3 | 6 | 18:18 | 27 |
| 8. ბირმინგემი | 16 | 7 | 5 | 4 | 23:18 | 26 |
| 9. ლესტერი | 18 | 7 | 5 | 6 | 24:20 | 26 |
| 10. კრ. პალასი | 18 | 7 | 5 | 6 | 18:17 | 26 |
| 11. ბრაიტონი | 18 | 7 | 5 | 6 | 21:21 | 26 |
| 12. პიტერბორო | 18 | 7 | 3 | 8 | 34:31 | 24 |
| 13. რედინგი | 18 | 6 | 6 | 6 | 20:19 | 24 |
| 14. ბარნსლი | 18 | 6 | 6 | 6 | 21:22 | 24 |
| 15. დერბი | 18 | 7 | 3 | 8 | 23:28 | 24 |
| 16. ბარნლი | 18 | 6 | 3 | 9 | 25:29 | 21 |
| 17. პორტსმუთი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:21 | 20 |
| 18. იფსვიჩი | 17 | 6 | 2 | 9 | 25:33 | 20 |
| 19. უოტფორდი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:26 | 20 |
| 20. ნოტინგემი | 18 | 6 | 2 | 10 | 18:30 | 20 |
| 21. მილუოლი | 18 | 4 | 7 | 7 | 20:20 | 19 |
| 22. ბრისტოლი | 18 | 5 | 4 | 9 | 18:28 | 19 |
| 23. ქოვენთრი | 19 | 2 | 7 | 10 | 16:29 | 13 |
| 24. დონკასტერი | 18 | 3 | 4 | 11 | 13:30 | 13 |

ბომბარდირები: 12 – ლამბერტი (საუთჰემპტონი); 10 - მაკკორმაკი (ლიდსი); 8 – ოსტინი (ბარნლი), ჰენდერსონი (მილუოლი), მაკენი (პიტერბორო), ვუდი (ბირმინგემი).

## პირველი ლიგა. XIX ტური

ჩესტერფილდი-შეფილდ იუნაიტედი 0:1, ბურნმუთი-ოლდჰემი 0:0, ბერი-პრესტონი 1:0, კერლისლი-კოლჩესტერი 1:0, ექსეტერი-ტრანმერი 3:0, ჰარტლპული-იეოვილი 0:1, მილტონი-უიკომბი 4:3, ნოთს ქაუნთი-სკანთორპი 3:2, როჩდეილი-ბრენტფორდი 1:2, შეფილდ უენსდი-ლეიტონი 1:0, სტივენიჯი-უოლსოლი 0:0.

## მეორე ლიგა. XIX ტური

ეკრინგტონი-დაგენჰემი 3:0, ბარტონი-უიმბლდონი 3:2, ქრუ-ჰერეფორდი 1:0, ჯილინგემი-ბრედფორდი 0:0, ოქსფორდი-ჩელტენჰემი 1:3, პლიმუთი-ნორთემპტონი 4:1, როტერჰემი-ქროული 1:2, შრუსბერი-მორქეიმბი 2:0, საუთენდი-ბრისტოლი 1:1, სუინდონი-ოლდერშოტი 2:0.

## კონფერენსი. XXI ტური

ტელფორდი-ბეროუ 1:0, ოლფრეტონი-ჰეიესი 3:2, ბათი-მენსფილდი 1:1, ბრეინტრი-ვრექსჰემი 0:0, დარლინგტონი-ტემუორთი 2:0, ფორესტ გრინი – იორკი 1:1, გეიტსჰედი-ფლიტვუდი 1:1, კეტერინგი-გრიმსბი 1:2, კიდერმინსტერი-კემბრიჯი 0:0, ლინკოლნი-ებსფლიტი 3:0, ნიუპორტი-ლუტონი 0:1, სტოკპორტი-საუთპორტი 0:1.

*ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტური*

# ლიდერთა ფრეები

„მანჩესტერ სიტის“ უპირატესობა კვლავ ხუთქულიანია. ისტლენდელებმა „ენფილდზე“ „ლივერპულთან“ 1:1 ითამაშეს. ანგარიში „სიტის“ ბელგიელმა მცველმა **ვენსან კომპანიმ** გახსნა, რასაც სამ წუთში შეხვედრის მეორე გოლი მოჰყვა. ეს გოლიც სტუმრებმა გაიტანეს, ოღონდ, ამჯერად, თავიანთ კარში — **ჩარლი ადამის** დარტყმულს **ჟოლეონ ლესკოტმა** ფეხი დაუხვედრა, ბურთმა მიმართულება იცვალა და კარში შევარდა. ამ შეხვედრაში შეცვლაზე შესულმა **მარიო ბალოტელიმ** 17 წუთში ორი ყვითელი მიიღო და მოედანი დატოვა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული მწვრთნელი, სერ **ალექს ფერგიუსონი** ასეთ შემთხვევებში მოთმინებას, რომ ჰკარგავს, ცნობილი ამბავია. ვინც ინგლისის ჩემპიონთა და კერკეტი „ნიუკასლის“ შეხვედრას უყურა, ფერგის მძაფრ რეაქციას უეჭველად ელოდა კიდეც. მატჩის დამთავრების შემდეგ სერ ალექსი აცხადებდა, რომ მისი გუნდი გაძარცვეს. კაცმა რომ თქვას, თავად „იუნაიტედმა“ ანგარიში სრულიად შემთხვევით გახსნა — **უეინ რუნის** დარტყმულის მოსაგერიებლად **სტივენ ტეილორმა** ფეხი გასწია, მისგან ასხლეტილი ბურთი კი **ხავიერ ერნანდესს** მოხვდა და ასე შევარდა შესანიშნავად მოთანაშე **ტიმ კრულის** კარში. დიახ, ეს სრული შემთხვევითობა იყო, მაგრამ უსამართლობას ვერ ვუწოდებთ. აი, ცოტა ხნის შემდეგ „იუნაიტედის“ კარში პენალტის დანიშვნა კი შეცდომა გახლდათ — **რიო ფერდინანდმა ჰატემ ბენ არფას** ბურთი კუთხურზე ალალად გადაუგდო. თერთმეტმეტრიანი **დემბა ბამ** შეაგდო. ამის შემდეგ „იუნაიტედს“ მცდელობა არ დაუკლია, მაგრამ ვერაფერს გახდა. მასპინძლებმა ვერც **ხონას გუტიერესის** გაძევებითა და „კაჭკაჭების“ უმცირესობაში დარჩენით ისარგებლეს.

ფერგიუსონი კი, როგორც მოგახსენეთ, გაბრაზადა. ის ამტკიცებდა, რომ მსაჯ **მაიკლ ჯონსს** უნდა ყოფნოდა ვაჟკაცობა და ასისტენტის მიღებული გადაწყვეტილება გადაეთქვა:

*„დღეს სამი ქულის გარეშე დარჩენა მასხარაობა იყო. პენალტმა ყველა გააკვირვა, თვით მსაჯიც კი. მან დაინახა, რომ რიომ ბურთს ფეხი სუფთად გაჰკრა და კუთხურს ნიშნავდა, თანამსაჯმა კი გადაწყვეტილება შეაცვლევინა. მოკლედ, საშინელ დღეში ჩავარდა. რატომ არ შეუძლია მსაჯს თანამსაჯის შეფასების გადათქმა, თუკი თავად ათ მეტრში იდგა? ორი წლის წინ, „ჩელსისთან“ შეხვედრაში, თანამსაჯის ერთი შეცდომა ჩემპიონის ტიტულად დაგვიჯდა. იმედი მაქვს, რომ მაისში იმავეს გამეორება არ მომიწევს“.*

შემდეგ ფერგიმ კოლეგიალობაც დაარღვია და „ნიუკასლის“ თავკაც **ალან პერდიუს** გაჰკრა კბილი: *„მე მოვისმინე პერდიუს მატჩისშემდგომი ინტერვიუ, სადაც მან თქვა, რომ დღეს „ნიუკასლმა“ ჩვენზე უკეთ ითამაშა. ხომ ვერ მეტყვით, რომელ შეხვედრას ესწრებოდა ეს ადამიანი? მათ მთელი შეხვედრის განმავლობაში მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, ჩვენგან კი ჩიჩარიტო მარტო პირველ ტაიმში ოთხჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ. მეტოქის კართან ხიფათის შექმნის თვალსაზრისით შესანიშნავად ვითამაშეთ. ყოველ ტურში ასე რომ ვაკეთებდეთ, ძალიან კმაყოფილი ვიქნებოდი“.*

სხვათა შორის, ფერგიუსონის მიერ გაკრიტიკებულმა პერდიუმ პენალტის ეპიზოდის შეფასებისას თქვა, კარგად დავინახე, ფერდინანდმა სუფთად ითამაშა, ასეთი პენალტი ჩემი გუნდის კარში რომ დაენიშნათ აღშფოთებული დავრჩებოდიო.

საინტერესო გამოდგა ლონდონური დერბი — „არსენალისა“ და „ფულჰემის“ დაპირისპირება. ეს თამაში საინტერესო იმით იყო, რომ „ფულჰემს“ „მეთოფეებისთვის“ სტუმრად 25 შეხვედრაში ვერ მოეგო, ამჯერად კი კინალამ გაიმარჯვა. ანგარიში „არსენალის“ მცველმა **ტომას ვერმაელენმა** საკუთარ კარში შეგდებული ბურთით გახსნა, მაგრამ შეხვედრის მიწურულს შეტევაში ჩაერთო და ეფექტური თავურით თვითონ გაათანაბრა. ბოლო წუთებმა მასპინძლების შეტევებში ჩაიარა, **არსენ ვენგერის** ბიჭები სწრაფად და მრავალმხრივად უტევდნენ, მაგრამ ასეთი ფეხბურთი მხოლოდ ბოლოს კი არა, თავიდანვე რომ ეთამაშათ, მათთვის უკეთესი იქნებოდა.

ვენგერმა თქვა: *„ჩვენ კვირის შუაში „დორტმუნდს“ მოვუგეთ და დახარჯული ენერგიის აღდგენა ვერ მოვასწარით. ასეთი რამ ხანდახან ყველა გუნდს მოსდის. დღეს გადაღლა მართლაც გვემჩნეოდა, მაგრამ რაკილა ჩემპიონთა ლიგაში თამაში გვინდა, წუწუნი აღარ შეიძლება. „ფულჰემთან“ შეხვედრაში ყველაზე მეტად თვალში უზუსტო პასების რაოდენობა მომხვდა. საბოლოოდ ორი ქულა დავკარგეთ, რაც ძალიან საწყენია, თუმცა კვლავ დაუმარცხებლად მივდივართ და ეს სასიხარულოა“.*

ვესტ ბრომვიჩის „ჰოუთორნზე“ „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ 3:1 გაიმარჯვა და ამ სამიდან ორი გოლი ისევ **ემანუელ ადებაიორმა** გაიტანა. სიტყვა ისევ იმიტომ ვთქვით, რომ ორშაბათს, წინა ტურის ბოლო შეხვედრაში, „ასტონ ვილას“ ტოგოელმა ასევე ორჯერ გაუტანა და გამოვიდა, რომ „მანჩესტერ სიტის“ დაწუნებულმა და „დეზებისთვის“ მიქირავებულმა თავდამსხმელმა ექვს დღეში ოთხჯერ შეაგდო. სხვათა შორის, თავიდან „ვესტ ბრომვიჩი“ დაწინაურდა, **იუსუფ მულუმბუმ** თავურით გახსნა ანგარიში, მაგრამ ადებაიორმა 15 წუთში გაქვითა. მან პენალტი დაარტყა, მაგრამ გოლკიპერმა მოიგერია და დამატება მოუხდა. დანარჩენი ორი გოლი კი შეხვედრის მიწურულს გავიდა — ჯერ **ჯერმაინ დეფომ** გამოიჩინა თავი, შემდეგ კი ისევ ადებაიორმა. „დეზები“ გამარჯვებას სრულიად იმსახურებდნენ. „ჰოუთორნზე“ მოგების შემდეგ ჩრდილოლონდონელებს 10 წაუგებელი შეხვედრიდან („სფურზმა“ მხოლოდ ჩემპიონატის პირველი ორი თამაში წააგო მანჩესტერულ გუნდებთან) 28 ქულა დაუგროვდათ და ოთხეულში მოხვედრის სერიოზული პრეტენზიაც აქვთ.

„სანდერლენდისა“ და „უიგანის“ შეხვედრა 1:1 მთავრდებოდა, როდესაც შეცვლაზე შესულმა 22 წლის არგენტინელმა **ფრანკო დი სანტომ** სტუმართა გამარჯვების გოლი შეაგდო. ეს მსაჯის წამატებული დროის მესამე წუთზე მოხდა.



ლივერპული-მანჩესტერ-სიტი 1:1

„ჩელსიმ“ გამარჯვების გემო გაიხსენა — „ვულვერჰემპტონს“ იოლად მოუგო 3:0 და ცოტა მწვრთნელ **ანდრე ვილაშ-ბოაშსაც** გაუიოლა კრიტიკით დამძიმებული ცხოვრება. „ლურჯები“ მეტოქის რბევას შეხვედრის დასაწყისშივე შეუდგნენ, როდესაც კაპიტანმა **ჯონ ტერიმ ხუან მატას** პასით, უფრო სწორედ კი მეტოქე მცველთა მოდუნებით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მეორე გოლი 29-ე წუთზე გავიდა და ასისტენტობა კვლავ ესპანელმა მატამ გასწია — 23 წლის გარემარბმა **დანიელ სტარიჯს** გაატანინა. რაც შეეხება მესამეს, ის მატამ თავად შეაგდო.

*„ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია წლეულს ჩემპიონის ტიტული მოვიპოვოთ, — თქვა მატჩს შემდეგ ვილაშ-ბოაშმა. — გუნდში მეტწილად ის ფეხბურთელები გვყავს, რომლებსაც ეს ადრეც გაუკეთებიათ და გამოცდილება აქვთ. ნიჭი და საკუთარი რწმენა არ გვაკლია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“.*

„სტოკ სიტიმ“ შინ 3:1 აჯობა „ბლექბერნს“. სანამ აუტსაიდერებს დაამარცხებდნენ სტოკელებს პრემიერლიგაში ზედიზედ ოთხი თამაში ჰქონდათ წაგებული.

„ევერტონმა“ მიმდინარე ჩემპიონატში პირველად მოახერხა ზედიზედ სამი თამაშის მოგება. ამჯერად მერსისაიდელებს მოედანზე ათი კაცით დარჩენილი „ბოლტონი“ „ემსხვერპლა“, თან ბოლტონელთა მოედანზე. რაც შეეხება პრემიერლიგაში წლეულს აღზევებული ორი გუნდის შეხვედრას, „ნორვიჩმა“ „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ 2:1 მოუგო და გამარჯვების გოლი გუნდის თილისმამ, 30 წლის **გრანტ ჰოლტმა** გაიტანა.

„სუონსისა“ და „ასტონ ვილას“ შეხვედრა უგოლოდ და უგულოდ ჩატარდა. აშკარა იყო, რომ ფეხბურთი უელსის ნაკრების თავკაცის, 42 წლის **გერი სპიდის** გარდაცვალების ცნობამ დაჩრდილა. შეხვედრის ყველაზე მწვავე ორი მომენტი „სუონსის“ შემადგენლობაში შეცვლაზე შესულ კონგოელ **ლერუა ლიტას** ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### მომდევნო ტური

3 დეკემბერი: **ნიუკასლი-ჩელსი, ბლექბერნი-სუონსი, მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი, ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვიჩი, ტოტენჰემი-ბოლტონი, უიგანი-არსენალი, ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნაიტედი.**

4 დეკემბერი. **ევერტონი-სტოკი, ვულვერჰემპტონი-სანდერლენდი.**

5 დეკემბერი. **ფულჰემი-ლივერპული.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

### კიოლნი-ბორუსია (მ) 0:3

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი – ბრეჩკო, მაკენა, ჟერომელი, აიხნერი – მატუშიკი (54. პეცონი), რიტერი (85. მაკინო) – კლემენსი, ჟაჟალო, პეჟკო (55. როში) – პოდოლსკი.

**ბორუსია მ. (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი – იანტშკე, ბრუვერსი, დანტე, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ჰერმანი (90. მარქსი), არანგო – როისი (85. ბობადილია) – ჰანკე (87. დე კამარგო).

**გოლები:** 0:1 ჰანკე (20), 0:2 არანგო (30), 0:3 ჰანკე (47)

**გაფრთხილება:** პეჟკო - ჰერმანი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 5(2)-15(7); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 50 000

### ბორუსია (დ)-შალკე 2:0

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი – ლაიტნერი, კელი – ბლაშჩიკოვსკი (88. გროსკროიტცი), ლევანდოვსკი, გიოტცე (88. ოვომოიელა) – ბარიოსი (78. კაგავა).

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი – უჩიდა, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ჯონსი, ჰოლტბი (82. ხურადო) – ბაუმიოჰანი (79. მარიკა), რაული, დრაქსლერი (54. პუკი) – ჰუნტელაარი.

**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (16), 2:0 ფელიპე სანტანა (61)

**გაფრთხილება:** კელი – ჯონსი, პაპადოპულოსი, მატიპი, უჩიდა

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 24-24; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 16(8)-3(1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 80 720

### ნიურნბერგი-კაიზერსლაუტ. 1:0

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი – ჩენდლერი, მარო, ვოლშაიდი, პლატენჰარდტი – სიმონსი, ჰეგელერი (89. ფოილნერი) – აიგლერი (92. კამავუაკა), დიდავი (75. კოენი), ესვაინი – პეკჰარტი.

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ტრაპი – ორბანი, ამედიკი, აბელი, ბუგერა – ტიფერტი, კირხი (79. ვალხი) – დე ვიტი (68. ფორტუნისი), შაჰანი (78. ნემეცი) – შეხტერი, კუემაა.

**გოლი:** 1:0 ჩენდლერი (13)

**გაფრთხილება:** ესვაინი, კოენი, პეკჰარტი, ფოილნერი - კუემაა

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 21-25; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 13(6)-6(1); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 37 266

### ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი 1:1

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე – ჯონსონი, ვორსა, ვესტერგაარდი, კომპერი – ვილიამსი, სალიჰოვიჩი – მლაპა (65. რუდი), რობერტო ფირმინიო (84. იბიშევიჩი), ობასი (77. ვუკჩევიჩი) – ბაბელი.

**ფრაიბურგი (4-2-3-1):** ბაუმანი – ჰინკელი (61. რაიზინგერი), კრმასი, ბუტშერი (77. იენდრიშეკი), ბასტიანსი – ფლუმი, შუსტერი – შმიდი, მაკიადი (86. დემბელე), პუცილა – სისე.

**გოლები:** 1:0 რობერტო ფირმინიო (24), 1:1 დემბელე (90)

**გაფრთხილება:** კომპერი, ვილიამსი – პუცილა, მაკიადი, შუსტერი

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 19-18; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 15(3)-14(7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 28 250

### აუგსბურგი-ვოლფსბურგი 2:0

**აუგსბურგი (4-2-3-1):** ამსიფი – რაინჰარდტი, კალსენ-ბრაკერი, ს. ლანგკამპი, ვერჰეგი – ჰოსოგაი, დავიდსი – ბრინკმანი, ბაიერი, ვერნერი (92. სინკალა) – მიოლდერსი (89. კაპლანი).

**ვოლფსბურგი (4-1-2-2-1):** ბენალიო – ტრეში, კრისი, მადლუნგი, მ. შეფერი – ჟოსუე – ჰასებე (86. არნოლდი), სალიჰამიჯიჩი (73. ლაკიჩი) – დეჟაგა, კოო (62. ჰლები) – მანჯუკიჩი.

**გოლები:** 1:0 ბრინკმანი (65), 2:0 კაპლანი (94)

**გაფრთხილება:** ვერნერი, ბრინკმანი, ბაიერი – ჟოსუე, დეჟაგა, კრისი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 16-27; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 14(5)-7(0); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 29 110

### ჰერტა-ლევერკუზენი 3:3

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ჰუბნიკი, მიატოვიჩი, კობიაშვილი – ოტლი, ნიმაიერი (81. რამოსი) – ებერტი (61. ბენ-ჰატირა), რაფაელი, რუკავიტსია (76. ლუსტენბერგერი) – ლასოგა.

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო – შვააბი, მ. ფრიდრიხი, ტოპრაკი (46. კასტრო), კადლეცი – ლ. ბენდერი (70. რაინარტცი), როლფესი (59. კისლინგი) – შიურლე, ბალაკი, სემი – დერდიოკი.

*მე-5 წუთზე კობიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გოლები: 1:0 ლასოგა (7), 2:0 ტოპრაკი (17-საკ. კარში), 2:1 დერდიოკი (24), 2:2 დერდიოკი (64), 2:3 დერდიოკი (79), 3:3 ლასოგა (82)

**გაფრთხილება:** ლელი – ბალაკი, კასტრო

**კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10(6)-18(8); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 44 541

### ჰანოვერი-ჰამბურგი 1:1

**ჰანოვერი (4-2-2-1-1):** ცილერი – ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი – შმიდებახი, პინტუ – შტოპელკამპი (67. სობიეხი), პანდერი – შლაუდრაფი – აბდელაუ (84. რაუში).

**ჰამბურგი (4-2-2-2):** დრობნი – დიკმაიერი, ვესტერმანი, ბრუმა, აოგო – კაჩარი (81. ტეშე), რინკონი – ტიორე, იანსენი (84. ილიჩევიჩი) – სონი, გერერო.

**გოლები:** 0:1 ბრუმა (64), 1:1 შლაუდრაფი (79)

**გაფრთხილება:** ჰაგი, პინტუ – აოგო, ილიჩევიჩი

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 2-10; **კარში დარტყმა:** 11(9)-18(7); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 49 000

### ვერდერი-შტუტგარტი 2:0

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე – იგნიოვსკი, ვოლფი, ნალდო, შმიტცი – ბარგფრედე – ფრიტცი, ჰანტი – მარინი (79. ექიჩი) – არნაუტოვიჩი (88. ტრინკსი), როზენბერგი (75. ვაგნერი).

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – ბულარუზი, ტასკი, მასა, მოლინარო – კვისტი, კუჟმანოვიჩი (46. გენტნერი) – ჰარნიკი, ჰაინალი, ოკაზაკი (61. გებჰარდტი) – პოგრებნიაკი (61. კაკაუ).

**გოლები:** 1:0 ჰანტი (57), 2:0 ნალდო (67)

**გაფრთხილება:** ვოლფი – ტასკი, გენტნერი, ბულარუზი, კვისტი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 14(6)-14(5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 40 800

### მაინცი-ბაიერნი 3:2

**მაინცი (4-4-1-1):** ვეტკლო – პოსპეხი, ბუნგერტი, სვენსონი, ფათი – ნ. მიულერი (75. ჩუპომოტინგი), ბაუმგარტლინგერი, სოტო, კალიჯური – ივანშიტცი (86. შიონჰაიმი) – ალაგუი (91. უჯა).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი (68. რაფინია), ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი – ლუის გუსტავო (52. ოლიჩი), ალაბა – თ. მიულერი, კროოსი, რიბერი – გომესი.

**გოლები:** 1:0 ივანშიტცი (11), 1:1 ვან ბუიტენი (56), 2:1 კალიჯური (65), 3:1 ბუნგერტი (74), 3:2 ვან ბუიტენი (79)

**გაფრთხილება:** ბაუმგარტლინგერი, ბუნგერტი, ვეტკლო – ლუის გუსტავო, გომესი

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 18-20; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17(7)-13(8); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 34 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 14 | 9 | 2 | 3 | 29:9 | 29 |
| 2. ბორუსია (მ) | 14 | 9 | 2 | 3 | 23:9 | 29 |
| 3. ბაიერნი | 14 | 9 | 1 | 4 | 34:8 | 28 |
| 4. ვერდერი | 14 | 8 | 2 | 4 | 25:21 | 26 |
| 5. შალკე | 14 | 8 | 1 | 5 | 28:20 | 25 |
| 6. ლევერკუზენი | 14 | 6 | 4 | 4 | 20:19 | 22 |
| 7. შტუტგარტი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:15 | 21 |
| 8. ჰანოვერი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:22 | 20 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 14 | 5 | 3 | 6 | 16:16 | 18 |
| 10. ჰერტა | 14 | 4 | 6 | 4 | 21:22 | 18 |
| 11. კიოლნი | 13 | 5 | 1 | 7 | 20:29 | 16 |
| 12. ვოლფსბურგი | 14 | 5 | 1 | 8 | 19:28 | 16 |
| 13. მაინცი | 13 | 4 | 3 | 6 | 19:25 | 15 |
| 14. ნიურნბერგი | 14 | 4 | 3 | 7 | 14:24 | 15 |
| 15. ჰამბურგი | 14 | 3 | 5 | 6 | 18:26 | 14 |
| 16. კაიზერსლაუტ. | 14 | 3 | 4 | 7 | 10:18 | 13 |
| 17. ფრაიბურგი | 14 | 3 | 3 | 8 | 19:30 | 12 |
| 18. აუგსბურგი | 14 | 2 | 5 | 7 | 12:24 | 11 |

**ბომბარდირები:** 13 – გომესი (ბაიერნი); 12 – ჰუნტელაარი (შალკე); 11 – პისარო (ვერდერი); 10 – როისი (ბორუსია მ); 9 – ლევანდოვსკი (ბორუსია დ), პოდოლსკი (კიოლნი), აბდელაუ (ჰანოვერი), სისე (ფრაიბურგი); 7 – მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი).

### II ბუნდესლიგა

XVI ტური

**აუე-დუისბურგი 1:2**

**გოლები:** 0:1 ბროზინსკი (14), 1:1 ჰიოფლერი (21), 1:2 ექსლაგერი (91)

**ფრანკფურტი-პადერბორნი 2:2**

**გოლები:** 0:1 პროშვიტცი (6), 1:1 ჩინაზი (49), 2:1 ხრიზანტუსი (72), 2:2 პროშვიტცი (73)

**ჰანზა-უნიონი 2:5**

**გოლები:** 0:1 პფერტცელი (49), 0:2 ქუირინგი (54), 0:3 მოსკერა (59), 1:3 იენიკე (63), 1:4 მოსკერა (67), 2:4 ალბრეხტი (74), 2:5 ზოუნდი (92)

**მიუნხენ 1860-აინტრახტი 2:1**

**გოლები:** 1:0 ანდერსონი (1-საკ. კარში), 2:0 ფოლანდი (67), 2:1 გეკასი (90)

**კარლსრუე-ალემანია 0:2**

**გოლები:** 0:1 რადუ (36), 0:2 აუერი (87)

**ზანკტ პაული-დინამო (დ) 3:1**

**გოლები:** 0:1 დედიჩი (66), 1:1 ბოლი (71), 2:1 ნაკი (73), 3:1 ებერსი (85)

**კოტბუსი-ინგოლშტადტი 0:0**

**ბრაუნშვაიგი-ბოხუმი 4:0**

**გოლები:** 1:0 კუმბელა (4), 2:0 კრუპკე (18), 3:0 ბოლანდი (60), 4:0 კრუპკე (89)

**ფორტუნა-ფიურტი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აინტრახტი | 16 | 10 | 5 | 1 | 39:17 | 35 |
| 2. ფორტუნა | 15 | 10 | 5 | 0 | 36:15 | 35 |
| 3. ზანკტ პაული | 16 | 11 | 2 | 3 | 35:19 | 35 |
| 4. ფიურტი | 15 | 10 | 3 | 2 | 32:12 | 33 |
| 5. პადერბორნი | 16 | 9 | 5 | 2 | 23:12 | 32 |
| 6. მიუნხენ 1860 | 16 | 8 | 1 | 7 | 32:25 | 25 |
| 7. ბრაუნშვაიგი | 16 | 7 | 4 | 5 | 23:18 | 25 |
| 8. უნიონი | 16 | 7 | 4 | 5 | 25:24 | 25 |
| 9. კოტბუსი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:26 | 22 |
| 10. დინამო (დ) | 16 | 5 | 2 | 9 | 27:29 | 17 |
| 11. აუე | 16 | 4 | 5 | 7 | 14:23 | 17 |
| 12. ბოხუმი | 16 | 5 | 2 | 9 | 16:28 | 17 |
| 13. დუისბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:23 | 16 |
| 14. ფრანკფურტი | 16 | 2 | 7 | 7 | 16:28 | 13 |
| 15. ალემანია | 16 | 2 | 6 | 8 | 13:22 | 12 |
| 16. კარლსრუე | 16 | 3 | 3 | 10 | 17:35 | 12 |
| 17. ჰანზა | 16 | 1 | 8 | 7 | 11:23 | 11 |
| 18. ინგოლშტადტი | 16 | 2 | 4 | 10 | 19:37 | 10 |

**ბომბარდირები:** 9 – კრუპკე (ბრაუნშვაიგი), კრუსე (ზანკტ პაული), ოკეანი (ფიურტი), პროშვიტცი (პადერბორნი), რიოსლერი (ფორტუნა), ფოლანდი (მიუნხენ 1860); 8 – ბაისტერი (ფორტუნა), ა. მაიერი (აინტრახტი), ნიოთე (ფიურტი).

### III ბუნდესლიგა

**ზანდჰაუზენი-ოსნაბრიუკი 0:0, ერფურტი-ხემნიტცი 0:0, პრეისენ მიუნსტერი-ჰაიდენჰაიმი 2:1, ზაარბრიუკენი-ოფენბახი 3:1, ბურგჰაუზენი-უნტერჰახინგი 3:1, რეგენსბურგი-ობერჰაუზენი 0:0, ვეენი-კარლ ცაისი 0:0, არმინია-ბაბელსბერგი 1:0, აალენი-შტუტგარტი II 2:2, დარმშტადტი-ვერდერი II 2:0.**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტური

# ბორუსიებმა ბაიერნი ჩამოიტოვეს...

## ...და ერთ კვირაში ერთმანეთში გაარკვევენ, ვინ ვის!




„ბარსელონამდე“ ბევრი არ გვაკლიაო, თქვა „მაინცთან“ მატჩის წინ, „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში **ფილიპ ლამმა** და ზუსტად ისე, როგორც „ბარსელონა“, ამ უქმეებზე მისი „ბაიერნიც“ შერცხვა – ფაქტია, მიუნხენელებს მაინცში სტუმრობა სხვანაირად წარმოედგინათ. შარშან ეს შედეგი არავის გააოცებდა, რადგან „მაინცი“ თითით საჩვენებელი გუნდი იყო, წელს კი **თომას ტუხელის** სამნყსო ძალიან ცუდად გამოიყურება და მხოლოდ გადარჩენისთვის იბრძვის. სწორედ ამიტომ, „შტადიონ ამ ბრუხვეგზე“ გუშინ დაფიქსირებული ანგარიში დიდ სენსაციად უნდა მოვნათლოთ.

„ბაიერნისთვის“ კი ეს ზედიზედ მეორე წაგება გახლავთ, რამაც რეკორდმაისტერი პირველი ადგილიდან ჩამოაგდო – მიუნხენურ გრანდს „ბორუსიებმა“ გაასწრეს: ლიდერი „დორტმუნდია“, მეორე ადგილზე კი „გლადბახი“ წამოსკუპდა. *„რაც არ უნდა მწარე იყოს, სიმართლე ის არის, რომ „მაინცს“ საქმე გავუადვილეთ. ყველა მატჩში ბოლომდე თუ არ დავიხარჯეთ, ფეხი მომავალშიც ხშირად დაგვიცდება,“* - ეს ლამის მატჩისშემდგომი სიტყვებია.

„მაინცმა“ რეკორდმაისტერი შოკში ადრევე ჩააგდო: მე-11 წუთზე **ნიკოლაი მიულერმა ანდრეას ივანშიტცი მანუელ ნოიერთან** პირისპირ გაიყვანა, ავსტრიელმა ბავარიელთა მეკარე მოატყუა და ანგარიში გახსნა. მაინცელები ძალიან კარგად თამაშობდნენ: მიუნხენელთა შებოჭვას ზომიერი აგრესიით ცდილობდნენ და საკმაოდ მედგრადაც უტევდნენ. თამამად ვიტყვით, რომ მართლა შარშანდელი „მაინცი“ გაგვახსენდა – ყველას შიშის ზარს რომ სცემდა პირველ წრეში. „ბაიერნს“ მოედნის ცენტრი დაკარგული ჰქონდა, შეტევების აწყობას ვერ ახერხებდა, მაინცელთა თავდამსხმელი **სამი ალაგუი** კი ზედმეტად ხშირად უძვრებოდა ბავარიელ მცველებს. მოკლედ, კარნავალელებმა პირველი ტაიმი დამსახურებულად მოიგეს და ყველაზე მეტად, სწორედ ამ 45 წუთში გამოჩნდა, როგორ აკლია „ბაიერნს“ **ბასტიან შვაინშტაიგერი**.

მაინცელებმა მეორე ტაიმიც მიზანმიმართულად, ზომიერად აგრესიულად დაიწყეს. **მარკო კალიჯურის** სხვაობის ორამდე გაზრდა მალევე შეეძლო, თუმცა ნოიერის კარს ბურთი რვა მეტრიდან ააცილა. ამასობაში, **იუპ ჰაინკესმა ლუის გუსტავოს** ნაცვლად მოედანზე **ივიცა ოლიჩი** შეუშვა, რითაც შეტევა გააძლიერა და ამან შედეგი გამოიღო: **რიბერის** მიერ მოპოვებული ჯარიმა **კროოსმა** ჩააწოდა, ბურთს მიუნხენელთა აყლაყუდა მცველი **დანიელ ვან ბუიტენი** დახვდა, „ურქინა“ და ივანშიტცმა კარის გადარჩენა ველარ შეძლო – 1:1. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ „ბაიერნმა“ უფრო მოინდომა, მაგრამ რეკორდმაისტერს არც „მაინცი“ ჩამორჩა. მეტიც, 65-ე წუთზე ტუხელის ბიჭებმა ნოიერს მეორე გოლი გაუტანეს: კალიჯურიმ 30 მეტრიდან დააქუხა და მანუმ „ბაიერნის“ კარის გადარჩენა ვერ შეძლო. ვინც იფიქრა, რომ მაინცელები ამის შემდეგ მაინც დამშვიდდებოდნენ და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყებდნენ ფიქრს, შეცდა: კალიჯურის გოლიდან ათ წუთში ივანშიტცის კუთხურს **ნიკო ბუნგერტი** გამოეხმაურა და 3:1 – ეს გახლდათ ცენტრალური მცველის მესამე გოლი ამ სეზონში. აი, ამ გოლმა კი რეკორდმაისტერი წყობიდან გამოიყვანა. მიუნხენელები უკვე უაზროდ უტევდნენ და ხშირად უაზროდაც იქცეოდნენ, ქაოტური შეტევებიდან კი ერთი გოლი მაინც გამოაცხვეს: ისევ კროოსის ჯარიმა, ისევ ვან ბუიტენის თავი და 2:3 79-ე წუთზე.

მერე „მაინცის“ მეკარე **ვეტკლომ დავიდ ალაბას** დარტყმა მოიგერია, რასაც **მარიო გომესისთვის** ჩამორთმეული შანსი მოჰყვა – ბუნდესლიგის ბომბარდირზე ბუნგერტთან ორთაბრძოლაში ჯარიმა დააფიქსირეს, რაც საეჭვო გადაწყვეტილება იყო. საოცარი ის არის, რომ მიუნხენელთაგან მესამე და ყველაზე რეალური საგოლე შანსი ისევ აყლაყუდა მცველ ვან ბუიტენს ჰქონდა, მაგრამ ჰეთ-თრიკი ვერ შეასრულა და „ბაიერნმა“ წააგო. წააგო და დაკარგა პირველი ადგილი, რომელზეც მე-4 ტურიდან მოყოლებული იჯდა...

...და იქ, ანუ, პირველ ადგილზე ახლა დორტმუნდის „ბორუსიაა“, რომელმაც შაბათს „რურის დიდი დერბი“ მოიგო. გერმანიის ჩემპიონმა გალიდერება ასი პროცენტით დაიმსახურა, რადგან „ბაიერნის“ დამარცხების შემდეგ მოსისხლე მტერ „შალკესაც“ მოუგო – ეს გახლდათ რიგით 139-ე დერბი და თამამად ვიტყვით, რომ აღარ გვახსოვს, ბოლოს როდის ფლობდა რურის დერბიში ერთი გუნდი ასეთ უპირატესობას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დორტმუნდელებმა „შალკეს“ კარისკენ 16-ჯერ დაარტყეს, როცა შალკელებმა ეს მხოლოდ სამჯერ შეძლეს. მოკლედ, **იურგენ კლოპის** გუნდს ჩემპიონთა ლიგაში განცდილი მორიგი ფიასკო ოდნავადაც არ დასტყობია – ფაქტია, რომ „ბორუსია“ მთლიანად გერმანიის ჩემპიონატზე აკეთებს აქცენტს.

*„ძალიან კარგად, შესანიშნავად ვითამაშეთ და რაც მთავარია, ბოლო წუთამდე მონწოდების სიმაღლეზე ვიყავით. მას მერე, რაც „ბორუსიას“ მწვრთნელი ვარ, „შალკეს“ საკუთარ მოედანზე პირველად მოვუგეთ და ახლა გავიგე, რა გრძნობაა ეს,“* - ბედნიერი იყო კლოპი. მართლაც მის ხელში „დორტმუნდმა“ „შალკე“ შინ მეოთხე მცდელობიდან პირველად დაამარცხა.

დორტმუნდელები პირველივე ტაიმში მაგრად დომინირებდნენ, გოლი კი მხოლოდ ერთი გაიტანეს: **რობერტ ლევანდოვსკიმ** თავით იხეირა და მის ანგარიშზე ამ სეზონში უკვე 9 გოლია. აღსანიშნავია, რომ პოლონელ თავდამსხმელს ცხრავე გოლი საშინაო მატჩებში აქვს გატანილი. მეორე გოლი კი მეორე ტაიმში გავიდა და ის **ფელიპე სანტანას** ანგარიშზეა, რომელიც ყვრიმალ-წარბგახეთქილ **ნევენ სუბოტიჩს** იდეალურად ცვლის.

„შალკესგან“ კი ვერაფერი ვნახეთ. პირველ ტაიმში **ჰუუბ სტევენსის** შეგირდებს „ბორუსიას“ კარში ერთხელაც არ დაურტყამთ, რეალური საგოლე მომენტის შექმნაზე აღარაფერს ვამბობთ. სამაგიეროდ, მატჩის შემდეგ გელზენკირხენელმა **ლუის ჰოლტბიმ** გესლიანად თქვა, „ბორუსია“ ჩემპიონთა ლიგაში რომ შერცხვა, „შალკეს“ ასეთი რამ არასდროს დაემართება, დღეს რომ წავაგეთ, უბრალოდ ცუდიაო.

*„თამამაშამდე რომ გაეკეთებინა ასეთი განცხადება, კიდევ გავიგებდი, მაგრამ თამაშის შემდეგ ჩვენზე როგორ აძლევს თავს ასე საუბრის უფლებას? ასეთი წაგების შემდეგ უსიტყვოდ უნდა შეხვიდე გასახდელში, ჩაიცვა და სახლში ისე წახვიდე, პირი ერთხელაც არ გააღო. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი წაგების შემდეგ ვერაფერს ვიტყოდი,“* - ეს დორტმუნდელთა კაპიტნის **სებასტიან კელის** სიტყვებია.

„შალკეს“ თავკაცმა **ჰუუბ სტევენსმა** თქვა, პირველ ტაიმში ჩემი გუნდი სკოლის გუნდი მეგონაო, გელზენკირხენელთა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** კი მეკარე **ლარს უნერშტალს** გადაუხადა მადლობა – მისი დამსახურებაა, დერბი სამარცხვინო ანგარიშით რომ არ წავაგეთო.

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ მეორე ადგილზე მხოლოდ იმის გამოა, რომ ბურთების შეფარდება დორტმუნდელ სეხნიაზე უარესი აქვს, მაგრამ თუ ასე გააგრძელებს, „გლადბახი“ მალე ბურთების სხვაობასაც ისე გააუმჯობესებს, რომ ბუნდესლიგაში ამ მხრივ ბადალი არ ეყოლება: პარასკევს **ლუსიენ ფავრის** ბიჭებმა „კიოლნში“ 3:0 მოიგეს და ეს იყო მორიგი სერიოზული ტრიუმფი „ვერდერთან“ 5:0-ის შემდეგ. ორ მატჩში რვა გოლის გატანა კი ხუმრობა არ არის.

ახლა კი მთავარი: ყველაზე კარგი იცით, რა არის? მომდევნო ტურშიც ბრწყინვალე მატჩი გველის – „ბორუსიების“ დუელი მიონხენგლადბახში...

გვერდი მოამზადა

**გოტფრიდ ლენცმა**

### თურქეთი. სუპერლიგა.

XII ტური

**გენჩლერბირლიგი-ფენერბაჰჩე 0:0**

**სამსუნი-ანთალია 1:0**

**გოლი:** 1:0 ბონსე (3)

**ორდუ-მერშინი 0:1**

**გოლი:** 0:1 ნობრე (63)

**გალათასარაი-სივასი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბაითარი (45), 2:0 ბაროში (60-პენ), 2:1 კილიჩი (71)

**ესქიშეჰირი-ანკარაგიუჯუ 3:2**

**გოლები:** 1:0 კამარა (28), 2:0 ჩექი (45-საკ. კარში), 2:1 გარჰანი (72), 2:2 კელესი (75), 3:2 დიეგო ანჟელო (90)

**ბუიუქშეჰირი-გაზიანთეფი 3:1**

**გოლები:** 1:0 მადურეირა (26), 2:0 ჰასპოლატი (42), 2:1 ადინი (47), 3:1 მადურეირა (68)

**მანიშა-ქაისერი 1:0**

**გოლი:** 1:0 ერდოლანი (5)

**ტრაბზონი-ბეშიქთაში 0:1**

**გოლი:** 0:1 კვარეშმა (78-პენ)

**ქარაბიუქი-ბურსა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 12 | 7 | 4 | 1 | 16:9 | 25 |
| 2. გალათასარაი | 12 | 6 | 4 | 2 | 17:10 | 22 |
| 3. მანიშა | 12 | 6 | 4 | 2 | 13:8 | 22 |
| 4. ბუიუქშეჰირი | 12 | 6 | 3 | 3 | 19:13 | 21 |
| 5. ბეშიქთაში | 12 | 6 | 3 | 3 | 16:13 | 21 |
| 6. ტრაბზონი | 12 | 5 | 5 | 2 | 17:12 | 20 |
| 7. მერშინი | 12 | 5 | 3 | 4 | 14:13 | 18 |
| 8. ორდუ | 12 | 4 | 5 | 3 | 10:8 | 17 |
| 9. ესქიშეჰირი | 12 | 5 | 2 | 5 | 15:15 | 17 |
| 10. ბურსა | 11 | 4 | 4 | 3 | 15:10 | 16 |
| 11. გენჩლერბირ. | 12 | 4 | 4 | 4 | 15:17 | 16 |
| 12. სივასი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:21 | 15 |
| 13. ქაისერი | 12 | 4 | 1 | 7 | 14:16 | 13 |
| 14. ანთალია | 12 | 3 | 4 | 5 | 10:14 | 13 |
| 15. სამსუნი | 12 | 2 | 5 | 5 | 9:15 | 11 |
| 16. გაზიანთეფი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:15 | 10 |
| 17. ქარაბიუქი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:16 | 8 |
| 18. ანკარაგიუჯუ | 12 | 1 | 2 | 9 | 13:26 | 5 |

**ბომბარდირები:** 13 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 7 – ვებო (ბუიუქშეჰირი); 6 – ნობრე (მერშინი); 5 – უნალი (ქაისერი).

### მომდევნო ტური

2 დეკემბერი: ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი.

3 დეკემბერი: ბაიერნი-ვერდერი, ფრაიბურგი-ჰანოვერი, კაიზერსლაუტერნი-ჰერტა, ვოლფსბურგი-მაინცი, ბორუსია (მ)-ბორუსია (დ), შტუტგარტი-კიოლნი.

4 დეკემბერი: ჰამბურგი-ნიურნბერგი, შალკე-აუგსბურგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უდინეზე-რომა 2:0

**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი (17. ფერონეტი) – ბასტა, პინცი, ისლა, ასამოა, არმერო – აბდი (69. ფაბრინი) – დი ნატალე (88. პასკუალე).

**რომა (4-3-1-2):** სტეკელენბურგი – ტადეი, კიაერი (81. კასეტი), ჟუანი, ანხელი – გაგო (73. ბოიანი), დე როსი, გრეკო (85. გრეკო) – პიანიჩი - ლამელა, ოსვალდო.

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (79), 2:0 ისლა (89).

**გაფრთხილება:** ბენეტია, დანილო, არმერო – ჟუანი, პიანიჩი.

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 12(4)-9(1); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 17 000

## ლეჩე-კატანია 0:1

**ლეჩე (4-3-3):** ბენასი – ოდო, ბრივიო, ესპოზიტო, ტომოვიჩი – შტრასერი, კუადრადო, ობოდო (74. კორვია) – ოლივერა (23. პიატი), მურიელი (85. ოფერე), ბერტოლაჩი.

**კატანია (4-4-2):** ანდუხარი – ისკო (75. ბარიენტოსი), ბელუში, ლეგროტალიე, პოტენცა – ალმირონი, ლოდი, დელ ვეკიო (56. ბიაჯანტი), მარკეზე – ბერგესიო (65. მაქსი ლოპესი), გომესი.

**გოლი:** 0:1 ბარიენტოსი (90).

**გაფრთხილება:** ესპოზიტო, ბრივიო, კუადრადო, შტრასერი – ანდუხარი, მარკეზე.

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 10(3)-12(7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 6 000

## ნოვარა-პარმა 2:1

**ნოვარა (4-3-1-2):** ფონტანა – მორგანელა, დელაფიორე (24. ლუდი), ჩენტურიონი, ჯემიტი – რადოვანოვიჩი, პორკარი, რიგონი – პინარდი (31. მაძარანი) – ჯედა (61. გრანოჩე), რუბინო.

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, რუბინი (85. ჟადიდი) – ბიაბიანი, მორონე (82. კრესპო), გალოპა, ვალიანი – ჯოვინკო – პელე (75. ჯე ედუარდო).

**გოლები:** 0:1 ჩენტურიონი (29-საკ. კარში), 1:1 რუბინო (70), 2:1 რიგონი (78).

**გაფრთხილება:** რუბინი, მორონე (პარმა).

**გაძევება:** ჯემიტი (87).

**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 17-10; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 10(6)-13(4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 12 000

## ატალანტა-ნაპოლი 1:1

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო, მანფრედინი, ლუკინი, პელუზო – კარმონა, ჩიგარინი (85. ბონავენტურა), შელოტო, პადოინი – მორალესი (83. მარილუნგო) – დენისი (90. გაბიადინი).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – კანავარო, კამპანიარო, ფერნანდესი (69. მაჯო) – ცუნიგა, დოსენა, ჯემაილი (74. სანტანა), გარგანო – ჰამშიკი, პანდევი (63. ლავეცი) – კავანი.

**გოლები:** 1:0 დენისი (64), 1:1 კავანი (90).

**გაფრთხილება:** კონსილი, შელოტო, ჩიგარინი – ფერნანდესი, ცუნიგა, ჯემაილი.

**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 9(3)-9(1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 18 000

## ლაციო-იუვენტუსი 0:1

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი – კონკო, დიაკიტე, სტანკევიჩუსი, რადუ – ლულიჩი (72. სკული), ბროკი (46. გონსალესი), ლედესმა – ერნანესი – როკი (65. სისე), კლოზე.

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი – პირლო, მარკიზიო, ვიდალი – პეპე (81. ესტიგარიბია), ვუჩინიჩი (66. ჯაკერინი), მატრი (86. კვალიარელა).

**გოლი:** 0:1 პეპე (34).

**გაფრთხილება:** ლედესმა, სკული - მარკიზიო.

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 10-19; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 14(8)-15(5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 64 000

## კალიარი-ბოლონია 1:1

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, კანინი, არიაუდო, აგოსტინი – ეკდალი (76. კაპელინი), კონტი, ნაინგოლანი – კოსუ - იბარბო, ლარივეი (68. რიბეირო).

**ბოლონია (4-3-2-1):** ჟილე – რაჯი, პორტანოვა, ანტონსონი, მორლეო (46. ჩერუბინი) – პულცეტი (83. გარიჩი), კრჰინი, კაზარინი – აკვაფრესკა (63. დი ვაიო), რამირესი – კონე.

**გოლები:** 0:1 დი ვაიო (75), 1:1 კონტი (85-პენ.).

**გაფრთხილება:** არიაუდო, ნაინგოლანი, კოსუ, იბარბო – მორლეო, პულცეტი, კონე, ჩერუბინი.

**კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 24-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12(5)-4(2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 11 000

## ჩეზენა-ჯენოა 2:0

**ჩეზენა (4-4-2):** ანტონიოლი – კომოტო (57. რიჩი), ფონ ბერგენი, ბენალოუანე, როსი – გუანა, ჩეკარელი, მარტინიო (83. ჯოკოვიჩი), პაროლო – მალონგა (60. ბოგდანი), მუტუ.

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – მორეტი, გრანკვისტი, კალაძე, მესტო – როსი, კონსტანტი (67. კუჩკა),ველოზო, მერკელი (71. პრატო) – პალასიო (83. იანკოვიჩი), კარაჩოლო.

**გოლები:** 1:0 მუტუ (70-პენ.), 2:0 მუტუ (80).

**გაფრთხილება:** ჩეკარელი – მორეტი, პალასიო.

**გაძევება:** რავალია (ჩეზენა - სათადარიგო სკამიდან).

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 5-8; **კარში დარტყმა:** 9(8)-6(3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 16 000

## პალერმო-ფიორენტინა 2:0

**პალერმო (4-3-2-1):** ბენუსი - პიზანო, სილვესტრი, მილიაჩო, მანტოვანი – ასკუა, ბაჩინოვიჩი, ბარეტო – ზაჰავი (63. პინილია), ილიჩიჩი (83. ბარტოლო) – მიკოლი (42. ვარელა).

**ფიორენტინა (4-3-1-2):** ბორუცი – დე სილვესტრი, გამბერინი, ნატალი, პასკუალი (74. ნასტასიჩი) – ბეჰრამი, მონტოლივო, ვარგასი – ლაძარი (72. ლიაიჩი) – ჯილარდინო (58. სილვა), ჩერჩი.

**გოლები:** 1:0 მიკოლი (22), 2:0 ილიჩიჩი (73).

**გაფრთხილება:** ზაჰავი, მიკოლი (პალერმო).

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 7(4)-12(5); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 23 000

## სიენა-ინტერი 0:1

**სიენა (4-4-2):** ბრკიჩი – ვიტიელო, როსეტინი, ტერცი, დელ გროსო – მანინი, გაცი (70. ბოლცონი), დაგოსტინო, ბრიენცა – კალაიო (64. რეჯინალდო), ლარონდო (75. გონსალესი).

**ინტერი (4-1-4-1):** ჟულიო სეზარი – ნაგატომო, რანოკია, სამუელი, ძანეტი – მოტა – კამბიასო (83. მილიტო), სტანკოვიჩი, ალვარესი, სარატე (46. კასტაინოსი) - პაცინი.

**გოლი:** 0:1 კასტაინოსი (89).

**გაფრთხილება:** ტერცი – რანოკია, სტანკოვიჩი.

**გაძევება:** ბრიენცა (90-სიენა)

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 7(0)-9(4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 11 000

## მილანი-კიევო 4:0

**მილანი (4-3-1-2):** ამელია – აბატე, იეპესი, ტიაგო სილვა, ანტონინი – ვან ბომელი, ნოჩერინო, აკვილანი – ბოატენგი (61. ემანუელსონი) – პატო (77. ელ შაარავი), იბრაჰიმოვიჩი (68. რობინიო).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, ცეზარი, მანდელი (23. აჩერბი), იოკიჩი – ბრედლი, რიგონი (61. ვაჩეკი), ლუჩანო (46. ჰეტემაი) – სამარკო – პელისიერი, თერეუ.

**გოლები:** 1:0 ტიაგო სილვა (8), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (16), 3:0 პატო (33), 4:0 იბრაჰიმოვიჩი (44-პენ.).

**გაფრთხილება:** ლუჩანო (კიევო).

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 8(5)-6(4); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 56 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 11 | 7 | 4 | 0 | 19-7 | 25 |
| 2. მილანი | 12 | 7 | 3 | 2 | 27-14 | 24 |
| 3. უდინეზე | 12 | 7 | 3 | 2 | 15-6 | 24 |
| 3. ლაციო | 12 | 6 | 4 | 2 | 16-9 | 22 |
| 5. პალერმო | 12 | 6 | 1 | 5 | 16-15 | 19 |
| 6. რომა | 12 | 5 | 2 | 5 | 15-14 | 17 |
| 7. კატანია | 12 | 4 | 5 | 3 | 14-18 | 17 |
| 8. ნაპოლი | 11 | 4 | 4 | 3 | 14-8 | 16 |
| 9. ჯენოა | 11 | 4 | 3 | 4 | 14-14 | 15 |
| 10. პარმა | 12 | 5 | 0 | 7 | 15-20 | 15 |
| 11. კიევო | 12 | 4 | 3 | 5 | 10-16 | 15 |
| 12. სიენა | 12 | 3 | 5 | 4 | 14-11 | 14 |
| 13. ატალანტა | 12 | 5 | 5 | 2 | 16-15 | 14 |
| 14. კალიარი | 12 | 3 | 5 | 4 | 11-13 | 14 |
| 15. ინტერი | 11 | 4 | 2 | 5 | 14-17 | 14 |
| 16. ფიორენტინა | 12 | 3 | 4 | 5 | 10-11 | 13 |
| 17. ბოლონია | 12 | 3 | 2 | 7 | 10-18 | 11 |
| 18. ნოვარა | 12 | 2 | 4 | 6 | 14-21 | 10 |
| 19. ჩეზენა | 12 | 2 | 3 | 7 | 6-13 | 9 |
| 20. ლეჩე | 12 | 2 | 2 | 8 | 9-19 | 8 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 10 - დენისი (ატალანტა); 9 - დი ნატალე (უდინეზე); 7 - ჯოვინკო (პარმა), იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 6 - კლოზე (ლაციო).

## სერია B. XVII ტური

**ბრეშა-ალბინოლეფე 1:3**

გოლები: 0:1 კოკო (14-პენ.), 0:2 მალი (44-საკ. კარში), 0:3 ფოლიო (69), 1:3 ჯონატასი (90).

**ჩიტადელა-კროტონე 0:1**

გოლი: 0:1 კაეტანო (43).

**გროსეტო-იუვე სტაბია 0:3**

გოლები: 0:1 საუ (47), 0:2 საუ (72), 0:3 სკოცარელა (86).

**ნოჩერინა-ვარეზე 2:4**

გოლები: 1:0 ტროესტი (27-პენ.), 2:0 ნეგრო (35), 2:1 მარტინეტი (46), 2:2 მარტინეტი (67), 2:3 ლუკა (85), 2:4 ნადარევიჩი (90).

**სამპდორია-მოდენა 1:1**

გოლები: 1:0 ბენტივოლიო (45), 1:1 კარამიტარო (83).

**სასუოლო-პადოვა 0:1**

გოლი: 0:1 ვილფრედი (47).

**ტორინო-ლივორნო 1:0**

გოლი: 1:0 პარიზი (81).

**ვერონა-რეჯინა 1:0**

გოლი: 1:0 პიჩლმანი (29).

**ვიჩენცა-პესკარა 1:1**

გოლები: 1:0 პარო (56), 1:1 სოდიმო (87).

**გუბიო-ემპოლი 0:1**

გოლი: 0:1 ტავანო (24).

**ასკოლი-ბარი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორინო | 17 | 11 | 5 | 1 | 20-8 | 38 |
| 2. პესკარა | 17 | 10 | 3 | 4 | 37-25 | 33 |
| 3. სასუოლო | 17 | 9 | 5 | 3 | 21-11 | 32 |
| 4. პადოვა | 17 | 9 | 4 | 4 | 26-19 | 31 |
| 5. ვერონა | 17 | 9 | 4 | 4 | 24-19 | 31 |
| 6. რეჯინა | 17 | 8 | 4 | 5 | 31-20 | 28 |
| 7. ვარეზე | 17 | 7 | 4 | 6 | 23-18 | 25 |
| 8. სამპდორია | 17 | 5 | 9 | 3 | 25-16 | 24 |
| 9. გროსეტო | 17 | 6 | 5 | 6 | 19-22 | 23 |
| 10. იუვე სტაბია | 17 | 7 | 4 | 6 | 24-23 | 21 |
| 11. ჩიტადელა | 17 | 6 | 3 | 8 | 18-22 | 21 |
| 12. ბარი | 16 | 6 | 4 | 6 | 13-15 | 20 |
| 13. ლივორნო | 17 | 5 | 5 | 7 | 18-15 | 20 |
| 14. კროტონე | 17 | 5 | 6 | 6 | 16-19 | 20 |
| 15. ალბინოლეფე | 17 | 5 | 4 | 8 | 23-31 | 19 |
| 16. ემპოლი | 17 | 5 | 3 | 9 | 21-26 | 18 |
| 17. ვიჩენცა | 17 | 4 | 6 | 7 | 19-24 | 18 |
| 18. ბრეშია | 17 | 4 | 6 | 7 | 14-21 | 18 |
| 19. მოდენა | 17 | 3 | 7 | 7 | 16-27 | 16 |
| 20. გუბიო | 17 | 3 | 5 | 9 | 15-29 | 14 |
| 21. ნოჩერინა | 17 | 3 | 5 | 9 | 24-30 | 14 |
| 22. ასკოლი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-23 | 5 |

შენიშვნა: ასკოლი – 10 ქულა, იუვე სტაბია - 4, ბარი – 2, კროტონე - 1 ქულა.

**ბომბარდირები:** 12 – ტავანო (ემპოლი); 10 - აბრუსკატო (ვიჩენცა); 9 - სანსოვინი (პესკარა), იმობილე (პესკარა), კოკო (ალბინოლეფე).

## ლეგა პრო 1/A

პიზა-ვიარეჯო 2:0, ბენევენტო-კარპი 0:1, აველინო-ლუმეცანე 2:1, კომო-პავია 2:1, ფოჯა-სორენტო 1:1, ფოლინო-მონცა 1:0, ტრიტიუმი-ტარანტო 1:1, რეჯანა-ტერნანა 0:2, პრო ვერჩელი-სპალ დღეს.

## ლეგა პრო 1/B

ანდრია-ფერალპიზალო 1:1, კარარეზე-სუდტიროლი 1:1, ფროზინონე-ბასანო 1:2, პიაჩენცა-ტრიესტინა 0:3, პრატო-სირაკუზა 0:1, სპეცია-ბარლეტა 1:1, ტრაპანი-ლატინა 2:0, ლანჩანო-პორტოგრუარო 0:1, კრემონეზე-პერგოკრემა 1:1.

### ● იტალია. სერია A. XIII ტური

# იუვე აღარ ხუმრობს

## ბებერ ქალბატონს კვალში მილანი ჩაუდგა

იშვიათად, კვირას სერია A-ს მხოლოდ ხუთი შეხვედრა გაიმართოს და გასულ უქმეებზე სწორედ ასეთ მოვლენასთან გვქონდა საქმე – პარასკევს, "სტადიო ფრიულიზე" "უდინეზემ" "რომას" უმასპინძლა, შაბათს კი ერთბაშად ოთხი შეხვედრა შედგა, რომელთაგან ბერგამოსა და რომში გამართული პაექრობები უნდა გამოვარჩიოთ. თავიდან, უდინურ მატჩზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა...

"რომამ" წინა ტურში, "კალიარისთან" შესანიშნავ სტილში იმარჯვა და ბევრმა ისიც კი ივარაუდა, რომ **ლუის ენრიკეს** გუნდს აღმავლობის ხანა დაეწყო – უდინურმა პაექრობამ გვაჩვენა, რომ არც მთლად მასეა საქმე და რომაულ გუნდს სტაბილურობამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია. ესპანელმა სპეციალისტმა შეტევაში ნაცადი სამეული გაამწესა: **ერიკ ლამელა, პაბლო ოსვალდო** და **მირალემ პიანიჩი**, თუმცა ამჯერად აღნიშნული სამეული ბევრი ვერაფრით გამოირჩა. ინერტული იყო წინა შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი გმირი **როდრიგო ტადეი**, რომელიც კვლავ მარცხენა ფრთაზე გაამწესეს, თუმცა არც დაცვაში იყო მაინც და მაინც საიმედო და ვერც შეტევაში ივარგა. მოკლედ, „ჯალოროსიმ" მთლიანობაში სუსტი შეხვედრა ჩაატარა და დამსახურებულად დამარცხდა. მართალია, არც "უდინეზეს" მოუწყვეტია ციდან ვარსკვლავები, მაგრამ ამ გუნდს ჰყავს **ანტონიო დი ნატალე**, ფორვარდი, რომელსაც ნახევარმომენტი ჰყოფნის იმისთვის, რომ გოლი გაიტანოს და მატჩის ბედი გადაწყვიტოს. შეხვედრის დასრულებამდე ათ წუთზე ოდნავ მეტი იყო დარჩენილი, როდესაც დი ნატალე მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა – გრძელი გადაცემა ოსტატურად მიიღო და უძლიერესი დარტყმით **მარტენ სტეკელენბურგს** შანსი არ დაუტოვა, 1:0.

ლუის ენრიკემ სცადა მატჩის გადარჩენა, შეტევაც გააძლიერა, ვაბანკზეც წავიდა, მაგრამ იმ დღეს "რომას" ქულის აღება არ ეწერა – შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე ფრიულელებმა ტრადიციული კონტრშეტევა განახორციელეს, რომელიც მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებით და **ისლას** გოლით დაგვირგვინდა, 2:0. ამ გამარჯვებით უდინელებმა კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის შეუძლიათ ბრძოლა, აი "რომას" კი ბევრი უკლია იქამდე, რომ სკუდეტოს მოპოვებაზე ჰქონდეს ამბიცია, როგორც ეს პაბლო ოსვალდოს ამასწინდელი განცხადების შემდეგ გაცხადდა.

ტურის ცენტრალური პაექრობა დედაქალაქში გაიმართა, სადაც ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონატის ლიდერები, "ლაციო" და "იუვენტუსი" წარდგნენ. თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ სრულად გამართლდა **დინო ძოფის** პროგნოზი, რომელიც ჩაკეტილი, არც თუ სანახაობრივი თამაშის მოლოდინში გახლდათ. მართალია, მომენტები ორივე კართან საკმაო რაოდენობით შეიქმნა, მაგრამ მთლიანობაში, თამაში მაინც არ იყურებოდა – ბევრი იყო ტექნიკური წუნი



ორივე გუნდის მხრიდან, განსაკუთრებით კი ეს "ლაციოზე" თქმის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომაელებმა ყველაზე სუსტი შეხვედრა ჩაატარეს მიმდინარე სეზონში და ამის შესახებ მატჩის შემდეგ თვით **ედი რეიამ** ისაუბრა:

*"არის თამაშები, როდესაც ყველაფერი გამოგდის, დღეს კი სრულიად საპირისპირო რამ მოხდა – რაც ჩავიფიქრეთ, ფაქტობრივად არაფერი გამოგვივიდა და მარცხიც ამის მიზეზი გახლდათ. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გვქონდა მომენტები და თავისუფლად შეიძლებოდა თამაში მინიმუმ ფრედ დასრულებულიყო. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გავაანალიზოთ დაშვებული შეცდომები და ხარვეზები უმოკლეს დროში აღმოვფხვრათ. ჩემპიონატი გრძელდება, მიზნად სამეულში მოხვედრა გვაქვს დასახული და მთავარი ბრძოლები წინ არის".*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც "იუვენტუსს" ჩაუტარებია საუკეთესო შეხვედრა, მაგრამ მთლიანობაში მაინც დამსახურებულად მოიგო, ერთადერთი და გამარჯვების გოლი კი პირველი ტაიმის შუაწელს **სიმონე პეპემ** გაიტანა – სიმონემ **ალესანდრო მატრისგან** მიიღო ჩინებული გადაცემა და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი **ფედერიკო მარკეტის** კარის ჩარჩოში, 0:1. ნამატჩევს **ანტონიო კონტე** ემოციებს ვერ მალავდა:

*"შესაძლოა, ეს არ იყო თვალწარმტაცი ფეხბურთი, მაგრამ მე მაინც უზომოდ კმაყოფილი ვარ, რადგან უმნიშვნელოვანესი სამი ქულა ავიღეთ. "ლაციო" ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, ვიცოდი, რომ ურთულესი ბრძოლის გადატანა მოგვიწევდა და ასეც მოხდა. მადლობა შეგირდებს, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. იყო თუ არა ფორტუნა ჩვენს მხარეს? – ყოველ შემთხვევაში, ზურგი არ გვაქცია, ეს კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა სამი ქულის მოსაპოვებლად".*

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართა ბერგამოში, სადაც "ატალანტამ" "ნაპოლი" მიიღო და მხოლოდ ქულა დაუთმო ფავორიტად შერაცხულ მეტოქეს. ეგ კი არა, მასპინძლები უკანასკნელ წუთებამდე იგებდნენ შეხვედრას და რომ არა **ედინსონ კავანის** მორიგი გმირობა, სულაც სამივე ქულას თავისთან დაიტოვებდნენ. ანგარიში **ხერმან დენისმა** გახსნა, რომელიც საუცხოო სეზონს ატარებს და სათავეში უდგას ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას, გამათანაბრებელი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ურუგვაელი, კავანის ანგარიშზეა.

ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული ასპარეზობის ფონზე, "ნაპოლი" სერია A-ში აშკარად მოიკოჭლებს და უკვე საგრძნობლად ჩამორა ლიდერთა მარაქას. სკუდეტოს რომ თავი დავანებოთ, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაც ურთულესი იქნება, რადგან მომდევნო სეზონში ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში მხოლოდ სამი იტალიური გუნდი მიიღებს მონაწილეობას. თუ კი ნეაპოლელებს კიდევ სურთ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა, სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ მდგომარეობა ეროვნულ პირველობაზე. რა თქმა უნდა, არის მეორე გზაც, მაგალითად მოიგო ლიგის მიმდინარე გათამაშება და მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩაება მომდევნო სეზონის ტურნირში, მაგრამ "ნაპოლისადმი" ჩვენი დიდი სიმპატიების მიუხედავად, ამის ალბათობა არც თუ ისე დიდია.

კვირას გამართეს შეხვედრები მილანურმა გრანდებმა – "როსონერიმ" "კიევოს" შავი დღე აყარა და პირველივე ტაიმში მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი მიართვა. ამ თამაშზე იმაზე უკეთეს ვერაფერს ვიტყვით, რომ ერთმა გუნდმა მეორე მიწასთან გაასწორა – აი "ინტერმა" კი მორიგი უფერული მატჩი ჩაატარა და დიდწილად იღბლის წყალობით დაამარცხა "სიენა". ერთადერთი და გამარჯვების გოლი **კასტაინოსმა** გაიტანა, რომელიც მეორე ტაიმში **მაურო სარატეს** ნაცვლად ჩაერთო თამაშში. მართალია, **კლაუდიო რანიერი** გამარჯვებამ უზომოდ გაახარა და ნამატჩევს შეგირდებს დითირამბები უძღვნა, მაგრამ როდესაც ცივ გონებაზე გაანალიზებს თამაშს, ვეჭვობთ კმაყოფილი დარჩეს. მოკლედ, "ინტერმა" მოიგო, მაგრამ კიდევ უფრო გაალვივა ეჭვი იმის შესახებ, რომ მიმდინარე სეზონში ძალიან გაუჭირდება მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

## მომდევნო ტური

**2 დეკემბერი:** ჯენოა-მილანი.
**3 დეკემბერი:** ინტერი-უდინეზე, ნაპოლი-ლეჩე.
**4 დეკემბერი:** კატანია-კალიარი, კიევო-ატალანტა, ფიორენტინა-რომა, იუვენტუსი-ჩეზენა, ლაციო-ნოვარა, ბოლონია-სიენა, პარმა-პალერმო.

## ჰოლანდია. ერედივიზიე.

XIV ტური

**ალკმაარი-უტრეხტი 2:0**

გოლები: 1:0 ელმი (66), 2:0 გუდმუნდსონი (89).

**ბრედა-ჰეერენვეენი 2:2**

გოლები: 0:1 ჯურიჩი (31), 1:1 ლურლინგი (42), 2:1 ზომერი (45-საკ. კარში), 2:2 იანმაატი (61).

**როდა-ჰერაკლესი 3:1**

გოლები: 1:0 იუნკერი (66), 2:0 იუნკერი (69), 2:1 ოვერტუმი (76), 3:1 მალკი (77).

**ვენლო-დე გრააფსხაპი 1:2**

გოლები: 1:0 უჩებო (17), 1:1 პოეპონი (76), 1:2 როუზი (86).

**პსვ-გრონინგენი 6:1**

გოლები: 1:0 შტრუმანი (15), 2:0 მერტენსი (30), 3:0 ლაბიადი (36), 4:0 ვინალდუმი (47), 4:1 პედერსენი (48), 5:1 მატავცი (56), 6:1 ტოივონენი (76).

**ექსელსიორი-დენ ჰააგი 1:1**

გოლები: 1:0 სტენსელი (1), 1:1 ტურნსტრა (59).

**ვაალვიკი-ფეიენოორდი 1:2**

გოლები: 1:0 ვორდე (36), 1:1 გუდეტი (76), 1:2 კაბრალი (83).

**ნიიმეგენი-აიაქსი 0:3**

გოლები: 0:1 სულეიმანი (53), 0:2 სულეიმანი (78), 0:3 კლაასენი (82).

**ტვენტე-ვიტესი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 13 | 11 | 1 | 1 | 30:8 | 34 |
| 2. პსვ | 14 | 9 | 4 | 1 | 42:16 | 31 |
| 3. ტვენტე | 13 | 7 | 5 | 1 | 33:13 | 26 |
| 4. აიაქსი | 14 | 6 | 6 | 2 | 37:22 | 24 |
| 5. ფეიეონოორდი | 14 | 7 | 3 | 4 | 27:18 | 24 |
| 6. ჰეერენვეენი | 14 | 5 | 7 | 2 | 28:22 | 22 |
| 7. ვიტესი | 13 | 6 | 3 | 4 | 18:16 | 21 |
| 8. გრონინგენი | 14 | 6 | 3 | 5 | 25:25 | 21 |
| 9. ბრედა | 14 | 5 | 3 | 6 | 22:23 | 18 |
| 10. როდა | 14 | 6 | 0 | 8 | 20:35 | 18 |
| 11. ჰერაკლესი | 14 | 4 | 5 | 5 | 20:22 | 17 |
| 12. უტრეხტი | 14 | 4 | 4 | 6 | 24:26 | 16 |
| 13. ვაალვიკი | 14 | 4 | 3 | 6 | 14:22 | 15 |
| 14. დენ ჰააგი | 14 | 4 | 3 | 7 | 17:27 | 15 |
| 15. ნიიმეგენი | 14 | 4 | 1 | 9 | 12:22 | 13 |
| 16. დე გრააფსხაპი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:30 | 12 |
| 17. ექსელსიორი | 13 | 1 | 4 | 8 | 8:25 | 7 |
| 18. ვენლო | 14 | 1 | 4 | 9 | 14:33 | 7 |

**ბომბარდირები:** 12 – მერტენსი (ეინდჰოვენი); 10 - იანკო (ტვენტე); 9 – მატავცი (პსვ); 8 - დოსტი (ჰეერენვეენი), ბონი (ვიტესი), დე იონგი (ტვენტე), ელმი (ალკმაარი), მალკი (როდა), ტოივონენი (პსვ).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## რაიო ვალეკანო-ვალენსია 1:2

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** კობენიო - ტიტო, არიბასი, ხორდი, კასადო - მოვილია (70. ტრაშორასი), ფუეგო - ლ. ბანგურა, მიჩუ, პიტი (63. ბოტელიო) - დელიბაშიჩი (54. ტამუდო).

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რამი, დეალბერტი, ალბა - ალბელდა, ტ. კოსტა - ფეგული (76. პიატი), ჟონასი (68. პ. ერნანდესი), მატიო - სოლდადო (59. ადურისი).

**გოლები:** 0:1 ჟონასი (20), 0:2 ტ. კოსტა (56), 1:2 ტამუდო (84)

**გაფრთხილება:** ფუეგო, ტიტო - ალბელდა, ადურისი, ალვეში, ალბა

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 12-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 13 000

## რეალი-ატლეტიკო 4:1

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - დიარა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (60. იგუაინი), იოზილი (77. კოენტრაო), რონალდო - ბენზემა (73. კალეხონი).

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - პერეა, გოდინი, დომინგესი, ფილიპე ლუიში - გაბი, ასუნსაო - სალვიო (82. მირანდა), დიეგო (23. ასენხო), არდა თურანი (77. რეიესი) - ადრიან ლოპესი.

**გოლები:** 0:1 ადრიან ლოპესი (14), 1:1 რონალდო (23-პენ), 2:1 დი მარია (48), 3:1 იგუაინი (64), 4:1 რონალდო (81-პენ)

**გაფრთხილება:** ჩაბი ალონსო - ფილიპე ლუიში, პერეა, გაბი, არდა, დიეგო

**გაძევება:** კურტუა (22), გოდინი (81)

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 8-23; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16-4 (7-1); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 78 500

## ხეტაფე-ბარსელონა 1:0

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, კატა დიასი, რაფა, მანე (48. ლოპო) - მიჩელი, ლასენი - სარაბია (83. პ. რიოსი), კასკერო, დ. კასტრო (91. ხ.როდრიგესი) - მიკუ.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, აბიდალი, მაქსველი (71. კვენკა) - ჩავი, ბუსკეტსი, ტ. ალკანტარა (64. კეიტა) - სანჩესი (71. პედრო), მესი, ვილია.

**გოლი:** 1:0 ვალერა (67)

**გაფრთხილება:** ლოპო, ლასენი, კასტრო, კასკერო - პიკე, ბუსკეტსი

**კუთხური:** 2-13; **ჯარიმა:** 14-6; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 7-21 (1-7); **ბურთის ფლობა:** 29%-71%.

**მაყურებელი:** 15 000

## ბეტისი-რეალ სოსიედადი 2:3

**ბეტისი (4-3-3):** კასტრო - ჩიკა (77. მოლინა), უსტარიცი, დორადო, ნაჩო - ბენატი (58. ესეკილი), ირინეი, სევილია - რ. კასტრო, სანტა კრუსი, პოსუელო (67. ხ. პერეირა).

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, ესტრადა - ელუსტონდო (71. დემიდოვი), არანბურუ - ველა, ზურუტუზა (81. პარდო), გრიზმანი - აგირეჩე.

**გოლები:** 0:1 აგირეჩე (55), 0:2 ველა (65), 1:2 პერეირა (80), 2:2 პერეირა (85), 2:3 ი. მარტინესი (90)

**გაფრთხილება:** ბენატი, ირინეი, კასტო - გონსალესი, გრიზმანი, ი. მარტინესი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 19-8; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 20-11 (5-7); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 37 000

## ლევანტე-სპორტინგი 4:0

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო (66. პ. ლოპესი), დელ ორნო - ფარინოსი, ხ. ტორესი - ვალდო, ბარკერო (72. არანდა), ხუანლუ - კონე (70. რ. სუარესი).

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, კანელია (46. დ. სუარესი) - რივერა (55. ნაჩო ნოვო), ნაჩო კასესი - ტრეხო, ანდრე კაშტრო, დე ლას კუევასი - ბარალი (55. სანგოი).

**გოლები:** 1:0 ბარკერო (19), 2:0 ვალდო (46), 3:0 კონე (50), 4:0 კონე (61)

**გაფრთხილება:** ვენტა, ხუანლუ, ბარკერო - ბოტია, ნოვო

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 10-17 (6-3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 20 000

## ესპანიოლი-ოსასუნა 1:2

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - გალანი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი (46. ტიევი), კ. გომესი (76. ალფონსო) - ვეისი, ვერდიუ, რომარიკი (46. ბაენა) - ა. ვასკესი.

**ოსასუნა (4-3-3):** ა. ფერნანდესი - დამია, რუბენი (69. როვერსიო), ფლანიო, სატრუსტეგი - პუნიალი, ნეკუნამი, რ. გარსია - სეხუდო (69. ნინო), იბრაჰიმა, ლამა (76. ლოლო).

**გოლები:** 0:1 ლამა (43), 0:2 ნეკუნამი (49), 1:2 ვასკესი (55)

**გაფრთხილება:** როდრიგესი, ფორლინი, ტიევი, ვერდიუ - ფერნანდესი, სატრუსტეგი, დამია, პუნიალი

**გაძევება:** სატრუსტეგი (76)

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 8-6 (3-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 27 000

## მალიორკა-რასინგი 2:1

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - სენდროსი, ჩიკო, რამისი, ბიგასი - პერეირა, პინა (76. ტისონე), მარტი, გ. კასტრო (20. ნსუე) - ვიქტორი, ჰემედი (65. ალვარო).

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ფრანსისი (), ტორეხონი, ბერნარდო, სისმა - დიოპი, ადრიანი (73. კოლსა) - არანა, მუნიტისი, ლუკე - სტუანი (59. ნაუელპანი).

**გოლები:** 1:0 ტორეხონი (46 ს.კ.), 2:0 ვიქტორი (58), 2:1 ნაულეპანი (75)

**გაფრთხილება:** მარტი, პინა, ვიქტორი - ტონიო, სტუანი

**გაძევება:** ბიგასი (85)

**კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 27-20; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-13 (6-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 14 500

## ბილბაო-გრანადა 0:1

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე (46. გაბილონდო) - იტურასპე, დე მარკოსი (72. ი. პერესი) - სუსაეტა, ანდერი (63. დ. ლოპესი), მუნიაინი - ფ. ლორენტე.

**გრანადა (4-2-3-1):** რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, დიახატე, სიკეირა - იებდა, მ. რიკო - უჩე, მარტინში (89. აბელი), ხარა (67. ბენიტესი) - იგჰალო (74. ხეიხო).

**გოლი:** 0:1 ი. ლოპესი (31)

**გაფრთხილება:** აურტენეჩე, მუნიაინი - რობერტო, სიკეირა, ნიომი, იებდა

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 18-13 (4-5); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 30 000

## სარაგოსა-სევილია 0:1

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ხუარესი (76. ბარერა), მატეოსი, ლანსარო, პარედესი - პონსიო, მეირა (46. რუბენ მიკაელი) - ლაფიტა, ლ. გარსია (69. ორტი), ხუან კარლოსი - პოშტიგა.

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კოკე, სპაჰიჩი, ფასიო, ნავარო - მედელი, რაკიტიჩი (87. კამპანია) - ხესუს ნავასი, ტროხოვსკი (80. არმენტეროსი), პეროტი - ნეგრედო (57. დელ მორალი).

**გოლი:** 0:1 ნეგრედო (23-პენ)

**გაფრთხილება:** ლანსარო, პარედესი, გარსია, მატეოსი, ბარერა - ტროხოვსკი, არმენტეროსი

**გაძევება:** ხუან კარლოსი (90)

**კუთხური:** 11-8; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 9-9 (4-6); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 20 000

## მალაგა-ვილიარეალი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 13 | 11 | 1 | 1 | 46-10 | 34 |
| 2. ბარსელონა | 13 | 8 | 4 | 1 | 38-7 | 28 |
| 3. ვალენსია | 13 | 8 | 3 | 2 | 21-13 | 27 |
| 4. ლევანტე | 13 | 8 | 2 | 3 | 23-12 | 26 |
| 5. სევილია | 13 | 5 | 6 | 2 | 13-10 | 21 |
| 6. მალაგა | 12 | 6 | 2 | 4 | 15-15 | 20 |
| 7. ოსასუნა | 13 | 4 | 6 | 3 | 16-25 | 18 |
| 8. ბილბაო | 13 | 4 | 5 | 4 | 19-16 | 17 |
| 9. ესპანიოლი | 13 | 5 | 2 | 6 | 10-15 | 17 |
| 10. ვალეკანო | 13 | 4 | 4 | 5 | 15-15 | 16 |
| 11. ატლეტიკო | 13 | 4 | 4 | 5 | 18-20 | 16 |
| 12. ვილიარეალი | 12 | 3 | 5 | 4 | 10-17 | 14 |
| 13. ხეტაფე | 13 | 3 | 4 | 6 | 14-19 | 13 |
| 14. ბეტისი | 13 | 4 | 1 | 8 | 12-19 | 13 |
| 15. მალიორკა | 12 | 3 | 4 | 5 | 10-17 | 13 |
| 16. გრანადა | 12 | 3 | 3 | 6 | 5-12 | 12 |
| 17. სოსიედადი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-20 | 12 |
| 18. სპორტინგი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-21 | 12 |
| 19. სარაგოსა | 13 | 2 | 4 | 7 | 12-27 | 10 |
| 20. რასინგი | 13 | 1 | 6 | 6 | 9-20 | 9 |

**ბომბარდირები:** 16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 15 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - გონსალო იგუაინი (რეალი); 8 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 7 - ქარიმ ბენზემა (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

## სეგუნდა დივიზიონი. XV ტური

**დეპორტივო-ალმერია 2:1**

**გოლები:** 1:0 გუარდადო (45), 2:0 ხ. დომინგესი (49), 3:0 ლასადი (59-პენ), 3:1 ულოა (88)

**გვადალახარა-კორდობა 3:1**

**გოლები:** 1:0 როდრი (30), 2:0 ერნესტო (33), 3:0 ანიბალი (70), 3:1 პ. დიასი (90)

**ალკორკონი-ხირონა 1:0**

**გოლი:** 1:0 ტორტოლერო (56 ს.კ.)

**გაძევება:**ესპოზიტო (39. ალკორკონი)

**ალკოიანო-ხიმნასტიკი 0:0**

**ბარსელონა II-სელტა 2:1**

**გოლები:** 1:0 დოს სანტოსი (28), 1:1 დე ლუკასი (53), 2:1 დოს სანტოსი (64)

**კარტახენა-ვალიადოლიდი 0:0**

**უესკა-ლას პალმასი 2:0**

**გოლები:** 1:0 კამაჩო (37-პენ), 2:0 რობერტო (55)

**გაძევება:** ბარბოსა (36. ლას პალმასი)

**უელვა-ხერესი 1:2**

**გოლები:** 0:1 ისრაელი (54), 0:2 ტატო (57), 1:2 სერხი (75)

**ვილიარეალი II-ნუმანსია 0:0**

ერკულესი-ელჩე 1:2

**გოლები:** 0:1 ალბაკარი (18-პენ), 0:2 ნილსენი (31), 1:2 მიჩელი (70)

**საბადელი-მურსია 2:2**

**გოლები:** 1:0 ლანსაროტე (12), 1:1 პედრო (45), 1:2 ხორხე (48), 2:2 ბა (84)

**გაძევება:** მოლინერო (62. მურსია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 15 | 10 | 1 | 4 | 15-8 | 31 |
| 2. ვალიადოლიდი | 15 | 7 | 6 | 2 | 22-14 | 27 |
| 3. ელჩე | 15 | 8 | 3 | 4 | 23-16 | 27 |
| 4. ალმერია | 15 | 7 | 5 | 3 | 20-14 | 26 |
| 5. დეპორტივო | 15 | 8 | 2 | 5 | 25-21 | 26 |
| 6. კორდობა | 15 | 7 | 4 | 4 | 16-13 | 25 |
| 7. სელტა | 15 | 7 | 2 | 6 | 25-18 | 23 |
| 8. მურსია | 15 | 6 | 5 | 4 | 19-17 | 23 |
| 9. საბადელი | 15 | 6 | 5 | 4 | 21-25 | 23 |
| 10. ბარსელონა II | 15 | 6 | 4 | 5 | 25-19 | 22 |
| 11. გვადალახარა | 15 | 6 | 4 | 5 | 18-21 | 22 |
| 12. ალკორკონი | 15 | 6 | 3 | 6 | 17-13 | 21 |
| 13. ნუმანსია | 15 | 5 | 6 | 4 | 18-15 | 21 |
| 14. ლას პალმასი | 15 | 5 | 5 | 5 | 19-20 | 20 |
| 15. ხერესი | 15 | 4 | 5 | 6 | 14-17 | 17 |
| 16. ალკოიანო | 15 | 3 | 7 | 5 | 15-19 | 16 |
| 17. უელვა | 15 | 4 | 3 | 8 | 16-19 | 15 |
| 18. ვილიარეალი II | 15 | 3 | 6 | 6 | 22-27 | 15 |
| 19. ხიმნასტიკი | 15 | 2 | 6 | 7 | 13-19 | 12 |
| 20. ხირონა | 15 | 2 | 6 | 7 | 18-26 | 12 |
| 21. უესკა | 15 | 2 | 5 | 8 | 17-26 | 11 |
| 22. კარტახენა | 15 | 2 | 5 | 8 | 9-20 | 11 |

**ბომბარდირები:** 10 - ულოა (ალმერია), ხოსელუ (ვილიარეალი II); 8 - პაუელი (ხიმნასტიკი); 7 - ასპასი (სელტა), კამაჩო (უესკა).

ესპანეთი. ლა ლიგა. XIII ტური

# ვალერა და ბარსელონა

## +6: რეალი კლასიკოს წინ წინ გაიჭრა

ტურის წინათქმაში ვწერდით შაბათის სამ მადრიდულ მატჩზე. ყველაზე დიდი ინტერესით მადრიდულ დერბის ველოდით „სანტიაგო ბერნაბეუზე“ და რას წარმოვიდგენდით, რომ გადამწყვეტი მოვლენა რიგით მესამე მადრიდულ შეხვედრაში, „ალფონსო პერეს კოლისეუმზე“ მოხდებოდა - სადაც ჩემპიონმა „ბარსელონამ“ სენსაციური, სეზონში პირველი მარცხი ინვნია, „ხეტაფესთან“ 0:1 წააგო!

ამ წაგებით **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი **ჟოზე მოურინიოსას** უკვე 6 ქულით ჩამორჩა. რაც მოურინიო „რეალის“ თავკაცია, ამხელა უპირატესობა „ბარსაზე“ არასდროს ჰქონია. კარს „ელ კლასიკოც“ მოგვადგა და თუ უშუალო დაპირისპირებაშიც იმარჯვებს „რეალი“... მოკლედ, ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა „ბარსას“, რომ ტიტულის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება, ცხადია.

თამაშის შემდეგ პეპმა კვლავ არ გააკრიტიკა თავისი ფეხბურთელები. არადა, დრო იყო ეთქვა, რომ ასე თამაშით „ბარსა“ შორს ვერ წავა: *„ფეხბურთელებს ამ მარცხს ვერ დავაბრალებ, ყოველ სამ დღეში თამაში მართლა ძალიან ძნელია. თუმცა ლიგის დასასრულამდე ჯერ ძალიან ბევრი რჩება. დღეს მეტოქეს ვულოცავთ წარმატებას, არადა, კარგად ვითამაშეთ“*, - განაცხადა „მარკასთან“ საუბარში „ბარსას“ 40 წლის თავკაცმა.

ვერ დავეთანხმებით პეპს, - მის ფეხბურთელებს კარგად ნამდვილად არ უთამაშიათ, **სესკ ფაბრეგასის** და **ანდრეს ინიესტას** არყოფნა გუნდს ძალიან დაეტყო, ხოლო რამდენიმემ უბრალოდ ჩააგდო მატჩი. მაგალითად, **ალექსის სანჩესმა, დავიდ ვილიამ** და, განსაკუთრებით, **სერხიო ბუსკეტსმა**.

„ბარსას“, რომ მოუგო, შენმა მეკარემ უბრალოდ ბრწყინვალედ უნდა ითამაშოს - ამჯერადაც ასე იყო „ხეტაფეს“ მეკარე **მიგელ მოია** მოწოდების სიმაღლეზე იყო. მან რამდენჯერმე **ლეო მესის**, ერთხელ კი ალექსის სანჩესს სახიფათო დარტყმები აულო. ერთხელ კი მოიაც გადარჩა, როცა სტუმართა გოლი მსაჯმა არ ჩათვალა.

67-ე წუთზე **პაბლო სარაბიამ** კუთხური მოაწოდა და ბუსკეტსს **ვალერამ** (26 წლის **ხუან ვალერა ესპინი**) დაასწრო, თავურით მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. ბოლო წუთები „ხეტაფეს“ გაძლებაზე ჰქონდა საქმე, თამაშგარეს გამო მესის გოლი არ ჩაითვალა, შემდეგ არგენტინელმა ძელს გაარტყა ბურთი, გამოვარდნილს კი **პედრომ** დაჰკრა უხეიროდ ფეხი... მოკლედ, შაბათს „ბარსას“ დღე არ იყო.

ზუსტად ორი საათით ადრე კი „ბერნაბეუზე“ დერბი ვიხილეთ, სადაც „რეალმა“ კიდევ ერთხელ აჯობა „ატლეტიკოს“ - 4:1. არადა, ყველაფერი სტუმართა სასარგებლოდ დაიწყო - **ადრიან ლოპესმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კარგ ცენტრფორვარდად ყალიბდება, მე-14 წუთზე იოლად დაჯაბნა **იკერ კასილიასი** - 0:1.

გადამწყვეტი მომენტი ამ ეპიზოდიდან 6-7 წუთის შემდეგ მოხდა, როცა **ანხელ დი მარია**“ატლეტიკოს“ საჯარიმოში მეკარე **ტიბო კურტუამ** მოცელა. მსაჯმა გოლკიპერი გააძევა, პენალტი კი **კრიშტიანო რონალდომ** საპასუხო გოლად აქცია, თუმცა „რეალმა“ ტაიმში მეტი ვერაფერი მიამატა პორტუგალიელის გოლს.

დაიწყო მეორე ნახევარი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, ჯერ რონალდოს პასით ანხელ დი მარიამ გაიტანა, შემდეგ **გონსალო იგუაინმა** მოპარა მცველს ბურთი და ორბურთიანი სხვაობით დააწინაურა „სამეფო კლუბი“. ბოლოს იგუაინი ურუგვაელმა **დიეგო გოდინმა** მოცელა, წითელი ბარათი მიიღო და „ატლეტიკო“ 9 კაცის ამარა დატოვა. კრიშტიანო რონალდომ დუბლი ორი 11-მეტრიანით გაიფორმა და ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა.



სხვათა შორის, მოურინიოს დაქადნების მიუხედავად, **ჩაბი ალონსო** ძალით ყვითელ ბარათს არ მიიღებსო - მასპინძელთაგან სწორედ ბასკმა ნახევარმცველმა მიიღო გაფრთხილება და ახლა ის შემდეგ ტურს გამოტოვებს, „კლასიკოზე“ კი იქნება.

ტურის პირველ მადრიდულ მატჩში „ვალენსიამ“ 2:1 მოუგო „რაიო ვალეკანოს“ **ჟონასისა** და **ტინო კოსტას** გოლების წყალობით. მადრიდელებმა მხოლოდ ბოლოსკენ გამოიღეს ხელი, **რაულ ტამუდომ** ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ მეტი მასპინძლებმა ველარ მოახერხეს. „ღამურები“ „ბარსელონას“ უკვე მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან.

კვირას, სევილიაში 5-გოლიანი თრილერი ვიხილეთ - ბასკურმა „რეალ სოსიედადმა“ „ბეტისს“ 3:2 მოუგო. სხვათა შორის, პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. უკვე მერამდენედ ხდება, რომ გადამწყვეტ სიტყვას ახალგაზრდა მცველი **ინიგო მარტინესი** ამბობს (სწორედ ის ამ სეზონში საკუთარი ნახევრიდან რომ გაიტანა გოლი). 92-ე წუთზე მან დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა და ბასკებს 3 ქულა მოუტანა.

„ლევანტეს“ ჩამოწერა ნაადრევად მოგვივიდა, მეოთხეადგილოსანი გუნდი ისევ ყოჩაღად იბრძვის. გუშინ ვალენსიელებმა 4:0 გაანადგურეს „სპორტინგი“. მატჩის გმირი 28 წლის კოტდივუარელი ფორვარდი **არუნა კონე** იყო, რომლის ანგარიშზე 2 გოლი და ერთი საგოლე პასია.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### გადმოტანილი მატჩი

29 ნოემბერი: ბარსელონა-რაიო ვალეკანო

### მომდევნო ტური

3 დეკემბერი: სპორტინგი-რეალი, რასინგი-ვილიარეალი, ბარსელონა-ლევანტე, ვალენსია-ესპანიოლი.

4 დეკემბერი: ატლეტიკო-რაიო ვალეკანო, რეალ სოსიედადი-მალაგა, ოსასუნა-ბეტისი, მალიორკა-ბილბაო, გარანდა-სარაგოსა.

5 დეკემბერი: სევილია-ხეტაფე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შოტლანდია. XVI ტური

# ესეც რეინჯერსი!

**სელტიკი–სენტ მირენი 5:0**

**გოლები:** 1:0 სამარასი (4), 2:0 ჰუპერი (8), 3:0 ჰუპერი (53), 4:0 ჰუპერი (57), 5:0 მაკგაფი (72)

**დანფერმლაინი–აბერდინი 3:3**

**გოლები:** 0:1 კონსიდაინი (45), 1:1 ბეროუმენი (54), 2:1 გრემი (62), 3:1 ბაჩმენი (69), 3:2 კიდი (81 ს.კ.), 3:3 მეგენისი (88)

**ჰართსი–ინვერნესი 2:1**

**გოლები:** 1:0 სკაცელი (46), 1:1 ტოკლი (58), 2:1 ჯონსონი (76)

**სენტ ჯონსტონი–ჰიბერნიანი 3:1**

**გოლები:** 0:1 ტაუელი (26), 1:1 სანდაზა (38), 2:1 ჰაბერი (45), 3:1 მაკაი (47)

**კილმარნოკი–რეინჯერსი 1:0**

**გოლები:** 1:0 პასკალი (80)

**მოზერუელი–დანდი 0:0**

ბოლო წუთებამდე ყველაფერი ისე მიდიოდა, რომ შოტლანდიის პრემიერლიგას, უფრო სწორად მის მე-16 ტურს, წესით, ტექსტი საერთოდ არ უნდა დასჭირვებოდა — „სელტიკმა" „სენტ მირენს" 5:0 გადაურბინა და სტუმრად „რეინჯესსაც" არ უნდა გასწყრომოდა ბედი „კილმარნოკთან", მაგრამ სწორედ აქ ყოფილა სენსაცია ჩამალული. სენსაციაა, აბა რა: „კილმარნოკს" „რეინჯერსისთვის" 1994 წლის შემდეგ არ მოუგია. გამარჯვების გოლი მასპინძელთა კაპიტანმა **მანუელ პასკალიმ** გაიტანა. კიდევ, **ალი მაკკოისტის** გუნდი 82 წლის წინანდელი რეკორდის გამეორებასაც აპირებდა — ზედიზედ მეთხუთმეტე წაუგებელი თამაშის ჩატარებას აპირებდა, მაგრამ, თურმე, „კილმარნოკი" სულ სხვანაირად ფიქრობდა. ამრიგად, სქოთთა პრემიერლიგის ჩემპიონმა მიმდინარე ჩემპიონატში პირველი მარცხი ინვნია, „სელტიკი" 4 ქულის მანძილზე მიუშვა და... შეჯიბრებას კლავ აზრი მიეცა.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 16 | 12 | 3 | 1 | 30-7 | 39 |
| 2. სელტიკი | 16 | 11 | 2 | 3 | 34-14 | 35 |
| 3. მოზერუელი | 16 | 9 | 3 | 4 | 20-18 | 30 |
| 4. სტ. ჯონსტონი | 15 | 6 | 5 | 4 | 18-12 | 23 |
| 5. ჰარტსი | 16 | 6 | 4 | 6 | 15-11 | 22 |
| 6. სტ. მირენი | 16 | 5 | 5 | 6 | 14-19 | 20 |
| 7. კილმარნოკი | 16 | 4 | 7 | 5 | 21-25 | 19 |
| 8. დანდი | 16 | 4 | 6 | 6 | 21-26 | 18 |
| 9. ჰიბერნიანი | 16 | 3 | 5 | 8 | 16-26 | 14 |
| 10. დანფერმლაინი | 16 | 3 | 5 | 8 | 19-34 | 14 |
| 11. აბერდინი | 15 | 3 | 4 | 8 | 17-21 | 13 |
| 12. ინვერნესი | 16 | 3 | 3 | 10 | 20-32 | 12 |

ბომბარდირები: 9 – ჰუპერი (სელტიკი), ნეისმითი (რეინჯერსი), იელავიჩი (რეინჯერსი); 8 - სტოკსი (სელტიკი); 7 — ო'კონორი (ჰიბერნიანი), დეილი (დანდი), ჰეფერნანი (კილმარნოკი); 6 - ჰიგდონი (მოზერუელი), სანდაზა (სენტ ჯონსტონი), შილსი (კილმარნოკი), ტეიდი (ინვერნესი); 5 - ლეფერტი (რეინჯერსი), შინი (ინვერნესი), ვერნონი (აბერდინი); 4 - ფორესტი (სელტიკი), ლეფერტი (რეინჯერსი), კი (სელტიკი), კირკი (დანფერმლაინი), შინი (ინვერნესი), მაკგოვანი (სენტ მირენი), მერფი (მოზერუელი), შერიდანი (სენტ ჯონსტონი), ვერნონი (აბერდინი).



## ბელგიის

ჟუპილერლიგა. XV ტური

| | |
|---|---|
| სტანდარდი-მეხელენი | 3:2 |
| ვარეგემი-ანდერლეხტი | 2:3 |
| ჟერმინალი-კორტრიიკი | 0:1 |
| სერკლ ბრიუგე-ლოკერენი | 1:1 |
| ლიერსი-ბრიუგე | 0:1 |
| სტ. ტრუიდენი-ლოივენი | 2:1 |
| ვესტერლო-მონსი | 2:1 |
| გენტი-გენკი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 15 | 11 | 2 | 2 | 32-13 | 35 |
| 2. გენტი | 15 | 10 | 2 | 3 | 38-18 | 32 |
| 3. ბრიუგე | 15 | 8 | 4 | 3 | 28-18 | 28 |
| 4. სტანდარდი | 15 | 8 | 4 | 3 | 22-20 | 28 |
| 5. სერკლ ბრიუგე | 15 | 7 | 6 | 2 | 19-13 | 27 |
| 6. კორტრიიკი | 15 | 7 | 3 | 5 | 21-18 | 24 |
| 7. გენკი | 15 | 6 | 5 | 4 | 28-22 | 23 |
| 8. მონსი | 15 | 5 | 5 | 5 | 28-25 | 20 |
| 9. ბეერსხოტი | 15 | 4 | 6 | 5 | 25-23 | 18 |
| 10. ლოკერენი | 15 | 4 | 5 | 6 | 21-23 | 17 |
| 11. მეხელენი | 15 | 4 | 3 | 8 | 18-30 | 15 |
| 12. ლოივენი | 15 | 4 | 2 | 9 | 17-29 | 14 |
| 13. ვარეგემი | 15 | 2 | 7 | 6 | 14-21 | 13 |
| 14. ლიერსი | 15 | 2 | 6 | 7 | 10-19 | 12 |
| 15. სტ. ტრუიდენი | 15 | 2 | 4 | 9 | 22-36 | 10 |
| 16. ვესტერლო | 15 | 2 | 4 | 9 | 13-28 | 10 |

ტრაგედია



გარი სპიდი (მარჯვნივ) გუშინწინდელ გადაცემაში

# სპიდმა თავი მოიკლა

გუშინ სამწუხარო ცნობა მოვიდა დიდი ბრიტანეთიდან - უელსის ნაკრების 42 წლის თავკაცი **გარი სპიდი** საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს, მას თავი ჩამოუხრჩვია. შეგახსენებთ, რომ სპიდი ფეხბურთელობისას „ლიდსის", „ევერტონის", „ნიუკასლის" და „ბოლტონის" ყოფილი ვარსკვლავი იყო, მას თბილისშიც უთამაშია უელსის ეროვნული ნაკრების მაისურით. არადა, წინა დღით გარი სპიდი BBC-ის საფეხბურთო გადაცემა „ფოკუსში" გამოვიდა.

ჩეშირის პოლიციაში ტრაგიკული ინციდენტის შესახებ გუშინ დილის 7 საათზე შეიტყვეს. სპიდი გადაცემაში **გარი მაკალისტერთან** ერთად გამოვიდა და შოუს წამყვანის, **დენ უოკერის** თქმით, არაფერი ეტყობოდა, რომ თავის მოკვლას აპირებდა. გარი სპიდს უელსის ნაკრებში 14 წლის განმავლობაში 85 მატჩი აქვს ჩატარებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**







3/424/GE/20.10.2011

როცა მოძრაობა სიხარულს განიჭებთ!

ვოლტარენ ემულგელი – ეს არის საშუალება გარეგანი გამოყენებისათვის. აქტიური ინგრედიენტის წყალობით მას გააჩნია ორმაგი მოქმედება: ტკივილგამაყიჩებელი (ანალგეზიური) და ანთების საწინაალმდეგო.

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №18, ტელ.: 298 27 30, 298 27 50

ვოლტარენი
დიკლოფენაკი

ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?



გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში

დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330

მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

# უცხოური ფეხბურთი

## პორტუგალია

ლიგა საგრეში. XI ტური

**აკადემიკა-ბეირა მარი** 0:1
გოლი: 0:1 ჟან ჩენდონი (5)

**ნასიონალი-მარიტიმუ** 2:2
გოლები: 0:1 დიავარა (29), 1:1 კანდეიაში (67), 2:1 რონდონი (89), 2:2 ელდონი (90-პენ)
გაძევება: რუბენი (45)

**ბენფიკა-სპორტინგი** 1:0
გოლი: 1:0 ხ. გარსია (42)
გაძევება: კარდოსო (63. ბენფიკა)

**ფეირენსე-რიუ ავე** 2:0
გოლები: 1:0 როსადო (21), 2:0 კასტრო (27)
გაძევება: როსადო (77. ფეირენსე)

**ჟილ ვისენტე-ლეირია** 2:1
გოლები: 1:0 ვიეირა (16), 2:0 ვიეირა (70), 2:1 ლეალი (78)

**პორტუ-ბრაგა** 3:2
გოლები: 1:0 ჰალკი (36), 2:0 ჰალკი (77), 3:0 კლებერი (81), 3:1 ლიმა (88-პენ), 3:2 ლიმა (91)

**ფერეირა-ოლჰანენსე** 1:1
გოლები: 1:0 მიშელი (68-პენ), 1:1 პინტუ (74)

**გიმარაეში-სეტუბალი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 11 | 8 | 3 | 0 | 28-7 | 27 |
| 2. ბენფიკა | 11 | 8 | 3 | 0 | 24-10 | 27 |
| 3. სპორტინგი | 11 | 7 | 2 | 2 | 24-11 | 23 |
| 4. მარიტიმუ | 11 | 6 | 4 | 1 | 18-13 | 22 |
| 5. ბრაგა | 11 | 5 | 4 | 2 | 15-7 | 19 |
| 6. ოლჰანენსე | 11 | 3 | 5 | 3 | 11-11 | 14 |
| 7. ჟილ ვისენტე | 11 | 3 | 5 | 3 | 12-17 | 14 |
| 8. ბეირა მარი | 11 | 3 | 4 | 4 | 7-6 | 13 |
| 9. აკადემიკა | 11 | 4 | 1 | 6 | 14-16 | 13 |
| 10. სეტუბალი | 10 | 3 | 2 | 5 | 7-14 | 11 |
| 11. ნასიონალი | 11 | 3 | 2 | 6 | 8-22 | 11 |
| 12. გიმარაეში | 10 | 3 | 1 | 6 | 14-14 | 10 |
| 13. ფეირენსე | 11 | 2 | 4 | 5 | 8-17 | 10 |
| 14. ლეირია | 11 | 3 | 0 | 8 | 12-21 | 9 |
| 15. რიუ ავე | 11 | 2 | 2 | 7 | 9-14 | 8 |
| 16. ფერეირა | 11 | 2 | 2 | 7 | 11-22 | 8 |

ბომბარდირები: 9 - დიავარა (მარიტიმუ); 7 - ედგარ სილვა (გიმარაეში), ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი); 6 - კარდოსო (ბენფიკა), კლებერი (პორტუ), ჰალკი (პორტუ); 5 - ნოლიტო (ბენფიკა).

## საფრანგეთი

ლიგა 1. XV ტური

**ბორდო-კანი** 2:0
გოლები: 1:0 გუფრანი (59), 2:0 მოდესტე (79)

**ნანსი-დიჟონი** 1:2
გოლები: 0:1 ბოტეკი (18. პენ.), 1:1 ბაკარი (26), 1:2 სანხარი (83)

**რენი-ევიანი** 3:2
გოლები: 1:0 ფერე (10), 1:1 ბარბოსა (19), 1:2 ვასი (32), 2:2 ჰაჯი (77), 3:2 ფერე (87. პენ.)
გაძევება: ბიიკი (88. რენი)

**სენტ ეტიენი-აიაჩო** 3:1
გოლები: 1:0 გრადელი (7), 2:0 სინამა-პონგოლე (33), 2:1 ფ. დიავარა (60), 3:1 ნიკოლიცა (84)

**სოშო-მონპელიე** 1:3
გოლები: 0:1 ჟირუ (50), 1:1 ა. კამარა (84), 1:2 ჟირუ (87), 1:3 ჟირუ (89)

**ტულუზი-ვალანსიენი** 2:0
გოლები: 1:0 მაჩადო (25), 2:0 დევო (63)

**ლილი-ბრესტი** 2:0
გოლები: 1:0 პაიე (11), 2:0 სოვი (88)

**ოსერი-ლიონი** 0:3
გოლები: 0:1 ლ. ლოპესი (20), 0:2 ლ. ლოპესი (68), 0:3 ბასტოსი (88)

**ლორიანი-ნიცა** 1:0
გოლი: 1:0 მვუემბა (63. პენ.)

**მარსელი-პსჟ** 3:0
გოლები: 1:0 რემი (9), 2:0 ამალფიტანო (65), 3:0 აიუ (83)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 15 | 10 | 3 | 2 | 32-17 | 33 |
| 2. პსჟ | 15 | 9 | 3 | 3 | 26-15 | 30 |
| 3. ლილი | 15 | 7 | 7 | 1 | 24-13 | 28 |
| 4. რენი | 15 | 8 | 4 | 3 | 27-19 | 28 |
| 5. ლიონი | 15 | 8 | 2 | 5 | 25-17 | 26 |
| 6. ტულუზი | 15 | 7 | 5 | 3 | 15-12 | 26 |
| 7. ლორიანი | 15 | 6 | 5 | 4 | 17-14 | 23 |
| 8. სენტ ეტიენი | 15 | 6 | 5 | 4 | 17-17 | 23 |
| 9. მარსელი | 15 | 5 | 6 | 4 | 20-15 | 21 |
| 10. კანი | 15 | 5 | 4 | 6 | 22-23 | 19 |
| 11. სოშო | 15 | 4 | 5 | 6 | 21-30 | 17 |
| 12. დიჟონი | 15 | 5 | 2 | 8 | 17-29 | 17 |
| 13. ევიანი | 15 | 3 | 7 | 5 | 19-22 | 16 |
| 14. ბორდო | 15 | 3 | 7 | 5 | 17-21 | 16 |
| 15. ბრესტი | 15 | 2 | 9 | 4 | 15-16 | 15 |
| 16. ოსერი | 15 | 3 | 6 | 6 | 20-23 | 15 |
| 17. ვალანსიენი | 15 | 3 | 5 | 7 | 15-17 | 14 |
| 18. ნანსი | 15 | 3 | 5 | 7 | 12-18 | 14 |
| 19. ნიცა | 14 | 2 | 5 | 8 | 12-17 | 11 |
| 20. აიაჩო | 15 | 1 | 5 | 9 | 13-31 | 8 |

ბომბარდირები: 11 – ჟირუ (მონპელიე), 8 – გამეირო (პსჟ), 7 – გომისი (ლიონი), ა. ტრაორე (ოსერი)

### მომდევნო ტური

2 დეკემბერი: კანი-მარსელი.
3 დეკემბერი: აიაჩო-ლილი, ბრესტი-სენტ ეტიენი, დიჟონი-სოშო, ევიანი-ვალანსიენი, მონპელიე-ლორიანი.
4 დეკემბერი: ნიცა-რენი, ბორდო-ნანსი, პსჟ-ოსერი, ლიონი-ტულუზი.

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XV ტური

| | |
|---|---|
| კოტბუსი II-მეპენი | 1:1 |
| კილი-ბერლინერი | 3:0 |
| ლაიპციგი-გერმანია | 3:2 |
| მაგდებურგი-ჰაველსე | 1:1 |
| პლაუენი-ჰამბურგი II | 1:0 |
| მოისელვიცი-ვოლფსბურგი II | 2:1 |
| ჰანოვერი II-ლიუბეკი | 3:2 |
| ჰერტა II-ვილჰელმსჰავენი | 2:1 |

### რეგიონალლიგა (სამ)

XIX ტური

| | |
|---|---|
| ვორმაცია-ფრანკფურტი II | 3:0 |
| პფულენდორფი-ფრაიბურგი II | 2:0 |
| მემინგენი-ბაიერნი II | 1:1 |
| მიუნხენი II-ფიურტი II | 0:0 |
| კასელი-ბაიერნი (ა) | 1:1 |
| ინგოლშტადტი II-ზონენჰოფი | 1:2 |
| შტ. კიკერსი-ვალდჰოფი | 0:1 |
| ჰოფენჰაიმი II-აინტრახტი II | 0:1 |
| ნიურნბერგი II-კარლსრუე II | 1:2 |

### რეგიონალლიგა (დას)

XVI ტური

| | |
|---|---|
| ელვერსბერგი-მაინცი II | 0:0 |
| ლევერკუზენი II-ლოტე | 0:0 |
| კაიზერი II-ტრირი | 4:2 |
| ვუპერტალი-ვიდენბრუკი | 3:1 |
| ბოხუმი II-ობერჰაუზენი | 1:0 |
| ესენი-შალკე II | 1:0 |
| გლადბახი II-დორტმუნდი II | 2:1 |
| კობლენცი-ფორტუნა (კ) | 2:1 |
| ვერლი-ფორტუნა II | 3:1 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XV ტური

| | |
|---|---|
| გინგამი-ბასტია | 1:1 |
| ისტრი-ბულონი | 0:0 |
| პაური-ტრუა | 3:0 |
| მეცი-ამიენი | 1:0 |
| ნანტი-მონაკო | 3:0 |
| სედანი-ლავალი | 2:1 |
| ტური-არლი | 4:1 |
| შატორუ-ანჟერსი | 0:1 |
| ლე მანი-ლანსი | 0:1 |
| კლერმონი-რეიმსი | დღეს |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| სპარტა-ეინდჰოვენი | 2:2 |
| აპელდოორნი-ტელსტარი | 2:3 |
| ემენი-მაასტრიხტი | 2:1 |
| ვოლენდამი-ვეენდამი | 3:2 |
| ფორტუნა-დორდრეხტი | 2:0 |
| იგლზი-ცვოლე | 0:1 |
| ოსი-დენ ბოში | 0:2 |
| ჰელმონდი-ვილემი | 0:7 |
| კამბური-ალმერი | დღეს |

## ბელგია

### II დივიზიონი

XV ტური

| | |
|---|---|
| ვიზე-აალსტი | 0:2 |
| ეუპენი-სტანდარდი (ვ) | 2:0 |
| დენდერი-ბორინაჟი | 1:0 |
| რუზელარე-ჰაისტი | 2:1 |
| სტ. ნიკლაასი-ლომელი | 0:3 |
| ტინენი-ვოლუვე | 0:4 |
| ანტვერპენი-შარლერუა | 1:0 |
| ოსტენდე-ვაასლანდი | 4:0 |
| ტუბიკე-ბრიუსელი | გადაიდო |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-მორეირენსე | 2:3 |
| ფრეამუნდე-სანტა კლარა | 1:2 |
| ავეში-ლეიქსოეში | 1:3 |
| ოლივეირენსე-კოვილია | 2:0 |
| ტროფენსე-ესტორილი | 0:1 |
| პენაფიელი-პორტიმონენსე | 0:3 |
| ბელენენსეში-ნავალი | 0:1 |
| მადეირა-არუკა | 2:2 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| დანდი-ფალკირკი | 4:2 |
| მორტონი-ქუინი | 2:2 |
| ლივინგსტონი-როსი | 0:3 |
| რეითი-ჰემილტონი | 3:2 |

### II დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ეირდრი-არბროა | 3:3 |
| ბრეჩინი-ისტ ფაიფი | 0:2 |
| კოუდენბითი-დამბარტონი | 0:0 |
| სტენჰაუზმური-ალბიონი | 3:0 |

### III დივიზიონი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ალოა-ისტ სტირლინგი | 1:1 |
| მონროუზი-ბერვიკი | 3:5 |

## შოტლანდიის თასი

| | |
|---|---|
| ფორფარი-სტრანრარი | 3:0 |
| პარტიკი-კულტერი | 4:0 |
| ქუინზ პარკი-ელჯინი | 3:1 |

## ავსტრია

XVI ტური

| | |
|---|---|
| რიდი-ტიროლი | 1:0 |
| ავსტრია-ვინერი | 2:2 |
| მატერსბურგი-რაპიდი | 1:2 |
| ზალცბურგი-კაპფენბერგი | 6:0 |
| შტურმი-ადმირა | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 16 | 7 | 6 | 3 | 33-22 | 27 |
| 2. რაპიდი | 16 | 7 | 6 | 3 | 28-18 | 27 |
| 3. რიდი | 16 | 7 | 6 | 3 | 25-16 | 27 |
| 4. ადმირა | 16 | 7 | 6 | 3 | 27-23 | 27 |
| 5. ზალცბურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 27-19 | 23 |
| 6. შტურმი | 16 | 6 | 5 | 5 | 27-25 | 23 |
| 7. ვინერი | 16 | 4 | 6 | 6 | 16-25 | 18 |
| 8. ტიროლი | 16 | 3 | 8 | 5 | 18-24 | 17 |
| 9. მატერსბურგი | 16 | 2 | 7 | 7 | 20-25 | 13 |
| 10. კაპფენბერგი | 16 | 2 | 3 | 11 | 13-37 | 9 |

## კვიპროსი

XI ტური

| | |
|---|---|
| ანორთოსისი-აეკ | 0:1 |
| აელ-ოლიმპიაკოსი | 3:2 |
| ალკი-ეთნიკოსი | 0:1 |
| ენოსისი-აპოელ | 0:2 |
| ერმისი-ანაგენისი | 3:2 |
| არისი-აპოლონი | 2:0 |
| ომონია-ნეა სალამისი | დღეს |

## დანია

XVII ტური

| | |
|---|---|
| ოდენსე-მიდტიულანდი | 2:3 |
| სილკებორგი-ნორდსილანდი | 1:2 |
| კოპენჰაგენი-კიოგე | 2:1 |
| სონდერიისკი-ლუნგბიუ | 3:1 |
| ოლბორგი-აგფ ორჰუსი | 0:2 |
| ბრონდბიუ-ჰორსენსი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 17 | 12 | 2 | 3 | 31-16 | 38 |
| 2. ნორდსილანდ | 17 | 11 | 1 | 5 | 25-13 | 34 |
| 3. მიდტიულანდ | 17 | 9 | 2 | 6 | 27-26 | 29 |
| 4. აგფ ორჰუსი | 17 | 7 | 7 | 3 | 24-16 | 28 |
| 5. ოლბორგი | 17 | 7 | 5 | 5 | 25-21 | 26 |
| 6. ჰორსენსი | 16 | 6 | 5 | 5 | 27-21 | 23 |
| 7. სილკებორგი | 17 | 6 | 5 | 6 | 24-23 | 23 |
| 8. ოდენსე | 17 | 6 | 4 | 7 | 28-30 | 22 |
| 9. სონდერიისკი | 17 | 5 | 6 | 6 | 21-24 | 21 |
| 10. ბრონდბიუ | 16 | 4 | 5 | 7 | 19-21 | 17 |
| 11. ლუნგბიუ | 17 | 3 | 3 | 11 | 16-31 | 12 |
| 12. კიოგე | 17 | 1 | 3 | 13 | 15-40 | 6 |

## საბერძნეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ერგოტელისი-იანინა | 2:1 |
| პაოკ-კერკირა | 0:0 |
| პანიტოლიკოსი-აეკ | 0:2 |
| ლევადია-დოქსა | 1:0 |
| პანათინაიკოსი-ოფი | 3:1 |
| პანიონიოსი-არისი | 2:1 |
| ასტერასი-ოლიმპიაკოსი | 2:0 |
| ქსანთი-ატრომიტოსი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 9 | 7 | 2 | 0 | 23-9 | 23 |
| 2. აეკ | 11 | 7 | 1 | 3 | 19-14 | 22 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 9 | 5 | 3 | 1 | 17-12 | 18 |
| 4. ატრომიტოსი | 10 | 4 | 5 | 1 | 11-10 | 17 |
| 5. პაოკ | 11 | 4 | 3 | 4 | 13-10 | 15 |
| 6. ქსანთი | 11 | 4 | 2 | 5 | 16-14 | 14 |
| 7. ოფი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-12 | 12 |
| 8. ერგოტელისი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-16 | 12 |
| 9. პანიონიოსი | 11 | 3 | 3 | 5 | 11-14 | 12 |
| 10. პანაიტოლიკ | 9 | 3 | 2 | 4 | 9-12 | 11 |
| 11. იანინა | 9 | 2 | 3 | 4 | 9-12 | 9 |
| 12. ასტერასი | 9 | 2 | 3 | 4 | 5-9 | 9 |
| 13. არისი | 9 | 1 | 4 | 4 | 6-11 | 7 |
| 14. კერკირა | 9 | 1 | 3 | 5 | 7-14 | 6 |
| 15. ლევადია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 16. დოქსა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

### II დივიზიონი

IV ტური

ანაგენისი (ი)-პანსერაიკოსი 1:1; ირაკლისი (ფ)-დიაგორასი 2:0; ფოკიკოსი-კალონი 0:0; აგროტიკოსი-პლატანიასი 0:1; ანაგენსი (ე)-ვიცასი 3:1; ეთნიკოსი (ა)-ვერია 2:1; ლარისა-პიერიკოსი 0:0; პანაჰაიკი-კალითეა 2:1; ტრასივულოსი-პანთრაკიკოსი დღეს.

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ეტუალი-კიასო | 2:1 |
| ნიონი-დელემონი | 1:0 |

## შვეიცარიის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ტუნი-სიონი | 1:2 |
| ბელინცონა-ლოზანა | 0:4 |
| ბილი-ბაზელი | 2:3 დ.დ. |
| ბილი-სერვეტი | 3:0 |
| სტ. გალენი-ციურიხი | 4:2 |
| კრინსი-გრასჰოპერსი | 2:2 პენ. 3:5 |
| ვინტერტური-იანგ ბოიზი | 1:1 პენ. 3:2 |
| ვოლენი-ლუცერნი | 1:2 |

## ურუგვაი

XIII ტური

| | |
|---|---|
| სერიტო-ლივერპული | 1:2 |
| პენიაროლი-რამპლა | 4:1 |
| რივერ პლეიტი-რასინგი | 2:1 |
| ელ ტანკე-დეფენსორი | 2:2 |
| ბელა ვისტა-სერო | 0:0 |
| სერო ლარგო-დანუბიო | 1:0 |
| მონტევიდეო-ნასიონალი | 1:3 |
| რენტისტასი-ფენიქსი | 2:0 |

## ნორვეგია

XXX ტური

| | |
|---|---|
| ოლესუნდი-ბრანი | 3:1 |
| ჰაუგესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 5:1 |
| ლილესტრიომი-ფრედრიკსტადი | 0:0 |
| რუსენბორგი-ვიკინგი | 3:2 |
| სარპსბორგი-ოდ გრენლანდი | 3:2 |
| სიოგნდალი-მიოლდე | 2:1 |
| სტარტი-ტრომსიო | 1:6 |
| ვოლერენგა-სტაბეკი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიოლდე | 30 | 17 | 7 | 6 | 54-38 | 58 |
| 2. ტრომსიო | 30 | 15 | 8 | 7 | 56-34 | 53 |
| 3. რუსენბორგი | 30 | 14 | 7 | 9 | 69-44 | 49 |
| 4. ბრანი | 30 | 14 | 6 | 10 | 51-49 | 48 |
| 5. ოდ გრენლანდ | 30 | 14 | 6 | 10 | 44-44 | 48 |
| 6. ჰაუგესუნდი | 30 | 14 | 5 | 11 | 55-43 | 47 |
| 7. ვოლერენგა | 30 | 14 | 5 | 11 | 42-33 | 47 |
| 8. სტრიომსგოდ | 30 | 12 | 9 | 9 | 44-43 | 45 |
| 9. ოლესუნდი | 30 | 12 | 7 | 11 | 36-38 | 43 |
| 10. სტაბეკი | 30 | 11 | 6 | 13 | 44-50 | 39 |
| 11. ვიკინგი | 30 | 9 | 10 | 11 | 33-40 | 37 |
| 12. ფრედრიკსტ | 30 | 10 | 6 | 14 | 38-41 | 36 |
| 13. ლილესტრიომ | 30 | 9 | 7 | 14 | 46-52 | 34 |
| 14. სიოგნდალი | 30 | 8 | 10 | 12 | 24-31 | 34 |
| 15. სტარტი | 30 | 7 | 5 | 18 | 39-61 | 26 |
| 16. სარპსბორგი | 30 | 5 | 6 | 19 | 31-65 | 21 |

## თურქეთი

### II დივიზიონი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ადანა-თავშანლი | 1:0 |
| ახისარი-ქონია | 1:1 |
| ბოლუ-ქართალი | 1:0 |
| გირესუნი-დენიზლი | 0:3 |
| გიონგურენი-ქარსიაქა | 1:3 |
| გაზიანთეფი ბბ-ბუქა | 2:1 |
| საქარია-რიზე | 0:0 |
| გიოზთეფე-ერჩიესი | 2:1 |
| ელაზიგი-ქასიმფაშა | დღეს |

## უელსი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| კარმარტენი-აფან ლიდო | 2:5 |
| ნიუ სეინტსი-ეირბასი | 3:1 |
| ნიუთაუნი-ბანგორი | 2:1 |
| პორტ ტელბოტი-ლანელი | 0:1 |
| ბალა-ნითი | 0:0 |
| პრესტატინი-ებერისტვითი | 1:0 |

## ბელარუსი

XVII ტური

| | |
|---|---|
| დინამო (ბრ)-ბატე | 1:1 |
| დინამო (მნ)-მინსკი | 3:4 |
| დნეპრი-ვიტებსკი | 1:0 |
| ნაფტანი-ბელშინა | 1:2 |
| ნემანი-ტორპედო | 0:0 |
| შახტიორი-გომელი | 4:0 |

## ბოსნია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ზვიეზდა-კოზარა | 1:0 |
| სლობოდა-სლავია | 1:0 |
| ტრავნიკი-ჩელიკი | 3:4 |
| ჟელეზნიჩარი-ლეოტარი | 2:0 |
| ბორაცი-სარაევო | 2:0 |
| ზრინსკი-რუდარი | 3:1 |
| გაბელა-ველეჟი | 0:0 |
| ოლიმპიკი-შიროკი ბრიეგი | 0:0 |

## ბულგარეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| კალიაკრა-ლოკომოტივი (ს) | 0:0 |
| ბეროე-მინიორი | 0:0 |
| სვეტკავიცა-ლევსკი | 0:1 |
| ლოკომოტივი (პ)-ლიტექსი | 2:1 |
| ვიდიმა-ბოტევი | 0:1 |
| ჩერნომორეცი-მონტანა | 2:0 |
| სლავია-ჩერნო მორე | დღეს |
| ცსკა-ლუდოგორეცი | დღეს |

## ხორვატია

XVI ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-ვარაჟდინი | 1:0 |
| ზადარი-ლუჩკო | 1:0 |
| ზაგრები-სლავენი | 1:1 |
| ისტრა-კარლოვაცი | 2:0 |
| სპლიტი-სიბალია | 1:1 |
| რიეკა-ოსიეკი | 1:0 |
| შიბენიკი-ჰაიდუკი | 1:2 |
| ინტერი-დინამო | 0:0 |

## ჩილე

XVII ტური

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-ლა სერენა | 4:1 |
| კოლო კოლო-ატ. ნუბლენსე | 2:1 |
| კობრელოა-ს. მორნინგი | 2:1 |
| კობრესალი-დეპორტესი | 3:3 |
| ო'ჰიგინსი-უაჩიპატო | 4:4 |
| პალესტინო-სან ფელიპე | 1:0 |
| ლა კალერა-ს. უონდერერსი | 1:0 |
| უნ. კონსეპსიონი-უნ. ესპანიოლა | 2:2 |
| აუდაქსი-უნ. დე ჩილე | გვ. დასრულდა |

## იაპონია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ფუკუოკა-ურავა | 1:2 |
| ჰიროშიმა-ომიია | 4:2 |
| გამბა-ვეგალტა | 1:0 |
| ნაგოია-იამაგატა | 3:0 |
| კავასაკი-იოკოჰამა | 3:0 |
| კაშივა-სერეზო | 1:1 |
| კაშიმა-შიმიძუ | 3:0 |
| კოფუ-ნიიგატა | 3:0 |
| კობე-ივატა | 3:1 |

## ჩეხეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| სპარტა-დუკლა | 0:0 |
| ლიბერეცი-იაბლონეცი | 2:2 |
| ვიქტორია-სლოვაცკო | 0:1 |
| ტეპლიცე-ბოჰემიანსი 1905 | 2:0 |
| ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 3:1 |
| სიგმა-ჰრადეცი | 0:2 |
| პრშიბრამი-პლზენი | 2:1 |
| სლავია-ბანიკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 15 | 12 | 1 | 2 | 29-10 | 37 |
| 2. ლიბერეცი | 15 | 9 | 4 | 2 | 35-18 | 31 |
| 3. ბოლესლავი | 15 | 8 | 4 | 3 | 27-16 | 28 |
| 4. იაბლონეცი | 15 | 8 | 3 | 4 | 36-14 | 27 |
| 5. პლზენი | 15 | 8 | 3 | 4 | 34-21 | 27 |
| 6. ტეპლიცე | 15 | 7 | 3 | 5 | 16-16 | 24 |
| 7. პრშიბრამი | 15 | 8 | 0 | 7 | 26-27 | 24 |
| 8. დუკლა | 15 | 5 | 5 | 5 | 18-17 | 20 |
| 9. სლოვაცკო | 15 | 6 | 2 | 7 | 15-18 | 20 |
| 10. სლავია | 14 | 5 | 4 | 5 | 14-17 | 19 |
| 11. ბოჰემიანსი | 15 | 5 | 4 | 6 | 11-23 | 19 |
| 12. ჰრადეცი | 15 | 4 | 4 | 7 | 10-18 | 16 |
| 13. ბუდეიოვიცე | 15 | 2 | 4 | 9 | 14-30 | 10 |
| 14. ბანიკი | 14 | 2 | 2 | 10 | 12-27 | 8 |
| 15. ვიქტორია | 15 | 2 | 1 | 12 | 9-29 | 7 |
| 16. სიგმა | 15 | 3 | 6 | 6 | 15-20 | 6 |

## უნგრეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ჰონვედი-პალადაში | 2:2 |
| დებრეცენი-ზალაეგერსეგი | 5:2 |
| შიოფოკი-ლომბარდ პაპა | 3:1 |
| კაპოშვარი-კეჩკემეტი | 2:1 |
| პეჩი-ვაშაში | 5:1 |
| უიპეშტი-დიორი | 1:3 |
| პაკში-ფეჰერვარი | 1:2 |
| დიოშდიორი-ფერენცვაროში | 2:3 |

## ისრაელი

XII ტური

| | |
|---|---|
| ირონი (ქ-შ)-ბეითარი | 1:0 |
| აშდოდი-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:0 |
| ბნეი საქნინი-მაკაბი (ნ) | 1:1 |
| ირონი (რ-ლ)-ჰაპოელი (ფ-თ) | 0:0 |
| ირონი (რ-ჰ)-ჰაპოელი (ჰ) | 2:0 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ა) | 1:0 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:3 |

## პოლონეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| პოლონია-პოდბესკიძე | 2:1 |
| შლიონსკი-ვისლა | 0:1 |
| ლქს-იაგელონია | 1:1 |
| გურნიკი-ზაგლებე | 4:1 |
| კორონა-ლეგია | 1:0 |
| კრაკოვია-ბელხატოვი | 2:1 |
| ლეხი-ვიძევი | 0:1 |
| ლეჩია-რუხი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შლიონსკი | 15 | 10 | 1 | 4 | 27-12 | 31 |
| 2. ლეგია | 15 | 9 | 2 | 4 | 25-10 | 29 |
| 3. რუხი | 14 | 8 | 1 | 5 | 21-15 | 25 |
| 4. პოლონია | 15 | 7 | 4 | 4 | 15-14 | 25 |
| 5. ვისლა | 15 | 7 | 3 | 5 | 15-12 | 24 |
| 6. კორონა | 15 | 6 | 6 | 3 | 17-15 | 24 |
| 7. ლეხი | 15 | 6 | 4 | 5 | 22-10 | 22 |
| 8. ვიძევი | 15 | 5 | 7 | 3 | 12-11 | 22 |
| 9. გურნიკი | 15 | 5 | 5 | 5 | 18-17 | 20 |
| 10. იაგელონია | 15 | 5 | 4 | 6 | 19-25 | 19 |
| 11. პოდბესკიძე | 15 | 4 | 5 | 6 | 12-19 | 17 |
| 12. ბელხატოვი | 15 | 4 | 3 | 8 | 19-18 | 15 |
| 13. ლქს | 15 | 4 | 3 | 8 | 11-28 | 15 |
| 14. ლეჩია | 14 | 3 | 5 | 6 | 6-11 | 14 |
| 15. ზაგლებე | 15 | 3 | 4 | 8 | 13-25 | 13 |
| 16. კრაკოვია | 15 | 3 | 3 | 9 | 9-19 | 12 |

## რუმინეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ასტრა-ჩახლაული | 0:0 |
| სპორტული-ვასლუი | 1:0 |
| პანდური-რაპიდი | 3:0 |
| სტიაუა-ბრაშოვი | 1:0 |
| ვოინტა-კლუჟი | 0:1 |
| უნივერსიტატეა-ოტელული | 1:1 |
| მიოვენი-დინამო | 0:1 |
| ტარგუ-კონკორდია | გადაიდო |
| გაზ მეთანი-პეტროლული | გადაიდო |

## რუსეთი

XXXII ტური

### საჩემპიონო ზონა

| | |
|---|---|
| ყუბანი-სპარტაკი | 1:1 |
| რუბინი-დინამო | 2:0 |
| ზენიტი-ლოკომოტივი | 2:1 |
| ანჟი-ცსკა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 32 | 18 | 11 | 3 | 61-26 | 65 |
| 2. ცსკა | 32 | 16 | 11 | 5 | 60-33 | 59 |
| 3. დინამო | 32 | 17 | 7 | 8 | 53-33 | 58 |
| 4. სპარტაკი | 32 | 16 | 9 | 7 | 51-34 | 57 |
| 5. რუბინი | 32 | 15 | 10 | 7 | 44-28 | 55 |
| 6. ლოკომოტივ | 32 | 15 | 8 | 9 | 50-34 | 53 |
| 7. ანჟი | 32 | 14 | 10 | 8 | 40-33 | 52 |
| 8. ყუბანი | 32 | 14 | 8 | 10 | 40-30 | 50 |

### გასავარდნი ზონა

| | |
|---|---|
| ნალჩიკი-ტერეკი | 3:0 |
| კრილია-ვოლგა | 1:0 |
| ტომი-კრასნოდარი | 0:0 |
| როსტოვი-ამკარი | 1:1 |

## მექსიკა

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| გვადალახარა-კერეტარო | 0:0 |
| კრუს ასული-მორელია | 1:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბორჩა-ვოევოდინა | 0:4 |
| მეტალაცი-ოფკ | 0:1 |
| იავორი-ჰაიდუკი | 2:1 |
| ბსკ-სევოინო | 4:0 |
| ცრვენა ზვეზდა-პარტიზანი | 0:2 |
| ბორაცი-რადი | 0:0 |
| რადნიჩკი-იაგოდინა | 0:0 |
| სმედერევო-სპარტაკი | 1:1 |

## სლოვაკეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-ტრნავა | 4:2 |
| ჟილინა-ბისტრიცა | 3:1 |
| შენიცა-მორავცე | 1:0 |
| სლოვანი-რუჟომბეროკი | 2:0 |
| ტატრანი-ნიტრა | 1:1 |
| კოშიცე-დ. სტრედა | 3:0 |

## სლოვენია

XX ტური

| | |
|---|---|
| დომჟალე-ცელიე | 0:2 |
| გორიცა-მურა | 1:2 |
| ნაფტა-მარიბორი | 0:3 |
| რუდარი-ტრიგლავი | 3:0 |
| კოპერი-ოლიმპია | 2:0 |

## უკრაინა

XVIII ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ვორსკლა | 6:3 |
| მეტალისტი-ტავრია | 2:0 |
| ობოლონი-დინამო | 0:1 |
| კრივბასი-ილიჩოვეცი | 2:0 |
| ვოლინი-დნიპრო | 1:2 |
| ოლექსანდრია-ზორია | 1:0 |
| კარპატი-შახტარი | 0:5 |
| არსენალი-ჩერნომორეცი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 18 | 14 | 4 | 0 | 39-8 | 46 |
| 2. შახტარი | 18 | 14 | 3 | 1 | 45-12 | 45 |
| 3. მეტალისტი | 18 | 12 | 5 | 1 | 32-14 | 41 |
| 4. დნიპრო | 18 | 9 | 3 | 6 | 28-22 | 30 |
| 5. კრივბასი | 18 | 8 | 4 | 6 | 16-14 | 28 |
| 6. არსენალი | 18 | 7 | 6 | 5 | 21-12 | 27 |
| 7. მეტალურგი | 18 | 8 | 2 | 8 | 22-21 | 26 |
| 8. ტავრია | 18 | 6 | 6 | 6 | 22-22 | 24 |
| 9. ვორსკლა | 18 | 6 | 5 | 7 | 24-26 | 23 |
| 10. ჩერნომორეცი | 18 | 5 | 6 | 7 | 16-22 | 21 |
| 11. ვოლინი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-27 | 19 |
| 12. ილიჩოვეცი | 18 | 4 | 5 | 9 | 16-28 | 17 |
| 13. კარპატი | 18 | 3 | 6 | 9 | 16-28 | 15 |
| 14. ოლექსანდრია | 18 | 3 | 5 | 10 | 15-32 | 14 |
| 15. ზორია | 18 | 3 | 3 | 12 | 14-35 | 12 |
| 16. ობოლონი | 18 | 1 | 5 | 12 | 7-27 | 8 |

## ჩრ. ირლანდია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბალიმენა-დონეგალი | 2:0 |
| კლიფტონვილი-გლენტორანი | 2:1 |
| კოლრეინი-კრუზეიდერსი | 0:0 |
| გლენავონი-დუნგანონი | 1:1 |
| კერიკი-ლინფილდი | 0:4 |
| ლისბურნი-პორტდაუნი | 0:2 |

## აზერბაიჯანი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ქაფაზი-თურანი | 1:1 |
| სუმგაიტი-რავანი | 0:1 |
| სიმურქი-ხაზარი | 2:2 |
| ბაქო-ქაბალა | 2:1 |
| ყარაბახი-ნეფთჩი | 1:2 |
| ინტერი-აზალ | 1:1 |

## არგენტინა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ტიგრე-ატლ. რაფაელა | 3:0 |
| ოლ ბოისი-ლანუსი | 0:0 |
| ნიუელსი-სან ლორენსო | 0:0 |
| რასინგი-ბელგრანო | 2:3 |
| ოლიმპო-სან მარტინი | 0:3 |
| არსენალი-ესტუდიანტესი | 1:2 |
| ველესი-კოლონი | 1:1 |
| ბანფილდი-ა. ხუნიორსი | გვ. დასრულდა |
| გოდოი-ბოკა | გვ. დასრულდა |

## ბრაზილია

XXXVII ტური

| | |
|---|---|
| ამერიკა-ატ. პარანაენსე | 2:1 |
| ატ. მინეირო-ბოტაფოგო | 4:0 |
| სეარა-კრუზეირო | 2:2 |
| კურიტიბა-ავაი | 1:0 |
| ფიგეირენსე-კორინთიანსი | 0:1 |
| ფლამენგო-ინტერნასიონალი | 1:0 |
| ფლუმინენსე-ვასკო | 1:2 |
| გრემიო-ატ. გოიანენსე | 2:2 |
| პალმეირასი-სან პაულუ | 1:0 |
| სანტოსი-ბაია | 1:1 |

## ეკვადორი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ლდუ დე კიტო-იმბაბურა | 1:2 |
| დეპ. კუენკა-ლიგა დე ლოხა | 4:0 |
| ელ ნასიონალი-ოლმედო | 4:2 |
| მანტა-ემელეკი | 2:1 |
| ესპოლი-ინდეპენდიენტე | 1:4 |
| ბარსელონა-დეპ. კიტო | გვ. დასრულდა |

## ავსტრალია

VIII ტური

| | |
|---|---|
| სენტრალ კოუსტი-მელბურნი ვ | 3:1 |
| ბრისბენი-პერტი | 4:0 |
| ველინგტონი-სიდნეი | 2:1 |
| მელბურნი ვ-გოლდ კოუსტი | 3:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი

# მერი არაბიძე მსოფლიოს ჩემპიონია


მერი არაბიძე

შორეულ ბრაზილიაში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც 79 ქვეყნის 1000-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. 18-წლიანებში შესანიშნავად იასპარეზა ქუთაისელმა საერთაშორისო ოსტატმა **მერი არაბიძემ** - ბოლო ორ ტურში ზედიზედ სძლია უნგრელ პეტრა პაპსა და აზერბაიჯანელ ნარმინ კაზიმოვას, 9 შესაძლებლიდან 8 ქულა (მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო მე-5 ტურში რუს დიდოსტატ ალინა კაშლინსკაიასთან) მოაგროვა და მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა (ვაჟებში, ამდენივე ქულით სომეხმა სამველ ტერ-საჰაკიანმა გაიმარჯვა). ტურნირის რეიტინგფავორიტმა კაშლინსკაიამ ბოლო ტურში პერუელი ან ჩიმპიტაზი დაამარცხა და 7.5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. 6,5-6,5 ქულას მონგოლმა ალთანულზიი ენხთუულმა, უნგრელმა პეტრა პაპმა, აზერბაიჯანელმა ხაიალა აბდულამ და უზბეკმა სარვინოს კურბონბოევამ მოუყარეს თავი. უკეთესი კოეფიციენტით ბრინჯაო ენხთუულს ხვდა.

14-წლიან გოგონებში **ნინო ხომერიკმა** ბოლო ტურში ლილია პოთიითს (აშშ) კი მოუგო, მაგრამ 5 ქულით მხოლოდ 29-ე ადგილს დასჯერდა. ცხრიდან ცხრა ქულით (!) ოქროს მედალი ალექსანდრა გორიაჩკინამ (რუსეთი) დაიმსახურა. ვაჟებში მისი თანამემამულე კირილ ალექსეენკო (8 ქულა) იყო პირველი. დანარჩენ ასაკებში ჩემპიონები გახდნენ: 16-წლიანებში - ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი, 7,5), იორგ კორი (პერუ, 7,5), 12-წლიანებში - ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი, 8), მირალ კარტიბეიანი (ინდოეთი, 7,5), 10-წლიანებში - ალექსანდრა ობოლენცევა (რუსეთი, 8), ჩჟუ იი (ჩინეთი, 7,5), 8-წლიანებში - ბიბისარა ასაუბაიევა (ყაზახეთი, 8), ავონდერ ლიანი (აშშ, 7,5).

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 7 მედლით რუსეთმა (3 ოქრო, 4 ვერცხლი) გაიმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ინდოეთი (1 ოქრო, 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) და ყაზახეთი (2 ოქრო, 1 ბრინჯაო) გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

# დებიუტი ვერცხლით

ხორვატიაში სენიორ მოჭადრაკეთა 21-ე მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ტურში შეჯიბრების დებიუტანტმა **ნინო მელაშვილმა** შავი ფიგურებით ჰელენ მირა (ავსტრია) დაამარცხა და 8 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა. მართალია, ამდენივე ქულა მოაგროვა ელენა ფატალიბეკოვას მძლეველმა ლუდმილა საუნინამ (ორივე - რუსეთი), მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით მას ბრინჯაო ერგო. ბოლოსწინა ტურის წინ დაწინაურებულმა გალინა სტრუტინსკაიამ (რუსეთი) თანამემამულე ნატალია ტიტორენკო დაამარცხა და 8,5 ქულით ჩემპიონობასთან ერთად დიდოსტატობაც დაიმსახურა. 7,5 ქულით **ნონა გაფრინდაშვილმა** მე-4 ადგილი, **თამარ ხმიადაშვილმა** კი 6,5 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა.


ნინო მელაშვილი

მამაკაცებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ვლადიმირ ოხოტნიკი (საფრანგეთი, 9), 2. დავორინ კომლიენოვიჩი (ხორვატია, 8,5), 3. გენადი ტიმოშჩენკო (სლოვაკეთი, 8,5).

**ვაჟა დანელია**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. დელანის ტურნირი

# ნიცაში ოქროს ვერ შევწვდით


ქემალ ხარაბაძე

ჩვენმა ბერძენ-რომაელებმა 4 ვერცხლით და 1 ბრინჯაოთი დაამთავრეს გამოსვლა ნიცაში დასრულებულ ოლიმპიურ ჩემპიონ ანრი დელანის მემორიალში. პარასკევს **მუხრან მაჭუტაძის** (66) და **რევაზ ნადარეიშვილის** მიერ მოპოვებულ ვერცხლის მედლებს შაბათს ანალოგიური სინჯის ჯილდოები **ქემალ ხარაბაძემ** (60) და **სანდრო დიხამინჯიამ** (96) დაუმატეს, **ირაკლი ქაჯაია** (96) კი მესამეზე გავიდა. უმედლოდ მხოლოდ 74-ში დავრჩით, თუმცა ბრინჯაოსთვის იქაც ვიჭიდავეთ, მაგრამ **გენადი გოგიშვილი** დამარცხდა და მეხუთეზე გავიდა, ამავე წონაში **ზურაბ დათუნაშვილი** კი მეშვიდე იყო.

74 კილოგრამის გარდა, როგორც პარასკევს, ჩვენები შაბათსაც მხოლოდ რუსებთან დამარცხდნენ, თუმცა ნიცაში სხვა სერიოზული კონკურენტი არც გვყოლია. "თავისუფალთა" ტურნირში შედარებით ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, აქ კი ძირითად კონკურენტებად ჩვენ და რუსები დავრჩით, თუმცა უძლიერესი შემადგენლობით არც ისინი გამოდიოდნენ. ეს კიდევ უფრო ცუდი, რადგან მეორე შემადგენლობითაც პირწმინდად მოგვიგეს.

ქემალ ხარაბაძემ თავიდან გერმანელი **ალექსანდერ გრებენშიკოვი** საკმაოდ იოლად, ორ პერიოდში დაამარცხა - 3:0; 2:0 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ზუსტად იმავე ანგარიშით დანიელ **ანდრეს ექსტრიომსაც** აჯობა, ფინალში კი დიდი ანგარიშით, ქულებით წმინდად წააგო რუს **რუსტამ ხუჩბაროვთან**. ეს ბიჭი პოდუბნის ტურნირის ჩემპიონი და ოლიმპიურ ჩემპიონ **ნაზირ მანკიევის** ბიძაშვილია, თუმცა რუსეთის ნაკრებში ადგილის დამკვიდრება აქამდე ვერ მოახერხა.

96-ში ორივე ჩვენებური მომავალ ჩემპიონთან, რუს **ზელიმხან ბელხაროევთან** დამარცხდა, თუმცა იქამდე ქაჯაიამ ერთი რუსის - **ამარ მამკიაგოვის** ძლევა მოასწრო (3:1; 3:2). ამ დროს დიხამინჯია ისვენებდა, რადგან ნახევარფინალში ავტომატურად იყო გასული. იმ ეტაპზე მან ჩერნოგორიელთა ნატურალიზებული რუმინელი **ადრიან მოკანუ** დაჯაბნა მშრალი ანგარიშით - 5:0 ორ პერიოდში, ქართული ფინალი კი ბელხაროევმა ჩაშალა, რომელმაც პარალელურად მიმდინარე ნახევარფინალში ქაჯაიას 4:0; 6:0 სძლია. სამწუხაროდ, მისი შეჩერება ვერც დიხამინჯიამ შეძლო ფინალში და ძირითად დროში 0:5 დამარცხდა. ქაჯაიამ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მასპინძელთა კლუბის - „ნიცა ოლიმპიკის" წევრ **მარინ გაზაჩს** აჯობა.

74-ში ჩვენებმა ორ-ორი შეხვედრა წააგო და ორივეჯერ ორივე ერთი და იმავე ფალავანთან დამარცხდა - ჯერ ძირითადი ბადიდან ტურნირის მომავალმა გამარჯვებულმა, დანიელმა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **მარკ მადსენმა** დაგვიფრინა, მერე კი დამამშვიდებელში რუსმა **ანტონ კომენკომ** მიყოლებით დასცა ჩვენებურები. მადსენმა ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი დათუნაშვილი პირველივე წრეში 1:3; 5:7 დაამარცხა. წაგება ცუდია, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა ქართველმა გამოცდილ მეტოქეს 5 ქულა აართვა (თუმცა ერთი შეხვედრისთვის ბევრიც დაკარგა). ვიკინგი გოგიშვილს ნახევარფინალში შეხვდა და 3:1; 4:2 აჯობა, მანამდე კი ჩვენებურმა ფრანგულ კლუბ „ბანიოლის" წევრ **ევერიკ ნიკოგოიანს** მოუგო. ანტონ კომენკო რომ არა, ბრინჯაოსთვის ქართველები იჭიდავებდნენ, მაგრამ რუსმა ჯერ დათუნაშვილს მოუგო, მერე კი ბევრად გამოცდილ გოგიშვილსაც გადაუწურა ყველა იმედი - 5:0;7:5.

რაკილა პარასკევს ჩვენებურთა გამოსვლაზე დაწვრილებით ვერ გესაუბრეთ, ახლა გეტყვით, რომ მაჭუტაძემ ფინალი რუსთა ინგუშ ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **ასლან-ბეკ ალბიევთან** წააგო, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონმა ნადარეიშვილმა - ასევე რუს **ზაურ კარეჟევთან**.

აქვე კიდევ ერთი საინტერესო ცნობა ფინეთიდან, სადაც ჩვენები არ გამოდიოდნენ, თუმცა ეს ამბავი ჭიდაობის ქომაგთ დააინტერესებს. იქ ერთბაშად ორი საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობდა და ერთ-ერთში „ეგვიპტელი მუმია", მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **კარამ მოჰამედ გაბერ იბრაგიმი** გამოვიდა, თუმცა წარუმატებლად - ერთი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ მერე აბსოლუტურად უცნობ ფინელთან წააგო. შეგახსენებთ, რომ ნიცაში ეგვიპტელის ერთ-ერთი მთავარი მეტოქის - რამაზ ნოზაძის გამოსვლაც იგეგმებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში მისი წაყვანა მწვრთნელებმა გადაიფიქრეს.

**ირაკლი თავაძე**

# მინსკში – მესამე!

საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილზე დაასრულა გამოსვლა მინსკში, ოლიმპიურ ჩემპიონ ოლეგ კარავაევის მემორიალში. სამწუხაროდ, ინტერნეტში ამ ტურნირის შედეგების მოძიებაც შეუძლებელია (თვით ბელარუსის ჭიდაობის ფედერაციის საიტიც არაფერს წერს), მაგრამ გარკვეული დეტალები ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივან **მალხაზ ჯორბენაძისგან** შევიტყვეთ.

ტურნირში ათი გუნდი გამოდიოდა, რომლებიც მასპინძლებმა ორ ჯგუფად გაყვეს. ჩვენებმა ჯგუფში უკრაინა (4:3), მოლდოვა (5:2) და ბელარუსის მეორე გუნდი (4:3) დაამარცხეს, ნახევარფინალში რუსებთან 2:5 წააგეს. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში კი ყაზახებს სძლიეს ისევ ნაცნობი ანგარიშით - 4:3. როგორც ჯორბენაძემ გვითხრა, ასეთი შედეგით დასრულებულ შეხვედრებში მძიმეწონოსან **შოთა გოგისვანიძეს** არ უჭიდავია - ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონს წელი სტკივა და როცა ორთაბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო, გუნდის თავკაცი **ბეგი დარჩია** ალარ აჭიდავებდა.

**ირაკლი თავაძე**

● ბატუტზე ხტომა



# რა ახლოს იყო კვარცხლბეკი

გუშინ ბირმინგემში დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრების ბოლო ოთხი დღე ახალგაზრდა სპორტსმენებს დაეთმო. უკვე გაუწყეთ, რომ 17-18-წლიანთა სინქრონულ ხტომებში **ნანა გოგაშვილმა** და **თამარ კაკაშვილმა** ვერცხლის მედალი მოიპოვეს. სხვა ასაკში ქართველი ათლეტები ახლოს იყვნენ ბრინჯაოს მედალთანაც, თანაც ორჯერ: 13-14-წლიანებში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **ანა ოდიშვილი** ფინალში პირველი შედეგით შევიდა. იქ კი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა და მე-4 ადგილს დასჯერდა, თანაც მე-3 ადგილზე გასულ იაპონელ იუკი ნაკამურას 0.195 ქულით ჩამორჩა. ანას სინქრონულ ხტომებში **თეონა ჯანჯღავასთან** ერთად შეეძლო ბრინჯაოსთვის გამოეკრა ხელი, მაგრამ 42,500 ქულით ჩვენი დუეტი მე-4 ადგილზე გავიდა: თეონას და ანას ფრანგებმა - ბრეგატამ და ლაბრუსმა 0,3 ქულით აჯობეს.

**ვაჟა დანელია**

● თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

# საქართველო რეპორტაჟის გარეშე დარჩა

დღეს სპორტკომპლექს „არენაში" (ყოფილი სკა) საქართველოს ჩემპიონატი იწყება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ქვეყნის პრიზიორებთან ერთად გამოავლენს ლიდერებსა და ლონდონის ოლიმპიადის საგზურებისთვის მებრძოლებს იმ წონებში, სადაც საგზურები აქამდე ვერ მოვიპოვეთ. ასეთი წონითი კატეგორია სულ სამია - 55, 66 და 96, მაგრამ 55-ში დაშვებულია ერთადერთი გამონაკლისი - მწვრთნელთა გადაწყვეტილებით **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** გათავისუფლებულია ტურნირისგან. მის გარდა, ასეთივე შეღავათით ისარგებლებენ მსოფლიოს ბოლო პირველობის ბრინჯაოს მედალოსნები - **დავით ხუციშვილი** (740, **დავით მარსაგიშვილი** (84) და **დავით მოძმანაშვილი** (120). აგრეთვე ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **მალხაზ ზარქუა** (60), რომლებსაც უკვე აქვთ ოლიმპიური ლიცენზიები და თამაშებისთვის საგანგებო განრიგით ემზადებიან.

ამათ გარდა, ჩემპიონატში ყველა ლიდერი გამოდის, რაც ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელთა მკაცრი მოთხოვნაა, თუმცა ერთი დანაკლისი მაინც არის - ავადმყოფობის გამო **შალვა მუზიაშვილი** (66) ვერ იჭიდავებს. სამაგიეროდ, ამ წონაში ვიხილავთ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს, ოლიმპიადისა და ევროპის ბრინჯაოს მედალოსან **ოთარ თუშიშვილს** (66), რომელიც ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ უბრუნდება სპორტს. ასევე იქნება კიდევ ერთი ოლიმპიური პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **გიორგი გოგშელიძე** (96) თუმცა ეს წონა ხვალ იასპარეზებს. დღეს 55, 66, 84 და 120 კილოგრამის წარმომადგენლები იჭიდავებენ. მძიმე წონაში ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **გიორგი საკანდელიძეც** გამოვა და უფროსებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ლევან ბერიანიძეც, რომელმაც წონა დაიკლო. 55-ში **გიორგი ედიშერაშვილსაც** ვიხილავთ და **ბესიკ გუჩაშვილსაც**.

შეხვედრები „არენაში" დღესაც და ხვალაც 11 საათზე დაიწყება და ფინალები შესვენებების გარეშე გაიმართება. სამწუხაროდ, პირდაპირი რეპორტაჟის მოწყობა არ ხერხდება - როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მალხაზ ჯორბენაძემ** გვითხრა, მოლაპარაკებები ტელეკომპანია „აფხაზეთთან" მიმდინარეობდა, თუმცა ტექნიკურად ჯერ თავად ახალგახსნილი დარბაზი ვერაა სათანადოდ აღჭურვილი და შეფერხების მიზეზიც ეს გახდა. სამწუხაროდ, I არხის ვარიანტი არც განიხილებოდაო, თორემ იქნებ მაყურებელსაც ეხილა ფინალები, თორემ სამუშაო დღეებში მათი უმრავლესობა დარბაზში ვერ მივა.

**ირაკლი თავაძე**


გიორგი გოგშელიძე

## ყურადღება!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ ფედერაციებს ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

## ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

## ანონსი

„გულწრფელი რჩევები ფედერაციას" - ამ სათაურით „ლელოს" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ **ირაკლი თავაძის** წერილს. ავტორი შესავალშივე წერს: „საქართველოს ძიუდოს ფედერაციას ალალად, უანგაროდ მინდა მივაწოდო ზუსტი ცნობები საკუთრივ ფედერაციასა თუ ნაკრებში მიმდინარე მოვლენებზე"... რჩევებითურთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

● საქართველოს XXI ჩემპიონატი. VI ტური

# ქარი სამედიცინოს ფარქვეშ



მეშვიდე ტურში ხუთიდან მხოლოდ ორ მატჩში ვიხილეთ დაძაბული მეოთხე პერიოდი. პარასკევს, რუსთავში ადგილობრივმა გუნდმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია სატურნირო ცხრილის ერთ-ერთ ლიდერ „ოლიმპს". ქვემოქართლელები მეოთხე პერიოდის წინ მინიმალური სხვაობითაც იგებდნენ, მაგრამ გადამწყვეტ რაუნდში შედარებით გამოცდილმა თბილისელებმა 10-ქულიანი უპირატესობით იმარჯვეს, საბოლოოდ - 74:65 „ოლიმპის" სასარგებლოდ.

აქვე შეგახსენებთ, რომ პარასკევსვე „დინამომ" ექვსკაციან „ბათუმს" აჭარაში 98:66 მოუგო. ტურის მომდევნო სამი შეხვედრა შაბათს თბილისში გაიმართა. ისევე როგორც მეექვსე ტურში, „სოხუმის" თსუ-სთან დიდი სხვაობით მოგება იყო მოულოდნელი, მეშვიდე ტურში სოხუმელების 23-ქულის სხვაობით დამარცხებას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.

ტურის ცენტრალური მატჩი კი სტუდენტური დერბი გამოდგა, რომელშიც ყველა ოვერტაიმს ელოდა, როცა...

დანარჩენს უშუალოდ მატჩის მიმოხილვაში წაიკითხავთ.

**26 ნოემბერი**

**თბილისი. სპორტის სასახლე**

**სოხუმი-ქუთაისი 61:84**

**15:14, 14:29, 19:20, 13:21**

**სოხუმი:** გაფრინდაშვილი (4ქ), ფარლალავა (23ქ), ფაცაცია (16ქ, 15მ), ჯგერენაია (2ქ), ქადარია (7ქ), კანკია, ჩლაიძე, სორდია (9ქ).

**ქუთაისი:** ბაბუნაშვილი (5ქ), ცეკვავა (14ქ), დიდია (10ქ), დ. ბარბაქაძე (17ქ), მათიაშვილი (17ქ, 9მ), ფაშაევი (6ქ), ლომინაშვილი, გ. ბარბაქაძე (13ქ, 9მ), კოლუაშვილი (2ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი

**კომისარი:** რ. ხომერიკი

მეექვსე ტურში თსუ-ს დამაჯერებელი ძლევის შემდეგ „სოხუმისგან" „ქუთაისთან" ასევე კარგ თამაშს ველოდით, რაც საინტერესო მატჩის საწინდარი უნდა გამხდარიყო. მითუმეტეს, რომ მეშვიდე ტურის წინ სოხუმელები ორი კადრით გაძლიერდნენ: ამერიკიდან ჩამოვიდა ფორვარდი **გიორგი ჯგერენაია**, რომელიც საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში გამოდიოდა. მთავარი სიახლე კი მწვრთნელის, **რიმვიდას სამოელინასის** გამოჩენა იყო, რომლისთვისაც „ქუთაისთან" შეხვედრა სადებიუტო იყო. სხვათა შორის, ჯგერენაია რამდენიმე წლის წინათ ლიტვაში, **არვიდას საბონისის** აკადემიაში სწორედ სამოელინასის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა.

წინა ტურში „ქუთაისმა" შინ წააგო შსს-სთან, რის შემდეგაც რეაბილიტაცია სწორედ „სოხუმთან" მატჩში სცადა. გამოუვიდა კიდეც - მაქსიმალურად შეუზღუდა სივრცე მასპინძელთა ლიდერებს **ლაშა ფარლალავასა** და **ლევან ფაცაციას**, რომლებიც ბოლო მატჩებში 30-ზე მეტ ქულას აგდებენ. შაბათს კი ლაშამ 23 ქულა მოაგროვა, ლევანმა - 16. სხვა სოხუმელები 10-10 ქულას ვერ ასცდნენ. გამოსარჩევია „ქუთაისის" გუნდური გარჯა.

სამწამიანი ზონიდან იმერლებმა ორჯერ მეტი ქულა მიითვალეს: 44:22. ასეთი სხვაობა იმიტომაც დაფიქსირდა, რომ ვარჯიშისას ლავიწის ძვალი დაუზიანდა 225 სმ სიმაღლის **სერგო ათუაშვილს**.

**26 ნოემბერი**

**თბილისი. სპორტის სასახლე**

**სტუ-არმია 71:112**

**19:28, 27:28, 14:25, 11:31**

**სტუ:** ძიძიგური (14ქ), ანთაძე (5ქ), ვ. ბერუაშვილი (10ქ, 8მ), ჩაჩიბაია (5ქ), კობიძე (9ქ), თევზაძე (2ქ), მაჩალაძე (6ქ), ხანიაშვილი (18ქ), ჯავახიშვილი, დეკანოიძე, კორძაძე (2ქ).

**არმია:** დიასი (4ქ), კვიმსაძე (8ქ), საყვარელიძე (10ქ, 8პ), ბაბიაშვილი (16ქ, 11მ), შელბომი (11ქ), რიჩარდსონი (16ქ), ბოისა (13ქ, 10მ), მინაშვილი (16ქ), მოსეშვილი, ათანელიშვილი (13ქ), გეინსი (5ქ, 8პ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი, ს. საინერსი

**კომისარი:** მ. რატიშვილი

„არმიამ" ახალგაზრდულ სტუ-ს 112:71 აჯობა. სხვაობა სოლიდურია, მაგრამ ვინც მატჩი იხილა, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ შეხვედრა უფერული სანახავი არ იყო. **ზურაბ ტომარაძეს** კარგად ორგანიზებული სტუდენტური გუნდი ჰყავს, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს მეტოქის რეგალიებს - თანატოლთანაც და ფავორიტთანაც ბოლომდე იბრძვის.

ამიტომაც თქვა ნამატჩევს არმიელთა თავკაცმა **კოტე ტულუშმა** - ახალგაზრდა მეტოქემ ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია და ევროჩელენჯის გასვლითი მატჩის წინ კარგი სპარინგი გამოგვივიდაო. მწვრთნელმა სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზი მოსინჯა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ „არმიაში" საკმარისად დაიტვირთნენ ქართველი კალათბურთელები. შესაძლოა, მწვრთნელი ადგილობრივებს გერმანულ „გოტინგენთან" (მატჩი ხვალ გაიმართება) სათამაშოდ ამზადებდა. საბოლოოდ სამმა კალათბურთელმა მოაგროვა 16-16 ქულა, რომელთაგან ორი ქართველია: ვახტანგ მინაშვილი, **ზვიად ბაბიაშვილი, ჯერემი რიჩარდსონი.** ორმაგი დუბლი მიითვალა **ანატოლი ბოისამ** - 13 ქულა, 10 მოხსნა.

„არმიის" განაცხადში არ იყო **უილიამ ტომასი**, რომელსაც ფეხის ტრავმა ჰქონდა, თუმცა მწვრთნელმა კოტე ტულუშმა დაგვამშვიდა - ტრავმა უმნიშვნელოა, ტომასი გერმანიაში ითამაშებსო.

არ უნდა გამოგვრჩეს მთავარი: 112 ქულა ჩემპიონატის რეკორდია.

**26 ნოემბერი**

**თბილისი. სპორტის სასახლე**

**სამედიცინო-თსუ 91:93**

**27:24, 17:27, 17:25, 30:17**

**სამედიცინო:** სამოილოვიჩი (7ქ), ჭოჭუა (6ქ), ტომარაძე (2ქ), ბექაური (20ქ, 12მ), ილიჩი (13ქ), ჩიკვილაძე (13ქ), ყველაშვილი, პირველაშვილი (6ქ), აბაიშვილი (19ქ), შვანგირაძე (5ქ).

**თსუ:** კოხრეიძე, ზ. მაისურაძე (24ქ), ჩქარეული, ნინიაშვილი (29ქ, 11მ), შერმადინი (6ქ), ფანჩულიძე (2ქ), კორკოტაძე, მარკოიშვილი (10ქ), ჩიტაშვილი (22ქ, 10პ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე.

**კომისარი:** რ. ხომერიკი

ტურის ცენტრალური მატჩი სტუდენტური დერბი იყო. თსუ-სა და „სამედიცინოს" დაპირისპირება თავიდან ბოლომდე სანახაობრივი გამოდგა, რომელსაც განსაკუთრებული ეფექტი გულშემატკივართა სიუხვემ შემატა.

თსუ-ს მწვრთნელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** „მედიკოსებს" ერთგვარი სიურპრიზი შესთავაზა: ლიდერის ფუნქციები დააკისრა ახალგაზრდა **ზურაბ მაისურაძეს**, რომელმაც სნაიპერული თვისებები გამოავლინა - 35 წუთში 24 ქულა მიითვალა (9-დან 6 ორქულიანი, 7-დან 4 სამიანი). თსუ-ელთაგან შეტევაში ასევე გამოირჩა **თორნიკე ნინიაშვილი**, რომელიც მატჩის სნაიპერი გახდა - 29 ქულა, 11 მოხსნა.

„მედიკოსთა" რიგებში კი **ბექა ბექაურმა** მიითვალა ორმაგი დუბლი: 20 ქულა და 12 მოხსნა. სწორედ ამის შედეგია, „სამედიცინომ" მეტოქეს მოხსნებში 47:34 რომ აჯობა.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ კიდევ ორი კალათბურთელი - **მალხაზ აბაიშვილი** („მედიკოსთაგან") და **მიხეილ ჩიტაშვილი** (თსუ-დან). ორივემ ბოლო წუთებზე გამოიჩინა თავი...

მესამე პერიოდის ბოლოს თსუ 76:61 დაწინაურდა, თუმცა **ნუგზარ კანდელაკის** შეგირდებმა მებრძოლი ხასიათი გამოავლინეს და საფინალო სირენამდე 12 წამით ადრე აბაიშვილის ზუსტი სამქულიანის შემდეგ ანგარიში გაათანაბრეს (91:91). დარჩენილ დროში ჩიტაშვილი ქარივით შეიჭრა „სამედიცინოს" ფარქვეშ და გამარჯვების ორქულიანი ჩააგდო.

მატჩის ოქმში ჩიტაშვილის გასწვრივ ეფექტური სტატისტიკა დაფიქსირდა: 33 წუთი, 22 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა. ეს ციფრები და მიშას ბოლო წამების ნამოქმედარი მისი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელების საწინდარი გახდა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 6 | 6 | 0 | 563/391 | 12 |
| 2. სოხუმი | 7 | 5 | 2 | 607/524 | 12 |
| 3. ქუთაისი | 7 | 5 | 2 | 579/516 | 12 |
| 4. ოლიმპი | 6 | 5 | 1 | 478/441 | 11 |
| 5. სამედიცინო | 7 | 3 | 4 | 608/623 | 10 |
| 6. დინამო | 7 | 3 | 4 | 591/623 | 10 |
| 7. შსს | 6 | 3 | 3 | 514/515 | 9 |
| 8. სტუ | 6 | 3 | 3 | 514/543 | 9 |
| 9. თსუ | 6 | 2 | 4 | 462/492 | 8 |
| 10. ბათუმი | 6 | 0 | 6 | 421/529 | 6 |
| 11. რუსთავი | 6 | 0 | 6 | 427/567 | 6 |



● ლეგიონერები



# ფაჩულიასა და გალას მორიგი წარმოდგენა

ისევეროგორც **თორნიკე შენგელიას** „შარლერუას", შიდა ჩემპიონატში **ზაზა ფაჩულიას** „გალათასარაიმაც" მეექვსე მატჩი მოიგო. თურქეთის პირველობაზე მასაც ერთი წაგება აქვს.

ბოლო ტურში „გალამ" „სოხუმიდან" წასული **მარკ სალიერსის** „ტრაბზონსპორს" უმასპინძლა და 20 ქულის სხვაობით დაამარცხა - 87:67.

გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ნაკრების ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც სწორედ იმდენი წუთი ითამაშა, რა ნომერიც „ატლანტაში" ზურგზე აწერია: 27 წუთი, 11 ქულა, 12 მოხსნა. ეს მისი მეორე ორმაგი დუბლია „გალათასარაის" მაისურით. პირველი დაბლ-დაბლი მან გასულ კვირას „პროკომთან" ევროლიგის მატჩში მიითვალა.

მკითხველს, ალბათ, ძალიან აინტერესებს, რამდენ ხანს დარჩება ზაზა თურქეთში. მოგეხსენებათ, NBA-ში ლოკაუტი დასრულდა და ახალი სეზონი 25 დეკემბერს დაიწყება.

- ჯერჯერობით სტამბოლში ვარ, ამერიკაში დეტალების საბოლოოდ გარკვევას ველი. სავარაუდოდ მომავალი ორშაბათიდან შევუერთდები „ატლანტას", - გვითხრა ფაჩულიამ.

# გენტი და ცამეტი

„შარლერუამ" ბელგიის ჩემპიონატში მეშვიდე ტურის მატჩი ჩაატარა და მეექვსედ მოიგო. **თორნიკე შენგელიას** თანაგუნდელებმა „გენტს" აჯობეს - 75:67. „შარლერუას" ისევე გაუჭირდა ბელგიელი მეტოქის ძლევა, როგორც ორიოდე დღის წინ „რეალს" - „შარლერუას" დამარცხება.

საწყისი ორი მეოთხედი გენტელებმა მოიგეს და მეოთხე რაუნდის წინ 58:52 დაწინაურდნენ. თუმცა მეტოქესთან შედარებით უკეთესი გუნდი რომ არის, „შარლერუამ" მეოთხე პერიოდში დაამტკიცა, მოიგო რა 23:9.

გამარჯვებულთა ბომბარდირი **დემონდ მალეტი** გახდა (16 ქულა), ხოლო თორნიკე შენგელიამ და **ჟირი ველშმა** 13-13 ქულა მოაგროვეს. ქართველმა თავდამსხმელმა 18 წუთი ითამაშა და 13 ბალს 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიამატა. თორნიკე მოედანზე მეტ დროს გაატარებდა, ხუთი ჯარიმა რომ არ მიეღო.

„შარლერუა" 6 მოგებითა და 1 წაგებით ბელგიის ჩემპიონატში პირველ ადგილზეა. საპირისპირო სიტუაციაშია ევროლიგაზე: 1 მოგება 5 წაგება, ბოლო მეექვსე ადგილი C ჯგუფში. მომდევნო ეტაპზე მოხვედრის შანსი რომ შეინარჩუნონ ბელგიელებმა უახლოეს მატჩში შინ უნდა დაამარცხონ თურქული „ეფესი", რომელსაც სტუმრად მოუგეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



● სუმო. კიუშუს ბაშო. 13-27 ნოემბერი



# სამი ანტირეკორდი

იაპონიაში მოასპარეზე სამმა ქართველმა სუმოისტმა კარიერის ანტირეკორდებით დაასრულა კუნძულ კიუშუს ბაშოზე ასპარეზობა. **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** და **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** 2-2 ორთაბრძოლის მოგება ძლივს შეძლეს, ხოლო **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** - მხოლოდ ერთის. სულ ხუთი გამარჯვება სამ კაცზე! იმპერატორის თასი კი ჰაკუჰოს დარჩა 14-1 შედეგით.

**XIV დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ჰარუმაფუჯი (ოშიტაოში), ბარუტო-კოტოოშუ (შიტატენაგე), კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა (ოშიდაში), გოეიდო-კაკურიუ (ოშიდაში), კისენოსატო-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), ჰომაშო-**გაგამარუ** (ცუკიოტოში), არანი-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), ტამავაში-**კოკაი** (ცუკიოტოში).

**XV დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ბარუტო-ჰაკუჰო (ჰატაკიკომი), კოტოოშუ-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-კისენოსატო (ვატაშიკომი), კაკურიუ-ტოჩინოვაკა (ცუკიდაში), კიტატაიკი-ტოიონოშიმა (ოშიდაში), მიაბიამა-ჰომაშო (ჰატაკიკომი), ოკინოუმი-**გაგამარუ** (ოკურიდაში), **ტოჩინოშინი**-ცურუგიდაკე (იორიკირი), კიმურაიამა-**კოკაი** (ჰიკიოტოში).

**საბოლოო მდგომარეობა**

14-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა).
12-3: ვაკაკოიუ (მაეგაშირა 9).
11-4: ბარუტო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (ოძეკი), მიაბიამა (მ 6), აოიამა (მ 16)... **2-13: ტოჩინოშინი** (მ 2), **გაგამარუ** (მ 3)... 1-14: **კოკაი** (მ 10).

**პრიზები**

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (21-ე)
ბრწყინვალე ასპარეზობა: არავის
მებრძოლი სული: ვაკაკოიუ (1-ელი)
მებრძოლი სული: აოიამა (1-ელი)
ტექნიკური რიკიში: კისენოსატო (1-ელი)
ჟიურის ჩემპიონი: იკიოი (1-ელი)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჩოგბურთი

# მარცხი მეოთხედფინალში

10-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალისტობა სულ 4 ქულად ფასდება, ჰონორარი აქ მოსატანიც არ არის - ტურნირზე გამგზავრების ხარჯსაც ვერ ანაზღაურებს. ასეთ შეჯიბრებაში ფინალში მაინც თუ ვერ გახვალ, სჯობს დაისვენო, მით უფრო, როცა საჩოგბურთო სეზონი ფაქტობრივად დასრულებულია. ასე რომ, 19 წლის **ეკა გორგოძეს** (403) აქტივში ვერ ჩავუთვლით ანთალიაში მეოთხედფინალში მარცხს. მე-3 ნომრად განთესილმა ქართველმა მე-5 ნომრად განთესილ ჰოლანდიელ **დანიელე ჰარმსენთან** (485) წააგო - 6:2, 3:6, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




● საქართველოს თასი

# არმიას დუბლი პირველივე ცდაზე

**არმია–ყოჩები 26:16**

არმია: (15-9) კობახიძე, ტუჩაშვილი, გაბროშვილი (გაგოშვილი 64), მჭედლიძე, შკინინი, ელიზბარაშვილი, სამხარაძე. (1-8) ქორიძე (კაკოვინი 58), მეკოკიშვილი, დონაძე (ნავროზაშვილი 64), ბიწაძე, ბუჯიაშვილი (ცხადაძე 75), თხილაიშვილი, კალმახელიძე, თავართქილაძე.
2ლ: ელიზბარაშვილი, თხილაიშვილი. 4ს,2გ: კობახიძე
ყოჩები: (15-9) მახარაშვილი, ხარშილაძე (ხელაძე 70), მაისურაძე (გარუჩავა 69), ინაშვილი, გეგენავა, გაბუნია, ბეგაძე. (1-8) ესაკია (გოგიშვილი 46), მამუკაშვილი, ხოსიტაშვილი (ბეჟიაშვილი 62), ბელაშვილი (ნიკლაური 68), არჩუაშვილი, ცხვედიანი, მალალურაძე, ნიკოლეიშვილი.
ლ: მალალურაძე. 3ს,გ: მახარაშვილი
მსაჯი: გ. ამირხანაშვილი

ყველაზე ახალგაზრდა ქართულმა კლუბმა პირველივე ცდაზე დუბლი დაიმსახურა. „არმიამ“, რომელიც წლეულს შეიქმნა, საქართველოს ჩემპიონის ტიტულს, თასიც მიუმატა - „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე თასის ფინალში თბილისის „ყოჩები“ დაამარცხა - 26:16.

*„ჩვენ ვცდილობთ სწრაფად, ხელდახელ ბურთაობით ვითამაშოთ. საქართველოში ასე ბევრი ვერ თამაშობს. ეს ძალიან რთულია და მთელი მატჩის განმავლობაში ასე ასპარეზობას ვერ ვახერხებთ. თავიდან გვიჭირს, თუმცა მერე გუნდი კონცენტრაციის მობილიზებას ახერხებს და ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ამასთან ერთად, ვმუშაობთ, რომ ეს ხარვეზიც გამოვასწოროთ“* - თქვა ნამატჩევს „არმიას“ მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლოზ ჭავჭავაძემ.**

გიორგი ელიზბარაშვილის სალელოვე შეტევა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



არმიელებს თითქოს თამაშის მანერად ექცათ ის, რომ მატჩის საწყის წუთებს თითქმის ყველა მეტოქესთან თმობს. ასე იყო ამჟამადაც. „ყოჩები“ პირველი ოცი წუთის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ. მწყობრად, საკმაოდ სახიფათოდ უტევდნენ. ეტყობოდა, რომ ფინალისთვის მწვრთნელებმა საფუძვლიანად იმუშავეს, თუმცა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მხოლოდ სამი ქულის ალება მოახერხეს.

ანგარიშის გახსნა „ყოჩებს“ მე-8 წუთზე შეეძლოთ, თუმცა ფულბეკმა **შავლეგ მახარაშვილმა** საჯარიმო 48 მეტრიდან ვერ გაიტანა. ექვს წუთში კი მანვე ექვსი მეტრით უფრო ახლო მანძილიდან ბურთი კარის ძელებს შორის ზუსტად გაატარა - 3:0.

„ყოჩებმა“ პირველ ნახევარში მონაგარს ველარაფერი შესძინეს. სამაგიეროდ მე-20 წუთიდან მოყოლებული მთალი სიმძლავრით ამოქმედდა „არმია“. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მეტოქეს ყველაზე მეტ პრობლემებს გარემარბები **გიორგი შკინინი** და **ალექსანდრე ტუჩაშვილი** უქმნიდნენ.

ანგარიში 21-ე წუთზე საჯარიმოთი „არმიას“ ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** გაათანაბრა - 3:3. ორ წუთში არმიელებმა მოედნის ცენტრში შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს. ცხრა ნომერმა **ბიძინა სამხარაძემ** გარღვევაზე მგეზავი **გიორგი ელიზბარაშვილი** გაიყვანა, რომელმაც 55 მეტრი ირბინა, ზედ ლელოს მისადგომებთან მას მახარაშვილი წამოეწია და უკნიდან ნახტომში ხელით მოცელა. ელიზბარაშვილმა წამოდგომა და ჩათვლის მოედანში შეღწევა მოახერხა. კობახიძემ გარდასახა - 10:3.

კობახიძეს კიდევ ორჯერ მიეცა შანსი ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო გაეზარდა. თუმცა ეს მხოლოდ ტაიმის მიწურულს ისევ საჯარიმოთი შეძლო - 13:3. ასე დასრულდა მატჩის პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ, „ყოჩებმა“ ისევ აქტიურად შეუტიეს. მახარაშვილმა 49-ე წუთზე ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო ვერ გაიტანა, თუმცა შეცდომა ერთ წუთში გამოასწორა და ანგარიშში სხვაობა შვიდ ქულამდე შეამცირა - 6:13. მეტოქესთან ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ერთი გარდასახული ლელო კმაროდა. „ყოჩები“ ბევრს ეცადნენ, მაგრამ...

55-ე წუთზე „არმიას“ მორიგი მასირებული შეტევა კარის ძელებს შორის ლელოთი მესამეხაზელმა **გიორგი თხილაიშვილმა** დაასრულა. კობახიძემ გარდასახა - 20:6.

„ყოჩებმა“, რომელიც ყოველთვის ბოლომდე მებრძოლი გუნდი იყო, ფარ-ხმალი არც ამჯერად დაყარა და მატჩის გადარჩენისთვის ყველაფერი ილონა. 69-ე წუთზე „არმიამ“ შეცდომა დაუშვა. არმიელებმა დერეფანი საკუთარი ლელოდან შვიდ მეტრში მოიგეს. ბურთი ხაზზე გაიტანეს და 22-მეტრიანი ზონიდან ხელდახელ შეტევა სცადეს.

„ყოჩებმა“ მეტოქის განზრახვა იქვე აღკვეთა, რაკში ბურთი წაართვა და მარჯვენა მოკლე ფრთაზე შეუტია. ცხრა ნომერმა **გიორგი ბეგაძემ** შეტევაში გარემარბი **ირაკლი გეგენავა** ჩართო, ამან უფრო მარჯვნივ შეცვლაზე შესულ **დავით ცხვედიანს** გადააწოდა, რომელმაც კიდესთან მესამეხაზელი **ჯაბა მალალურაძე** მოძებნა, რომელსაც ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია. მახარაშვილმა გარდასახა - 20:13.

მატჩის დასრულებამდე დარჩენილ ათ წუთში „არმიას“ დამრტყმელმა კობახიძემ ორი საჯარიმო გაიტანა, რაზეც „ყოჩების“ ფულბეკმა მახარაშვილმა მხოლოდ ერთით უპასუხა - 26:16.

მატჩის შემდეგ:

**ლევან მგელაძე,** „ყოჩების“ მწვრთნელი:

*„ვულოცავ „არმიას“ გამარჯვებას. შესანიშნავი გუნდია და დამსახურებულად გაიმარჯვეს. ამ მატჩისთვის მისამზადებლად დრო ცოტა გვქონდა, პირობებიც არ იყო დამაკმაყოფილებელი. თუმცა მატჩის დასაწყისში რაც ჩაფიქრებული გვქონდა ვაკეთებდით, უპირატესობასაც ვფლობდით, მაგრამ ლელოს მიღების შემდეგ აირია გუნდი. „ყოჩებს“ ბრძოლისუნარიანობა არასდროს აკლდათ, თუმცა ტექნიკური წუნი გვქონდა ხშირი, რამაც, ცხადია, თამაშის მსვლელობაზეც იქონია გავლენა და შედეგ ზეც.“*

**შალვა მამუკაშვილი,** „ყოჩების“ კაპიტანი:

*„არმია“ ძალიან სწრაფ, კარგ რაგბის თამაშობს. ამას ისიც მოჰყვა, რომ ბევრი შეცდომა დავუშვით დერეფანსა და შერკინებაში. მეტოქე ფიზიკურადაც ღონიერია და ჩვენი თამაში თავს ვერ მოვახვიეთ.*

*ისიც აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც ჩემთვის, ბევრი ჩემი თანაგუნდელისთვის ეს პირველი ფინალი იყო კარიერაში. გამოცდილება გვაკლდა, თუმცა კარგი გაკვეთილი მივიღეთ.“*

ნიკოლოზ ჭავჭავაძე, „არმიას“ მწვრთნელი:

*„ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ რთული იყო თასის გათამაშებაზე ყურადღების კონცენტრირება. თუმცა ერთმანეთის გვერდში დგომით, ურთიერთდახმარებით და იმ ერთიანობით, რაც ჩვენს გუნდშია, ეს მაინც შევძელით. საწყისი 20 წუთი გაგვიჭირდა, თუმცა საკუთარი თამაშის პოვნა მაინც შევძელით, რაც შედეგ ზეც აისახა.*

გიორგი ელიზბარაშვილი, „არმიას“ კაპიტანი:

*„აქამდე სულ ფულბეკად ვთამაშობდი, მგეზავის პოზიციაზე თამაშის გამოცდილებაც მქონდა, მაგრამ არმიაში მუდმივად ათი ნომერი ვარ, თუმცა ამ მატჩში გამარჯვებას იმიტომ მივაღწიეთ, რომ ყველამ ვიცოდით ჩვენი საქმე, რა და როგორ უნდა გაგვეკეთებინა. ამ ერთიანობამ მოგვიტანა წარმატება“.*

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ტესტები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეტფილდის გაცილება არ გამოვიდა

**ავსტრალია–ბარბაროსები 60:11**

ავსტრალია: (15-9) ეშლი-კუპერი, ტერნერი, ჰორნი, ბარნსი (ტაპუაი 36), იოანი, ოკონორი, გენია (ფიპსი 55). (1-8) სლიპერი, პოლოტანაუ, მააფუ (სამო 42), საიმონსი, შარფი (ჰორვილი 49), ჰიგინბოთამი, პოკოქი (ჰოჯსონი 55).
8ლ: იოანი (2), ტერნერი (2), ჰორვილი (2), ჰორნი, სამო. 7გ,ს,ა: ოკონორი.
ბარბაროსები: (15-9) ტოეავა (უაითი 41), ტომკინსი, ფრუნი, მორთლოქი, ჰაბანა, სიპრიანი, სტრინგერი (სტრაუსი 48). (1-8) გინასუ (პერუჯინი 48), მეალამუ (კაჰუი 41), მარკონე, შოუ (რანუკუ 41), მეტფილდი, კაიონო, ბერგამასკო, თომსონი (ბორტოლამი 41).
ლ: ტომკინსი. 2ს: სიპრიანი

ლონდონში, „თვიქნემზე“ წლევანდელი სეზონის სანაკრებო რაგბის ბოლოსწინა მატჩში, ავსტრალიის ნაკრებმა ყველასათვის მოულოდნელად გაანადგურა „ბარბაროსები“ - 60:11, რომელსაც მსოფლიოს თასის მფლობელი, ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდის ყოფილი თავკაცი **გრემ ჰენრი** ხელმძღვანელობდა. „ვოლაბები“ ერთი კვირის თავზე, კარდიფში „მილენიუმზე“ უელსის ნაკრებს დაუპირისპირდებიან და საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან თამაშის წინ შესანიშნავი ვარჯიში გამოუვიდა.

ავსტრალიელებმა მეტოქეს რვა ლელო გაუტანეს. შესანიშნავად გაართვა თავი მგეზავის მოვალეობას **ჯეიმზ ოკონორმა,** რომელმაც ამ პოზიციაზე კარიერაში პირველად ითამაშა. ის უნარიანად გეზავდა თანაგუნდელთა შეტევებს და ფეხით თამაშშიც დიდი ნიჭი ალმოაჩნდა. მან გუნდს 20 ქულა მოუტანა (შვიდი გარდასახვა, ერთი საჯარიმო, ერთი არეკნი).

აღსანიშნავია, რომ „თვიქნემზე“ შეკრებილი 51 ათასი ქომაგი აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა „ბარბაროსების“ უსუსური თამაშის გამო. მათ მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა საწყის ათ წუთში გასწიეს. დროის ამ მონაკვეთში მგეზავებმა **ჯეიმზ ოკონორმა** და **დენი სიპრიანიმ** თითო-თითო საჯარიმო გაცვალეს - 3:3.

„ბარბაროსების“ რბევა მას შემდეგ დაიწყო, რაც ოკონორმა მე-20 წუთზე არეკნით გაიტანა. ამას **ლაკი ტერნერისა** და **დიგბი იოანის** ლელოები მოჰყვა - 18:3. ასე დასრულდა მატჩის პირველი ნახევარი.

იოანიმ და ტერნერმა შესვენების შემდეგაც გამოიჩინეს თავი. მათ მხარი შეცვლაზე შესულმა **ჯეიმზ ჰორვილმაც** აუბა, რომელმაც ასევე ორი ლელო მიითვალა. თამაშის მიწურულს კი „ბარბაროსების“ გარემარბის, რაგბილიგელი **სემ ტომკინსის** ჯერიც დადგა. ერთადერთი ლელო გუნდს სწორედ მან მოუტანა.

აღსანიშნავია, რომ მატჩში არბიტრმა ორჯერ გამოიყენა ყვითელი ბარათი. **სტირლინ მორთლოქისა** და **დევიდ პოკოქის** გაწევ-გამოწევამ კი დაადასტურა, რომ თამაში სულაც არ ატარებდა მეგობრულ ხასიათს.

ამ შეხვედრაში რაგბის გამოეთხოვა ლეგენდარული სამხრეათფრიკელი მორაგბე, მეორეხაზელი **ვიქტორ მეტფილდი.**

*„როცა „ბარაბაროსებში“ გამოგიძახებენ, საკმარისი დრო მოსამზადებლად არასდროსაა . შესაძლოა ამ მარცხის მიზეზი ეს არ არის, რადგან მეტოქე ისე იყო მოტივირებული, რომ მისი შეჩერება შეუძლებელი გამოდგა.*

*ავსტრალიის ნაკრების მოთამაშეები კარგად იცნობენ ერთმანეთს, თითქმის უსიტყვოდ ესმით და მათ წინააღმდეგ თამაში ახლახან შეკოწიწებული გუნდით, ძალიან ძნელია.*

*მიუხედავად იმისა, რომ დიდი ანგარიშით წავაგეთ, „ბარაბაროსებში“ ფანტასტიკური ერთი კვირა გავატარე, ის არასდროს დამავიწყდება. ამ გუნდმა სამხრეთ ნახევარსფეროს სამი გუნდიდან ორი დაამარცხა და, ვფიქრობ, ტრადიცია უნდა გაგრძელდეს. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მსოფლიოს წამყვანი მორაგბეები ერთად იკრიბებიან და ერთმანეთის ახლოს გაცნობის შანსი ეძლევათ“,* - თქვა ვიქტორ მეტფილდმა.

მეტფილდის მოსაზრებას მხარი დაუჭირა გრემ ჰენრიმაც:

*„აბსოლუტურად ვეთანხმები ვიქტორს. „ბარბაროსების“ კონცეფცია რაგბისთვის შესანიშნავია. ის აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. მწვრთნელების განკარგულებაში 10 ქვეყნის მორაგბე იყო. ეს მსოფლიოს არც ერთ გუნდში ხდება. თუ ამას არ გავუფრთხილდებით, რაღაც განსაკუთრებულს დავკარგავთ“,* - თქვა მან.

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



● კალათბურთი


ბილი ჰანტერი და დევიდ სტერნი

# სეზონი გადარჩენილია

## 66-მატჩიანი 66-ე რეგულარული 25 დეკემბერს დაიწყება

ხუთთვიანი გაუთავებელი მოლაპარაკებების, დავის, მუქარისა და ნერვიული ფონის შემდეგ მოთამაშეთა პროფკავშირმა და კლუბების მფლობელებმა შეძლეს მოლაპარაკება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ და გადაარჩინეს NBA-ში 2011-12 წლების სეზონი.

ნიუ იორკში 16-საათიანმა მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო. მიღწეულია წინასწარი შეთანხმება და მალე ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდება, სეზონი კი სტარტს შობაზე - 25 დეკემბერს აიღებს.

მხარეებს არ გაუმხელიათ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დეტალები, მაგრამ მთავარი ფრაზა NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** წარმოთქვა: **„ჩვენ გვინდა კალათბურთის თამაში“.**

ახალი კალენდრის თანახმად, 66-ე რეგულარულ ჩემპიონატში თითო გუნდი 66 შეხვედრას ჩაატარებს. სეზონი სამი მატჩით გაიხსნება: თავდაპირველად „ბოსტონი“ უმასპინძლებს „ნიუ იორკს“, შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან გასული სეზონის ფინალისტები - „მაიამი“ და „დალასი“, დესერტად კი შარშანდელი MVP-ის **დერიკ როუზის** „ჩიკაგო“ **კობი ბრაიანტის** „ლეიკერსს“ უმასპინძლებს. შესანიშნავი დასაწყისია!

არადა, სულ რაღაც 12 დღე გავიდა ბოლო ჩაშლილი მოლაპარაკებიდან, რომლის შემდეგაც სტერნმა „ბირთვული ზამთრის“ შესახებ გამოაცხადა. ახლა კი ხელი ჩამოართა პროფკავშირების აღმასრულებელ დირექტორს **ბილი ჰანტერს** და ლოკაუტის დასრულება მიულოცა მას. *„სერიოზულად დავფიქრდით იმაზე, რომ შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო. აუცილებლად უნდა გადაგვერჩინა კალათბურთი და ტრადიციულად უმაღლესი ხარისხის სანახაობა შეგვეთავაზებინა მაყურებლისთვის, რომელთანაც ვალში ვართ“*, - განაცხადა ჰანტერმა.

ხელშეკრულების ოფიციალურად დადასტურებისთვის მხარეთა ხმების უმრავლესობაა საჭირო: 29 კლუბის მფლობელისგან („ნიუ ორლეანი“ ლიგას ეკუთვნის) 15 ხმა, ხოლო პროფკავშირისგან ელემენტარული უმრავლესობა. მაგრამ ეს პროცედურა რთულდება დესერტიფიკაციის გამო. სანამ ხმის მიცემა გაიმართება, მოთამაშეებს მოუწევთ პროფკავშირის დაშლა და შემდეგ მისი სხვა სახით აღდგენა.

*„ძალიან გვიხარია, რომ შევძელით წინასწარი შეთანხმების მიღწევა*, - განაცხადა შტერნმა. - *მაგრამ წინ კიდევ ძალიან ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი“.* ბოლო მოლაპარაკებებში მონაწილეობდა თავად კომისარი, მისი ასისტენტი **ადამ სილვერი**, „სან ანტონიოს“ მფლობელი **პიტერ ჰოლტი**. მოთამაშეებს წარმოადგენდნენ ბილი ჰანტერი, **დერეკ ფიშერი**, პროფკავშირის ვიცე-პრეზიდენტი **მორის ევანსი**...

■ ■ ■

მოგვიანებით, ამერიკულმა პრესამ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დეტალების დადგენა დაიწყო და რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია მოიპოვა.

- ხელშეკრულება ათი წლით გაფორმდება, თუმცა შესაძლებელი იქნება ექვსი წლის შემდეგ რომელიმე მხარის მიერ მისი გაწყვეტა;

- ყბადაღებული პრობლემა - ლიგის შემოსავლების განაწილება შემდეგნაირად გადაწყდა: კალათბურთელებს 50 პროცენტზე მეტი ერგოთ, თუმცა მათი წილი 51 პროცენტზე ნაკლებია.

- ხელშეკრულების თანახმად, გაიზრდება NBA-ის მოთამაშეთა მინიმალური ასაკი. თუ ძველი წესის შესაბამისად, კალათბურთელს მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში 19 წლის ასაკში შეეძლო მოხვედრა, ახლა NBA-ში ვერ ვნახავთ 20 წლამდე მოთამაშეს;

- დადგინდა რამდენიმე თარიღი, რომელიც NBA-ის ახალი სეზონის სტარტს უკავშირდება:

1 დეკემბერი - კონტრაქტების გაფორმება თავისუფალ აგენტებთან.

9 დეკემბერი - საწვრთნელი ბანაკების გახსნა.

17-22 დეკემბერი - წინასასეზონო მატჩები.

25 დეკემბერი - სეზონის გახსნა.

- ყველას აინტერესებდა შემოკლებული სეზონის პირობებში მოესწრებოდა თუ არა „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ჩატარება. როგორც ირკვევა, „ოლ სტარი“ ქალაქ ორლანდოში დათქმულ ვადაში (26 თებერვალი) გაიმართება.

● ჩოგბურთი

# ფედერერის მეასე ფინალი


ფინალისტები

წელს სეზონის შემაჯამებელი ტურნირი ისტორიული გამოდგა. A ჯგუფში ბოლო ტურის შეხვედრების შემდეგ ჩემპიონატს გამოეთიშა მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველად ამ ტურნირის არსებობის ისტორიაში, ნახევარფინალში ვერ გაალწია რეიტინგის საუკეთესო სამეულის ვერც ერთმა წევრმა. ამდენი მოულოდნელი შედეგის ფონზე კიდევ უფრო ამაღლდა კლასიფიკაციის მეოთხე ნომრის **როჯერ ფედერერის** შანსები, მით უმეტეს, რომ შვეიცარიელმა ნახევარფინალური ეტაპიც ძალიან დამაჯერებლად გაიარა.

ფედერერის მეტოქე ესპანელი **დავიდ ფერერი** იყო, რომელმაც მანამდე ლეგენდარულ შვეიცარიელთან 11-დან 11 მატჩი ისე წააგო, რომ ჯამში მხოლოდ სამი სეტი აიღო. მეტოქეებმა ბოლო შეხვედრა ზუსტად ერთი წლის წინ ჩაატარეს - ამავე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ფედერერმა მხოლოდ ხუთი გეიმი გაიმეტა ფერერისთვის. თუმცა წლევანდელი შეხვედრის სასტარტო მონაკვეთმა დაგვანახა, რომ ასეთ განადგურებას ამჯერად ადგილი არ ექნებოდა.

მართალია, წინა დღეს დავიდმა ურთულესი მატჩი ჩაატარა **ტომაშ ბერდიხის** წინააღმდეგ, მაგრამ დაღლილობა არ ეტყობოდა და დამაჯერებლად თამაშობდა თავის მოწოდებაზე. პარტიისა და შესაძლოა, მთელი მატჩის გადამწყვეტი მომენტი გახდა მეათე გეიმი, როცა ესპანელმა პირველად მიილო მეტოქის მოწოდების აღების რეალური შანსი. ხანგრძლივ გეიმში ფერერს სეტბოლის მოპოვების ექვსი შანსი ჰქონდა და ფედერერმა ექვსჯერვე მოიგერია ეს საფრთხე. შემდეგ გეიმში კი როჯერს მიეცა ბრეიკის შანსი და მეტოქისგან განსხვავებით, შესაძლებლობა ხელიდან აღარ გაუშვა.

ამ წარმატებით გამხნევებულმა ფედერერმა მეორე სეტი ბრეიკით დაიწყო - 2:0. საჭირო უპირატესობის მიღების შემდეგ შვეიცარიელი ძალების დაზოგვით ათამაშდა. დამაჯერებლად ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებას, მეტოქის გეიმებში კი მხოლოდ მაშინ იბრძოდა, როცა დებიუტში ერთი ან ორი ბურთის აღებას ახერხებდა. ფერერს მიღებაზე არანაირი შანსი არ ჰქონია - ესპანელმა მთელი სეტის განმავლობაში ფედერერის გეიმებში მხოლოდ ერთი (!) ქულა მოიპოვა. საბოლოოდ, როჯერმა კლასის ხარჯზე 7:5, 6:3 გაიმარჯვა და რამდენიმე სტატისტიკური მიღწევაც დააფიქსირა. ფინალში გასვლით შვეიცარიელმა მსოფლიოს რეიტინგში გაუსწრო **ენდი მიუერის** და ეს სეზონი მესამე საფეხურზე დაასრულა. გარდა ამისა, ფედერერი კარიერაში მე-100 ფინალში გავიდა და თან, კარიერაში გამარჯვებების რაოდენობით დაეწია **სტეფან ედბერგს** - ახლა ისინი 806 მოგებით შესაბამის სიაში მეექვსე ადგილს იყოფენ.

■ ■ ■

რამდენიმე საათის შემდეგ კორტზე გავიდნენ ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და ჩეხი **ტომაშ ბერდიხი**.

ცონგას ერთი დღით მეტი დასვენება გამოუვიდა და ფიზიკურად უკეთეს მდგომარეობაში შეხვდა ამ ნახევარფინალს. შესაძლოა, ამის გამოც იყო, რომ ბერდიხი, მართალია, ფლობდა ინიციატივას, მაგრამ ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. პარტიის შუაში ფრანგმა შეძლო ბრეიკის გაკეთება, რის შემდეგაც ზედიზედ ორჯერ საკუთარი გეიმი „მშრალი“ ანგარიშით მოიგო და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

დაახლოებით ანალოგიური სცენარით მიმდინარეობდა მეორე სეტიც: ორივენი ძლიერი მოწოდებების ხარჯზე იგებდნენ საკუთარ გეიმებს, მაგრამ ჩეხმა ისევ ვერ აიცილა თავიდან ჩავარდნა. ბერდიხმა ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და ცონგას დაწინაურების საშუალება მისცა - 4:3. ფრანგს ორი ნაბიჯი აკლდა გამარჯვებამდე, მაგრამ ნერვიული ფინალი ვერ აიცილა - ახლა მან დაუშვა ორმაგი მეტოქის ბრეიკ-პოინტზე და ანგარიში გათანაბრდა. ბერდიხმა საკუთარი ძალები ირწმუნა, უფრო დამაჯერებლად ათამაშდა, მაგრამ აქედან სარგებელი მაინც ვერ ნახა. ტომაში ისევ საკუთარმა მოწოდებამ დაალალატა: სამი გეიმის განმავლობაში მან ოთხი ორმაგი შეცდომა დაუშვა და ისევ მისცა ფრანგს წინ გასვლის საშუალება. ცონგამ არ მიიყვანა საქმე ტაი-ბრეიკამდე და ორ სეტში - 6:3, 7:5 მოიგო. ჟომ ამ მატჩში შვიდი ეისი ჩააწოდა და 2011 წელს ასეთი მოწოდებებით სეზონის ლიდერი გახდა.

ასე რომ, ფინალში თამაშის უფლება ფედერერმა და ცონგამ მოიპოვეს. ეს იქნება მათი მერვე შეხვედრა სეზონში და მესამე - ბოლო ორი კვირის განმავლობაში. სხვათა შორის სწორედ ამ ჩოგბურთელებმა გახსნეს, ლონდონის ტურნირი და სეზონის დახურვის პატივიც მათ ერგოთ.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 25 ნოემბერი

**ბოსტონი-დეტროიტი 2:3 (ბ)**

**0:1, 1:1, 1:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ფილპულა-5 (ზეტერბერგი-7, ი. უაიტი-7), 1:1 პეი-3 (ჰორტონი-8), 1:2 დაციუკი-6 (ბერტუცი-3, ფრანცენი-12), 2:2 პ. ბერჟერონი-5.

**ბულიტები გაიტანეს:** დაციუკი (დეტროიტი), ჰორტონი (ბოსტონი), ბერტუცი (დეტროიტი).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 0:1**

**0:0, 0:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 სიკორა-5 (ა. ლარსონი-6, ენრიკე-8).

**ფილადელფია-მონრეალი 3:1**

**0:1, 3:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ნოკელაინენი-1 (გილი-2, ჯორჯესი-9), 1:1 კ. ჟირუ-12 (მ. კარლი-8), 2:1 ვორაჩეკი-4 (ტიმონენი-13, ქობურნი-6), 3:1 კ. ჟირუ-13 (ქობურნი-7, ვორაჩეკი-12).

**მინესოტა-ედმონტონი 2:5**

**1:2, 1:1, 0:2**

**გოლები:** 0:1 რ. სმიტი-12 (ებერლე-15, პეკჰემი-2), 0:2 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-9 (სემ განიე-4, ბელანჟე-5), 1:2 სეტოგუჩი-7 (მ. კოივუ-13, სპარჯონი-5), 2:2 ბუშარი-2, 2:3 ტ. ჰოლი-7 (გილბერტი-8, ჰორკოფი-9), 2:4 ჰორკოფი-7 (ჰემსკი-6, ტ. ჰოლი-11), 2:5 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-10 (ებერლე-16, რ. სმიტი-12).

**ვაშინგტონი-რეინჯერსი 3:6**

**0:0, 2:4, 1:2**

**გოლები:** 0:1 გაბორიკი-10 (სტეპანი-8, ანისიმოვი-10), 0:2 ანისიმოვი-2 (მაკდონაჰი-6, ჟირარდი-6), 0:3 ფედოტენკო-2 (კელეჰანი-4), 1:3 ბროუერი-6 (ჯ. კარლსონი-8, ბექსტრიომი-17), 2:3 ჯ. კარლსონი-4 (მ. იოჰანსონი-7, ორლოვი-2), 2:4 ბ. ბოილი-2 (ჯ. მიტჩელი-1, ჰაგელინი-1), 2:5 ბ. რიჩარდსი-7 (კელეჰანი-5, ჟირარდი-7), 3:5 ოვეჩკინი-8 (ბექსტრიომი-18, ბროუერი-7), 3:6 ფედოტენკო-3 (კელეჰანი-6, ბ. რიჩარდსი-8).

**ანაჰაიმი-ჩიკაგო 5:6**

**3:2, 1:0, 1:4**

**გოლები:** 1:0 რაიანი-6 (პერი-8, ლიდმანი-7), 2:0 კოლიანო-5 (სელიანე-13, ს. კოივუ-6), 2:1 შარპი-8 (ტეუვზი-10, პ. კეინი-16), 3:1 სელიანე-8 (ბოშემენი-5, ფაულერი-9), 3:2 ბოლანდი-7 (ბრუნეტი-5, კრუგერი-4), 4:2 რაიანი-7 (სბისა-5, გეტცლაფი-10), 4:3 ტეუვზი-11 (კიტი-11, სტალბერგი-6), 4:4 შარპი-9 (ტეუვზი-11, სტალბერგი-7), 4:5 შარპი-10 (ტეუვზი-12), 4:6 ტეუვზი-12 (კიტი-12, ლედი-14), 5:, პერი-9 (ს. კოივუ-7, გეტცლაფი-11)

**კოლამბუსი-ბაფალო 5:1**

**2:0, 3:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ლეტესტუ-3 (იოჰანსენი-4, ტიუტინი-8), 2:0 ნეში-6 (ვიშნიევსკი-8, ჯ. კარტერი-4), 3:0 მეტოტი-1 (ვიშნიევსკი-9, დორსეტი-2), 4:0 უმბერგერი-3 (იოჰანსენი-5), 4:1 ლეოპოლდი-5 (კასიანი-1, რეგერი-1), 5:1 ნეში-7 (ჯ. კარტერი-5, ნიკიტინი-5).

**კაროლინა-ვინიპეგი 1:3**

**0:1, 1:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 ე. კეინი-9 (ოდუია-5), 1:1 ტლუსტი-4 (ბ. სატერი-4, მაკბეინი-6), 1:2 ლედი-8 (ბოგოსიანი-7, ანტროპოვი-11), 1:3 ლიტლი-6 (ბოგოსიანი-8).

**პიტსბურგი-ოტავა 6:3**

**4:1, 1:1, 1:1**

**გოლები:** 0:1 დაუგავინსი-3 (ზ. სმიტი-8, ე. კარლსონი-18), 1:1 კუნიტცი-8 (კროსბი-3, ენგელანდი-5), 2:1 ტაილერ კენედი-3 (პ. მარტინი-5, ფლერი-1), 3:1 სალივანი-4 (მალკინი-13, კროსბი-4), 4:1 მალკინი-7 (ლეტანგი-16, კროსბი-5), 5:1 დუპუი-5 (ეშემი-5, ტაილერ კენედი-5), 5:2 კოუენი-2 (ალფრედსონი-4, ფოლინო-5), 6:2 ჯ. სტაალი-11 (ტაილერ კენედი-6, პ. მარტინი-6), 6:3 კონდრა-2 (ფოლინო-6, ლი-1).

**ფლორიდა-ტამპა ბეი 1:2 (ო)**

**0:0, 1:0, 0:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ფლიშმანი-10 (უეისი-14), 1:1 ლეკავალიე-10 (სან ლუი-12), 1:2 სტემკოსი-12 (სან ლუი-13, მ-ა. ბერჟერონი-15).

**სენტ ლუისი-კალგარი 2:0**

**1:0, 0:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ბექსი-8 (მატენკირკი-11), 2:0 პიეტრანჯელო-4 (სტინი-7, ბექსი-6).

**დალასი-ტორონტო 3:4 (ბ)**

**1:2, 1:0, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ნისტრიომი-6 (რაიდერი-7, ბენი-16), 1:1 კრები-4 (ფანოფი-15, კოლბორნი-2), 1:2 ფანოფი-3 (ლაილსი-11, ლუპული-16), 2:2 ნისტრიომი-7 (დვორაკი-8, ბენი-17), 2:3 მაკარტური-8 (ტიმ კონოლი-8, კულემინი-8), 3:3 დვორაკი-2 (რიბეირო-13, ლარსენი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ლუპული (ტორონტო).

**ფინიქსი-ვანკუვერი 0:5**

**0:0, 0:3, 0:2**

**გოლები:** 0:1 სალო-5 (ჰ. სედინი-16, დ. სედინი-19), 0:2 კესლერი-4, 0:3 ბუტი-3 (კესლერი-7, ბიექსა-6), 0:4 ლაპიერი-4, 0:5 ბაროუზი-7 (ჰოჯსონი-7).

### 26 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 2:3**

**0:1, 1:1, 1:1**

**გოლები:** 0:1 მოულსონი-7 (პარენტო-12, იურჩინა-2), 1:1 ა. ლარსონი-2 (კოვალჩუკი-8, ენრიკე-9), 1:2 ბეილი-2 (როლსტონი-3), 2:2 ენრიკე-5 (პარიზე-6, კოვალჩუკი-9), 2:3 გრაბნერი-7.

**რეინჯერსი-ფილადელფია 2:0**

**0:0, 1:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ბ. რიჩარდსი-8 (ჟირარდი-8, დელ ზოტო-5), 2:0 ჰაგელინი-1 (მაკდონაჰი-7, ჯ. მიტჩელი-2).

**კოლორადო-ედმონტონი 5:2**

**1:1, 0:1, 4:0**

**გოლები:** 0:1 შმიდი-1 (სემ განიე-5, რ. ჯონსი-5), 1:1 მაკლემანი-3 (კობესიუ-2, დუშენი-8), 1:2 რ. ჯონსი-6 (ბელანჟე-6, სემ განიე-6), 2:2 შეინ ო'ბრაიენი-1 (რ. ო'რაილი-11, ჰეიდუკი-7), 3:2 ელიოტი-1 (რ. ო'რაილი-12), 4:2 ჰეიდა-2 (კობესიუ-3, დ. ჯონსი-6), 5:2 პ. შჩასტნი-7 (ჰეიდუკი-8).

**დეტროიტი-ნეშვილი 4:1**

**1:0, 2:0, 1:1**

**გოლები:** 1:0 ფილპულა-6 (ბერტუცი-4, ზეტერბერგი-8), 2:0 ზეტერბერგი-5 (ჰუდლერი-9, ფილპულა-12), 3:0 ფილპულა-7 (ჰუდლერი-10, კინდლი-4), 4:0 ქლირი-4 (ჰელმი-2), 4:1 ჰილენი-1 (კ. უილსონი-7, ერატი-6).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 5:1**

**1:0, 3:0, 1:1**

**გოლები:** 1:0 სან ლუი-6 (ბ. კონოლი-4, ბ. კლარკი-3), 2:0 პიატი-1 (მ-ა. ბერჟერონი-16), 3:0 სტემკოსი-13 (პურსელი-8, ტირელი-1), 4:0 მელოუნი-5 (სტემკოსი-10), 4:1 მატიასი-3 (სკილი-4), 5:1 სტემკოსი-14.

**მონრეალი-პიტსბურგი 3:4 (ო)**

**2:1, 1:1, 0:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 მალკინი-8 (კუნიტცი-5, კროსბი-6), 1:1 მოენი-8, 2:1 პასიორეტი-10 (დეშარნე-10, კოული-7), 3:1 კოული-7 (პასიორეტი-9, სუბანი-9), 3:2 დუპუი-6 (პ. მარტინი-7, კუკი-6), 3:3 ჯ. სტაალი-12 (მალკინი-14), 3:4 ლეტანგი-3 (ჯ. ნილი-10, ენგელანდი-6).

**ბაფალო-ვაშინგტონი 5:1**

**2:0, 1:1, 2:0**

**გოლები:** 1:0 ადამი-7 (ჩეჩურა-1), 2:0 პომინვილი-9 (ვანეკი-14, ერჰოფი-10), 2:1 ჩიმერა-9 (ბულიტი), 3:1 კასიანი-1 (სეკერა-4, დ. როი-10), 4:1 ადამი-8 (ჩეჩურა-2, ლეინო-4), 5:1 ჰეხტი-1 (გერბე-9, ერჰოფი-11).

**ბოსტონი-ვინიპეგი 4:2**

**1:2, 2:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 ე. კეინი-10 (ბაფლინი-11, ველერი-11), 0:2 ბაფლინი-5 (სლეიტერი-2, ჯეფრეი-1), 1:2 ხარა-4 (კრეისი-7, საიდენბერგი-4), 2:2 კ. კელი-8 (პევერლი-9), 3:2 კ. კელი-9 (პუიო-1, პევერლი-10), 4:2 მარშანი-8.

**ფინიქსი-დალასი 3:0**

**1:0, 1:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ბოდკერი-4 (იენდლი-12, ლენგკოუ-6), 2:0 რეი უიტნი-7 (ვრბატა-8, იენდლი-13), 3:0 პიატი-3 (ლენგკოუ-7, კორპიკოსკი-5).

**სან ხოსე-ვანკუვერი 2:3**

**1:1, 0:2, 1:0**

**გოლები:** 0:1 მალორტა-2 (ჰანსენი-5, ბალარდი-1), 1:1 მიურეი-1 (დეჟარდენი-3, ვანდერმეერი-3), 1:2 ჰ. სედინი-8 (ჰამჰუისი-10, ბიექსა-7), 1:3 ალბერტსი-1 (კესლერი-8, ჰიგინსი-5), 2:3 მარლო-10 (ჯ. ტორნტონი-16, პაველსკი-9).

**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 1:2**

**0:1, 1:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 ბრუნეტი-5 (კრუგერი-5, კიტი-13), 1:1 სტოლი-2, 1:2 ტეუვზი-13 (სტალბერგი-8, კიტი-14).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამთო-სათხილამურო სპორტი

# ფავორიტებმა მოიგეს


ვიქტორია რებენსბურგი

სამთო მოთხილამურეები ოკეანის გაღმა გადაბარგდნენ და მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი ჩრდილოეთ ამერიკის კურორტებზე ჩაატარეს.

კანადის ლეიკ-ლუისში მამაკაცებმა სწრაფდაშვებაში გაარკვიეს ურთიერთობა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოვიდა - პირველ და მესამე ადგილს შორის სხვაობა მხოლოდ 8 მეასედი წამი იყო!

პირველობისთვის ორმა შვეიცარიელმა - **დიდი კუშმა** და **ბიტ ფოიზმა** იბრძოლა. შარშანდელი სეზონის შემდეგ კუში სერიოზულად ფიქრობდა კარიერის დასრულებაზე, მაგრამ გადაიფიქრა და ახლა იდეალური დაშვების წყალობით კარიერაში მსოფლიოს თასის მე-18 ეტაპი მოიგო. ცუდად არც ფოიზი გამოიყურებოდა, მაგრამ კუშმა მას გამოცდილების ხარჯზე აჯობა. დიდიე 37 წლისაა, ფოიზი - 13 წლით უმცროსი.

მესამე გახდა ავსტრიელი **ჰანეს რაიჰელტი**, რომელსაც 45-ე სასტარტო ნომერი ჰქონდა, რაც თითქმის არ უტოვებდა სერიოზულ შანსს, მაგრამ ჰანესმა ფოიზთან მხოლოდ ორი მეასედი წამი წააგო, კუშთან - რვა.

შვეიცარიელებმა დუბლი შეასრულეს, ტოპათეულში კი ავსტრიელების სიჭარბე შეინიშნებოდა. მოკლედ, სეზონი ლოგიკურად გაგრძელდა.

### სწრაფდაშვება

#### კაცები

1. **დიდიე კუში** (შვეიც) - 1:47.28; 2. **ბიტ ფოიზი** (შვეიც) - +0.06; 3. **ჰანეს რაიჰელტი** (ავსტრია) - +0.08; 4. **რომედ ბაუმანი** (ავსტრია) - +0.35; 5. **კლაუს კრელი** (ავსტრია) - +0.47; 6. **იოჰან კლერი** (საფ) - +0.63; 6. **ადრიენ ტეუ** (საფ) - +0.63...

■ ■ ■

ასევე მეორე ეტაპი ჩაატარეს ქალებმა. ისინი ამერიკის კურორტ ასპენს სტუმრობდნენ და გიგანტურ სლალომში სცადეს ბედი.

როგორც გახსოვთ, პირველ ეტაპზე სპეციალურ სლალომში მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა ამერიკელმა **ლინდსი ვონმა**, რომელიც ამ დისციპლინაში არასოდეს ბრწყინავდა. მაგრამ ამჯერად ადგილობრივი პუბლიკის კერპმა ვერ შეძლო მაღალი შედეგის ჩვენება, თუმცა საერთო ჩათვლაში მისმა ძირითადმა კონკურენტმა და მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა, გერმანელმა **მარია რიშმა** საერთოდ ვერ შეძლო ფინიშამდე მისვლა.

პირველი ცდის შემდეგ კონკურენტებზე საკმაოდ სერიოზული უპირატესობა მოიპოვა ავსტრიელმა **ელიზაბეტ გიორგლმა**, ხოლო გიგანტურ სლალომში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს თასის მცირე გლობუსის მფლობელი **ვიქტორია რებენსბურგი** მხოლოდ მეხუთე იყო. მაგრამ გერმანელს ბრწყინვალე მეორე ცდა გამოუვიდა, იოლად გავიდა პირველ პოზიციაზე და სეზონში პირველ გამარჯვებას მიაღწია. შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე რებენსბურგი მეორე იყო ფინიშზე.

მართალია, გიორგლმა პირველი ცდის შემდეგ მოპოვებული წამიანი უპირატესობა გაფლანგა, მაგრამ მაინც კმაყოფილი უნდა იყოს ამ ეტაპით. სამეულში მოხვდა ამერიკელი **ჯულია მანკუზო,** რომელმაც ისევ შესამჩნევად მოუმატა იმ სახეობაში, რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა.

### გიგანტური სლალომი

#### ქალები

1. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - 2:11.25; 2. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - +0.33; 3. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - +0.44; 4. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - +0.50; 5. **ლარა გუტი** (შვეიც) - +0.81; 6. **დენიზ კარბონი** (იტა) - +0.89...

## თხილამურებით რბოლა

# ერთი ქალის მსოფლიო თასი

ფინეთის ქალაქ კუუსამოში გაგრძელდა თხილამურებით სირბილში მსოფლიო თასის გათამაშება. ქალებს შორის სეზონი ჯერჯერობით ერთი სპორტსმენის შოუდ გადაიქცა. გაიმართა მეოთხე სტარტი და მეოთხედ პირველობა ლეგენდარულმა ნორვეგიელმა **მარიტ ბიორგენმა** მოიპოვა.

კუუსამოში სპრინტში გამარჯვების შემდეგ ბიორგენმა 5-კილომეტრიანი დისტანცია მოიგო. ნორვეგიელმა მხოლოდ ერთ მომენტში მისცა შვედ **შარლოტე კალას** ლიდერთან მიახლოების საშუალება, მაგრამ ეს დროებითი და ხანმოკლე ინტრიგა იყო.

5 კილომეტრზე 11-წამიანი სხვაობა უდიდესი უპირატესობაა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ბიორგენის ბრწყინვალე ფორმას. იგივე ითქმის მთლიანად ნორვეგიის ნაკრებზე. ისევე როგორც პირველ ეტაპზე, ამჯერადაც პირველ ათეულში ამ ქვეყნის სპორტსმენთა მოზღვავება შეინიშნებოდა. მესამეზე გავიდა ნორვეგიელი **ვიბეკე სკოფტედური**, რომელმაც კარგი რბოლა ჩაატარა. ათეულში მოხვდნენ **ტერეზე იოჰაუგი, ასტრიდ იაკობსენი, მარტე კრისტოფერსენი** და **კრისტინ სტეირა.**

### 5 კმ. ქალები

1. **მარიტ ბიორგენი** (ნორ) - 11:45.3; 2. **შარლოტე კალა** (შვედ) - +11.6; 3. **ვიბეკე სკოფტერუდი** (ნორ) - +12.9; 4. **ტერეზე იოჰაუგი** (ნორ) - +13.9; 5. **იუსტინა კოვალჩიკი** (პოლ) - +21.5; 6. **ასტრიდ იაკობსენი** (ნორ) - +27.1...

■ ■ ■

მამაკაცებს ორჯერ გრძელი დისტანციის დაფარვა უწევდათ. თუ ქალებს შორის სპორტის ამ სახეობაში ლიდერი ბიორგენია, კაცებში თხილამურების „მეფეს" ასევე ნორვეგიელ **პეტერ ნორტუგს** უწოდებენ. თუმცა ხშირად ამბობენ, რომ ნორტუგი ვიწრო სპეციალიზაციის მოთხილამურეა. ის ხშირად იგებს მას-სტარტებს, სადაც კარგი ფინიშია საჭირო. ასე რომ, პეტერ ნორტუგი - ერთგვარად სათხილამურო რბოლის **მარკ კევენდიშია** (ველოსპორტის ვარსკვლავი). თუმცა ნორვეგიელს ინდივიდუალურ რბოლებშიც არაერთი გამარჯვება აქვს და კოლექცია მორიგი ტრიუმფით შეავსო.

ბიორგენის მსგავსად, ნორტუგმაც კარგი ფორმა აჩვენა, რაზეც უახლოეს მდევართან, იტალიელ **როლანდ კლარასთან** 23-წამიანი უპირატესობა მეტყველებს. მესამე ადგილზე გავიდა ფრანგი **მორის მონიფიკა**, ვინც წამი მოუგო შვეიცარიელ **დარიო კოლონიას.**

თავი შეირცხვინეს წინა დღეს სპრინტის ეტაპის გმირებმა - მათი ჩამორჩენა ორ წუთამდე იყო.

### 10 კმ. კაცები

1. **პეტერ ნორტუგი** (ნორ) - 21:49.1; 2. **როლანდ კლარა** (იტა) - +23.8; 3. **მორის მონიფიკა** (საფ) - +30.1; 4. **დარიო კოლონია** (შვეიც) - +31.7; 5. **კრის ანდრე იესპერსენი** (ნორ) - +33.0; 6. **მარკუს ჰელნერი** (შვედ) - +35.6...

## ჩოგბურთი

# კიმი ბრისბენში, რაფა დოჰაში

თანდათან იკვეთება 2012 წლის სეზონის საწყისი ტურნირების კონტურები. ქალებს შორის სეზონი პირველ იანვარს ბრისბენის ტურნირით გაიხსნება. აქ პირველ ნომრად განთესილი იქნება WTA-ის რეიტინგის მეოთხე ნომერი, რუსი **მარია შარაპოვა.**

ეს ტურნირი იმითაც იწვევს ინტერესს, რომ დიდხნიანი შესვენების შემდეგ სწორედ ბრისბენში აპირებს დაბრუნებას ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**. მის გარდა აქ ითამაშებენ: **ანა ივანოვიჩი, სამანტა სტოსური, ელენა იანკოვიჩი, ანდრეა პეტკოვიჩი, ფრანჩესკა სკიავონე, დანიელა ჰანტუხოვა, ანასტასია პავლიუჩენკოვა.**

სხვათა შორის, ბრისბენის ტურნირმა „პრემიერის" სტატუსი მიიღო და საპრიზო ფონდი 220 ათასიდან 655 ათასამდე გაიზარდა.

■ ■ ■

ჩოგბურთის მოყვარულები ახალ სეზონში **რაფაელ ნადალისა** და **როჯერ ფედერერის** პირველ დაპირისპირებას კატარის დედაქალაქ დოჰაში იხილავენ (თუ ორივენი ფინალში გასვლას შეძლებენ). ესპანელმა და შვეიცარიელმა განაცხადი შეიტანეს ტურნირზე, რომელიც 2 იანვარს აიღებს სტარტს.

რაფასა და როჯერს კონკურენციას გაუწევენ ფრანგები - **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და **გაელ მონფილსი**, აგრეთვე სერბი **ვიქტორ ტროიცკი.**


მარია შარაპოვა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| იკაროსი-დრამასი | 79:68 |
| ილისიაკოსი-პერისტერი | 70:59 |
| მარუსი-პანიონიოსი | 67:69 |
| პაოკ-რეტიმნო | 76:71 |
| ოლიმპიაკოსი-კოლოსოსი | 93:82 |
| კავალა-პანათინაიკოსი | 79:70 |
| **ესპანეთი** | |
| ვალიადოლიდი-მურსია | 65:76 |
| სარაგოსა-რეალი | 67:84 |
| უნიკახა-კახა ლაბორალი | 79:66 |
| ვალენსია-მანრესა | 75:67 |
| ბილბაო-ესტუდიანტესი | 72:66 |
| სევილია-ფუენლაბრადა | 97:99 |
| გრან კანარია-ხუვენტუდი | 77:71 (ო) |
| ობრადოირო-ბარსელონა | 83:89 |
| ლაგუნ არო-ალიკანტე | 68:71 |
| **გერმანია** | |
| გიოტინგენი-ოლდენბურგი | 70:95 |
| ულმი-ჰაგენი | 86:72 |
| ბაიერნი-ალბა | 79:85 |
| არტლანდი-ბაიროიტი | 94:74 |
| ტიუბინგენი-ბრაუნშვაიგი | 94:63 |
| სკაილაინერსი-ტრირი | 54:64 |
| ბონი-ბრემერჰავენი | 61:68 |
| გისენი-ბამბერგი | 68:65 |
| ვიურცბურგი-ლუდვიგსბურგი | 67:58 |
| **იტალია** | |
| ვარეზე-ვენეცია | 73:67 |
| ბენეტონი-ბიელა | 79:82 |
| სასარი-ტერამო | 91:73 |
| რომა-კანტუ | 91:74 |
| კაზერტა-მილანი | 91:80 |
| ვანოლი-მონტეპასკი | 66:102 |
| მონფერატო-მონტეგრანარო | 87:82 |
| სკავოლინი-აველინო | 72:82 |
| **თურქეთი** | |
| ეფესი-პინარი | 79:74 |
| ბანვითი-ანტალია | 77:75 |
| ჰაჩეთეფე-თოფასი | 73:67 |
| ოლინი-ბანდირმა | 81:60 |
| ერდემი-ტურკ ტელეკომი | 92:73 |
| მერსინი-ფენერბაჰჩე | 81:83 |
| გალათასარაი-ტრაბზონი | 87:67 |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-პარიზი | 86:82 |
| ჰავრი-ტულონი | 90:101 |
| ლე მანი-პუატიე | 106:95 |
| დიჟონი-პო ორტეზი | 91:86 (ო) |
| სტრასბური-ვილერბანი | 74:80 |
| ნანტი-გრაველინი | 85:107 |
| ნანსი-შოლე | 96:88 |

### ფრენბურთი

| | |
|---|---|
| **მსოფლიოს თასი** | |
| **კაცები** | |
| ირანი-აშშ | 0:3 |
| სერბეთი-რუსეთი | 0:3 |
| პოლონეთი-ჩინეთი | 3:1 |
| არგენტინა-ბრაზილია | 0:3 |
| იაპონია-ეგვიპტე | 3:1 |
| კუბა-იტალია | 3:1 |

### ხელბურთი

| | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ბარსელონა-ბოსნა | 37:19 |
| ზაგრები-შამბერი | 28:20 |
| კოპერი-სტ. პეტერბურგი | 30:23 |
| ვეშპრემი-ბერლინი | 24:33 |
| ატლეტიკო-კიელჩე | 28:27 |
| ჰამბურგი-ვისლა | 34:25 |
| კოპენჰაგენი-ლეონი | 30:29 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ვიტიაზი-ტრაქტორი | 1:5 |
| სევერსტალი-ავტომობილ. | 2:3 (ბ) |
| სპარტაკი-ბარისი | 2:4 |
| ლევ პოპრადი-ტორპედო | 2:0 |
| ამური-დინამო (რ) | 1:2 |
| მეტალურგი (ნ)-ატლანტი | 0:3 |
| სიბირი-სკა | 4:3 (ბ) |
| ს. იულიაევი-იუგრა | 3:1 |
| აკ ბარსი-ავანგარდი | 0:1 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (მ) | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ზნოიმო | 4:1 |
| ვილახი-აკრონი | 6:0 |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 5:6 (ო) |
| ალბა-კლაგენფიურტი | 3:1 |
| ზაგრები-ლინცერი | 5:4 (ბ) |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-იზერლონი | 4:3 (ბ) |
| ჰანოვერი-ინგოლშტადტი | 3:4 |
| კიოლნი-აუგსბურგი | 4:3 (ბ) |
| მანჰაიმი-მიუნხენი | 2:1 (ბ) |
| აისბარენი-კრეფელდი | 4:6 |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 3:4 (ბ) |
| დიუსელდორფი-შტრაუბინგი | 4:8 |
| **ნორვეგია** | |
| მანგლერუდი-ვოლერენგა | 2:5 |
| სტიერნენი-სტორჰამარი | 2:4 |
| ლილეჰამერი-ფრისკ ასკერი | 4:0 |
| ლორენსკოგი-რუსენბორგი | 0:2 |
| სტავანგერი-სპარტა | 5:4 (ბ) |
| **სლოვაკეთი** | |
| მარტინი-კოშიცე | 0:3 |
| სკალიცა-ჟილინა | 3:2 |
| ტრენჩინი-სლოვანი | 1:3 |
| ნიტრა-ზვოლენი | 4:5 (ბ) |
| ბისტრიცა-პოპრადი | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-ტაპარა | 5:2 |
| საიპა-კალპა | 2:3 |
| პელიკანსი-ჰიფკ | 3:6 |
| იოკერიტი-ლუკო | 2:3 (ო) |
| ილვესი-ესეტი | 4:3 (ო) |
| ჰპკ-ტპს | 3:2 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ვიტკოვიცე | 4:2 |
| ტრშინეცი-კარლოვი ვარი | 1:0 |
| ბუდეიოვიცე-ულინი | 3:2 |
| ლიტვინოვი-სპარტა | 1:2 |
| პლზენი-პარდუბიცე | 5:2 |
| კლადნო-ლიბერეცი | 1:0 |
| ბოლესლავი-ბრნო | 4:3 |
| **შვეიცარია** | |
| ლუგანო-სერვეტი | 1:5 |
| ბილი-ციურიხი | 4:0 |
| რაპერსვილი-ბერნი | 3:5 |
| ლანგნაუ-კლოტენი | 3:4 |
| ცუგი-ფრიბურგი | 3:2 |
| ამბრი პიოტა-რაპერსვილი | 3:1 |
| დავოსი-ლუგანო | 4:0 |
| ბერნი-ლანგნაუ | 5:0 |
| **შვედეთი** | |
| შელეფტეო-ფრიოლუნდა | 4:3 (ბ) |
| ფერიესტადი-ბრინასი | 2:2 |
| იურგორდენი-ვაქსიო | 4:2 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ლონდონი** | |
| ფედერერი-ფერერი | 7:5, 6:3 |
| ბერდიხი-ცონგა | 3:6, 5:7 |
| ფედერერი-ცონგა | 6:3, 6:7, 6:3 |

## TV პროგრამა

### 28 ნოემბერი. ორშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. ტვენტე-ვიტესი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. დორტმუნდი-შალკე.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. მილანი-კიევო.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტური. ოსერი-ლიონი.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVII ტური. ფიგეირენსე-კორინთიანსი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტური. გოდოი კრუსი-ბოკა ხუნიორსი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტური. მალაგა-ვილიარეალი (LIVE).

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბარსელონა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:30** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. მაიამი-დალასი.
**14:45** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ფულემი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. 1/2 ფინალი. როჯერ ფედერერი-ჟო ვილფრიდ ცონგა. ლონდონი. ინგლისი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ინგლისი.
**23:30** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. მაიამი-დალასი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. 1/2 ფინალი. როჯერ ფედერერი-ჟო ვილფრიდ ცონგა. ლონდონი. ინგლისი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-პსჟ.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ინგლისი.
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**17:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**17:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნოვარა-პარმა.
**19:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვილიარეალი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (სპორტი)

**05:30** ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ნიუ იორკ ჯაინტსი (LIVE).

#### EUROSPORT-2

**23:00** ფეხბურთი. კოპა ამერიკა (15-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. კოპა ამერიკა (15-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ბრაზილიის გრანპრი

# რედ ბულმა დუბლით დაამთავრა

სებას ახალი იმიჯი



შაბათის კვალიფიკაციის შემდეგ, რომელზეც წვიმას ელოდნენ, ყველა იმ აზრამდე მივიდა, რომ რბოლის დღეს ნალექი გარდაუვალი იქნებოდა. მართლაც, სტარტამდე დიდი ხნით ადრე მცირე წვიმა მაინც წამოვიდა, მაგრამ, საერთო ჯამში, სინოპტიკოსთა პროგნოზი არ გამართლდა და პილოტებს მშრალ ტრასაზე მოუწიათ სეზონის ბოლო ეტაპის დაწყება.

ბრაზილიური პუბლიკის კერპმა **რუბენს ბარიკელომ** („უილიამსი"), რომელსაც ტრადიციულად პრობლემები ხვდება საშინაო ეტაპზე, ამჯერადაც არ უღალატა ტრადიციას და სტარტზევე დაკარგა ყველაფერი, რასაც კვალიფიკაციისას მიაღწია: პირველი წრის შემდეგ ის მეთცე ადგილამდე ჩამოქვეითდა და თანაგუნდელ **პასტორ მალდონადოსაც** კი ჩამორჩა. რაც შეეხება ამ სეზონში სტარტის „მეფედ" მიჩნეულ **მიხაელ შუმახერს** („მერსედესი"), მან ერთი ადგილი წააგო **პოლ დი რესტასთან** („ფორს ინდია"), მაგრამ მალე დაიბრუნა დაკარგული პოზიცია.

წინ კი **სებასტიან ფეტელი** („რედ ბული") დამაჯერებლად ინარჩუნებდა ლიდერობას, **მარკ უებერმა** („რედ ბული") წინ არ გაუშვა **ჯენსონ ბატონი** („მაკლარენი"). **ლუის ჰემილტონი** („მაკლარენი") **ფერნანდო ალონსომ** („ფერარი") ჩამოიტოვა უკან. შემდეგ მიდიოდნენ **ფელიპე მასა** („ფერარი"), **ნიკო როსბერგი** („მერსედესი"), **ადრიან სუტილი** („ფორს ინდია") და **ბრუნო სენა** („ლოტუს-რენო"). ამ უკანასკნელს კვალში ჩაუდგა შუმახერი და მეათე წრეზე შედგა ორივე პილოტისთვის საბედისწერო გასწრება. შუმახერი სასტარტო სწორ მონაკვეთზე წინ გავიდა და მოსახვევამდე ოდნავ მოუჭრა დისტანცია ბრუნოს, რის შემდეგაც მანქანები საბურავებით შეეხნენ ერთმანეთს. ცოტა ხანში მეორე კონტაქტს ჰქონდა ადგილი და სენამ წინა ანტიფრთით დააზიანა მიხაელის ბოლიდის უკანა საბურავი.

თითქოს ჩვეულებრივი სარბოლო ინციდენტი იყო, მაგრამ სტიუარდებმა ბრაზილიელი ჯარიმით დასაჯეს - შესაძლოა, იმის გამო, რომ პირველი კონტრაქტის შემდეგ მან ხელების ქნევა დაიწყო იმის ნაცვლად, რომ მეორე შეჯახება აეცილებინა თავიდან. მიხაელის დასჯას კი აზრი არ ჰქონდა, რადგან მან ისედაც სამი საბურავით იარა მთელი ერთი წრე და ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. სენა პიტ-ლეინზე საჯარიმო შესვლის შემდეგ ასევე გამოვარდა ტოპ-ათეულიდან, შემდეგ კი გადაცემათა კოლოფთან დაკავშირებული პრობლემების გამო სიჩქარე დაკარგა.

გადაცემათა კოლოფითან დაკავშირებით მხოლოდ სენას არ ჰქონია ხარვეზები. პრობლემა შეექმნა წინ დამაჯერებლად მიმავალ ფეტელს. სებასტიანი დიდი ძალისხმევის გარეშე ინარჩუნებდა უებერთან რამდენიმეწამიან უპირატესობას, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა მოსახვევები არაოპტიმალური სიჩქარით გაევლო და საბოლოოდ, უბრძოლველად გაატარა წინ პარტნიორი. მაგრამ უცნაურობა ის იყო, უებერის წინ გასვლის შემდეგ, სებასტიანი ბევრს აღარ აგებდა ავსტრალიელთან, რამაც გააჩინა ეჭვი იმის შესახებ, რომ „რედ ბულმა" გუნდური ტაქტიკა გამოიყენა და უებერს სეზონის მაჟორულ ნოტაზე დასრულების საშუალება მისცა.

„მაკლარენისა" და „ფერარის" პილოტებს გამარჯვებისთვის ბრძოლაში ჩაბმა არ შეეძლოთ. ალონსო იმითაც კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რომ ბატონზე სწრაფი აღმოჩნდა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში. ჰემილტონის შეყოვნება კი ჯენსონმა მოახერხა. მასამ გაახარა პუბლიკა მცირეხნიანი ლიდერობით, რადგან ბრაზილიელმა გვიან შეასრულა პიტსტოპი - როგორც ჩანს, ფელიპეს ერთით ნაკლები პიტსტოპი ჰქონდა დაგეგმილი. ასეთივე ტაქტიკური ვარიანტი აირჩია დი რესტამ, აგრეთვე „ზაუბერისა" და „ტორო როსოს" პილოტებმა.

ამასობაში გამოჩნდა გადაცემათა კოლოფის მესამე მსხვერპლი - ლუის ჰემილტონი. და, თუ ფეტელი და სენა აგრძელებდნენ მოძრაობას (სებმა ერთხელ საუკეთესო წრეც კი დააფიქსირა), ჰემილტონი ფელიპე მასასთან საინტერესო ბრძოლის შემდეგ (ამჯერად, ყველაფერმა ინციდენტის გარეშე ჩაიარა) იძულებული გახდა ბრძოლას ჩამოშორებულიყო: გადაცემათა კოლოფმა ნაადრევად გაამგზავრა ბრიტანელი არდადეგებზე.

ბრწყინვალედ მიჰყავდა რბოლა სუტილს: მიუხედავად იმისა, რომ მან როსბერგზე ერთით ნაკლები პიტსტოპი შეასრულა, საბოლოოდ, ადრიანმა წაართვა ნიკოს მეექვსე ადგილი შესანიშნავი გასწრების წყალობით. წესრიგში იყო დი რესტაც - ის მერვე ადგილზე იყო. ფინალური პიტსტოპის შემდეგ. ათეულში შეაღწიეს **კამუი კობაიაშიმ** („ზაუბერი") და **ვიტალი პეტროვმა** („ლოტუს-რენო").

დავუბრუნდეთ ლიდერებს. მესამე პიტსტოპის შემდეგ ბატონმა გუნდისგან მიიღო ნებართვა დარჩენილი წრეები კვალიფიკაციის რეჟიმში გაევლო. ამის შემდეგ ის ძალიან მალე დაეწია ალონსოს: თითქმის ხუთწამიანი ჩამორჩენა წამის მეათედებამდე დავიდა. და 61-ე წრეზე „ფერარიმ" პოდიუმის შანსი დაკარგა. მაგრამ ბატონი ამით დაკმაყოფილებას არ აპირებდა: „მაკლარენი" მაშინვე ფეტელის გასწრებაზე გადაერთო, რომელიც ნელ-ნელა მაინც კარგავდა სიჩქარეს და ერთხელ ტრასიდან გადავარდა. და მაინც, რვა წრის განმავლობაში 11-წამიანი ჩამორჩენის გაბათილება შეუძლებელი აღმოჩნდა და ბატონს მესამე ადგილით დაკმაყოფილება მოუხდა, რამაც მას ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

უებერმა კი შეძლო სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვება. ფეტელმა ბრწყინვალე წელი პოდიუმზე დაასრულა. ალონსომ და მასამ ხუთეულში შეაღწიეს. სეზონი დასრულდა და მისი შედეგების შესახებ შემდეგ ნომრებში ვისაუბრებთ.

## მოკითხვა მენსელს!

ბრაზილიის გრანპრი იმით იყო გამორჩეული, რომ **სებასტიან ფეტელმა** 2011 წლის სეზონი მნიშვნელოვანი რეკორდით დაასრულა. „რედ ბულის" პილოტმა წლევანდელ ჩემპიონატში მე-15 პოული მოიპოვა, რითაც დაამხო ლეგენდარული **ნაიჯელ მენსელის** რეკორდი, რომელიც 1992 წელს იყო დამყარებული. მაშინ მენსელმა 14-ჯერ აიღო სტარტი პირველი პოზიციიდან.

*„კვალიფიკაციის წინ ბევრს ლაპარაკობდნენ ამ რეკორდის შესახებ, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე სწორი ვარიანტი იყო, თუ წინასწარ არ ვიფიქრებდი ამ მიღწევაზე.*

*ბრაზილიური უქმეების დასაწყისი არც ისე წარმატებული გამოვიდა. მანქანის ბალანსი მოიკოჭლებდა, მაგრამ საჭირო ზომები მივიღეთ და კვალიფიკაციის სტარტისთვის ყველაფერი წესრიგში იყო - ბოლიდი მაღალ სიჩქარეს აჩვენებდა. ფინალური სესიის პირველივე წრეზე მისაღები დრო ვაჩვენე, მაგრამ ვიცოდი, რომ მეტის მიღწევა შემეძლო და საბოლოოდ, ბოლო ცდაზე მანქანისგან მაქსიმუმი მივიღე.*

*ფინიშის ხაზის გადაკვეთისას ემოციებით დატვირთული ვიყავი. თუმცა საკმაო ხანი მომინია ლოდინმა იმის გასაგებად, საკმარისი იყო თუ არა ჩემი დრო პოულის მოსაპოვებლად. მოგვიანებით, ჩემმა ინჟინერმა რადიოთი შემატყობინა, რომ ჯენსონმა მხოლოდ მეორე დრო აჩვენა, შემდეგ ის მარკ უებერმა შეავიწროვა... მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცხადი, რომ პოული ჩემი საკუთრება იყო.*

*ვიტყოდი, რომ ეს განსაკუთრებული კვალიფიკაცია იყო ჩემთვის. ის სხვებს არ ჰგავდა. რა თქმა უნდა, წინა რეკორდის მფლობელმა ნაიჯელ მენსელმა 1992 წელს სამით ნაკლები რბოლა ჩაატარა, მაგრამ ეს მაინც ისტორიული მომენტია, რომელიც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს*", - განაცხადა რეკორდის დამყარების შემდეგ ფეტელმა.

*„ვულოცავ სებას! შესანიშნავი წრე გაიარა და ბრწყინვალე შედეგს მიაღწია*, - დაწერა თავის „ტვიტერზე" მსოფლიოს 1992 წლის ჩემპიონმა ნაიჯერ მენსელმა. - *„რედ ბული" დიდი გუნდია და მას წარმატებას ვუსურვებ".*

როგორც ჩანს, ფეტელი დარწმუნებული იყო, რომ მენსელის რეკორდს მოხსნიდა. მან ჯერ კიდევ სან პაულუს აეროპორტში შეიძინა ჯამბაზის ულვაშები და კვალიფიკაციის შემდეგ დაიწება, რითაც მისალმება გაუგზავნა ნაიჯელს. როგორც ცნობილია, აქტიური კარიერის წლებში ინგლისელის სავიზიტო ბარათი სწორედ ულვაშები იყო.

**გია თვალაბეიშვილი**

| ბრაზილიის გრან-პრი. XIX ეტაპი | |
|---|---|
| ინტერლაგუში (71 წრე, 305.909 კმ) | |
| 1(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 1:32:17,464 |
| 2(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +16,983 |
| 3(3). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +27,638 |
| 4(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +35,048 |
| 5(7). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +1:06,733 |
| 6(8). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 1 წრე |
| 7(6). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 8(11). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | 1 წრე |
| 9(16). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | 1 წრე |
| 10(15). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) | 1 წრე |
| 11(13). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე |
| 12(14). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე |
| 13(17). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 1 წრე |
| 14(12). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 15(10). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 16(20). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 2 წრე |
| 17(9). ბრუნო სენა (ლოტუს-რენო, ბრაზილია) | 2 წრე |
| 18(19). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 2 წრე |
| 19(23). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია) | 3 წრე |
| 20(22). დანიელ რიკარდო (HRT F1, ავსტრა) | 3 წრე |
| 21(21). ვიტანტონიო ლიუცი (HRT F1, იტალია) | 6 წრე |
| 22(4). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 24 წრე |
| 23(18). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 43 წრე |
| 24(24). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 48 წრე |

კონსტრუქტორთა თასი

1. რედ ბული - 650 ქულა; 2. მაკლარენი - 497; 3. ფერარი - 375; 4. მერსედესი - 165; 5. ლოტუს-რენო - 73; 6. ფორს ინდია - 69; 7. ზაუბერი - 44; 8. ტორო როსო - 41; 9. უილიამსი - 5.




| | ავს | მალ | ჩინ | თურ | ესპ | მონ | კან | ევრ | ბრიტ | გერ | უნგ | ბელ | იტა | სინ | იაპ | ს. კორ | ინდ | ა. დაბი | ბრა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეტელი** (რედ ბული) | 25 | 25 | 18 | 25 | 25 | 25 | 18 | 25 | 18 | 12 | 18 | 25 | 25 | 25 | 15 | 25 | 25 | -- | 18 | 392 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 8 | 18 | 12 | 8 | 15 | 15 | 25 | 8 | -- | -- | 25 | 15 | 18 | 18 | 25 | 12 | 18 | 15 | 15 | 270 |
| **უებერი** (რედ ბული) | 10 | 12 | 15 | 18 | 12 | 12 | 15 | 15 | 15 | 15 | 10 | 18 | -- | 15 | 12 | 15 | 12 | 12 | 25 | 258 |
| **ალონსო** (ფერარი) | 12 | 8 | 6 | 15 | 10 | 18 | -- | 18 | 25 | 18 | 15 | 12 | 15 | 12 | 18 | 10 | 15 | 18 | 12 | 257 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 18 | 4 | 25 | 12 | 18 | 8 | -- | 12 | 12 | 25 | 12 | -- | 12 | 10 | 10 | 18 | 6 | 25 | -- | 227 |
| **მასა** (ფერარი) | 6 | 10 | 8 | -- | -- | -- | 8 | 10 | 10 | 10 | 8 | 4 | 8 | 2 | 6 | 8 | -- | 10 | 10 | 118 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | -- | 10 | 10 | 6 | -- | -- | 6 | 8 | 6 | 2 | 8 | -- | 6 | 1 | 4 | 8 | 8 | 6 | 89 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | -- | 2 | 4 | -- | 8 | -- | 12 | -- | 2 | 4 | -- | 10 | 10 | -- | 8 | -- | 10 | 6 | -- | 76 |
| **სუტილი** (ფორს ინდია) | 2 | -- | -- | -- | -- | 6 | -- | 2 | -- | 8 | -- | 6 | -- | 4 | -- | -- | 2 | 4 | 8 | 42 |
| **პეტროვი** (რენო) | 15 | -- | 2 | 4 | -- | -- | 10 | -- | -- | 1 | -- | 2 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | 1 | 37 |
| **ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო) | -- | 15 | -- | 6 | 4 | 4 | -- | 1 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 34 |
| **კობაიასი** (ზაუბერი) | -- | 6 | 1 | 1 | 1 | 10 | 6 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | 2 | 30 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 1 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 | -- | 4 | 8 | -- | 1 | -- | 2 | 4 | 27 |
| **ალგერსუარი** (ტორო როსო) | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 | 4 | 1 | -- | 1 | -- | 6 | -- | -- | 6 | 4 | -- | -- | 26 |
| **ბუემი** (ტორო როსო) | 4 | -- | -- | 2 | -- | 1 | 1 | -- | -- | -- | 4 | -- | 1 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | 15 |
| **პერესი** (ზაუბერი) | -- | -- | -- | -- | 2 | -- | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | 1 | 4 | -- | 1 | -- | -- | 14 |
| **ბარიკელო** (უილიამსი) | -- | -- | -- | -- | -- | 2 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 |
| **სენა** (როტუს-რენო) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |
| **მალდონადო** (უილიამსი) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 |